ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2, 2016 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”
რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში “ქართულ რეფერატულ ჟურნალში”.

აღიარებულია რეფერირებულად:
- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა, ყაზახეთი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New Economist) IS REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

IS KNOWN AS REVIEW BY:
- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade. (Astana, Kazakhstan).

ADDRES: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
tel.: +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲐᲠᲗᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲠᲔᲤᲔᲠᲘᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲐᲓᲘ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ №2(41), 2016

ᲚᲝᲘᲓ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი,გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი,უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; რევაზ ლორთქიფანიძე; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მეძვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ემთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); ბელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეოიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; თამარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ემთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2016წ.
© გამომცემლობა „ᲚᲝᲘ“

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲚᲐᲠᲘ

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 2(41), 2016

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doctor of Busines Administration, Professor, Academician, Member of the Presidium of the Georgian Academy of Business Sciences. Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE (Deputy of Editor-in-Chief); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI.

მეცნიერება

როზეტა ასათიანი - კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა 7

შალვა გოგიაშვილი, სლავა ფეტელავა - კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა და მომხმარებელთა ინტერესების შემლახავი ქმედება 13

ეკა ლეკაშვილი, მარიამ ბიწაძე, ქეთევან ჯიქია - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ: პოლონეთი 17

ნიკოლოზ შენგელია, ბაჭარ ბერუაშვილი – ეკონომიკის სტაბილური ზრდა საინვესტიციო აქტივობის გაძლიერებას მოითხოვს 29

ლოიდ ქარჩავა - ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი (ბსი) - მეწარმეობის ხელშეწყობის სრულიად ახალი ფორმა 34

გიორგი ესაკია - თბილისის პარკირების სისტემის განვითარების პერსპექტივები 36

დავით ჩერქეზიშვილი - რეგიონული ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში აჭარის რეგიონის მაგალითზე 58

ირმა მახარაშვილი - ენთროპია და სინერგეტიკა გადაწყვეტილებების მიღების რეგიონულ დონეზე 61

ომარ შუდრა, ნინო კაზარიანი - მენეჯერის პირადი ორგანაიზერი 72

სტუდენტური ხედვა

ნინო გოზალიშვილი, გუგა ბერძენიშვილი, თათია ჭყოიძე - BREXIT- ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან: ეკონომიკის გაძლიერება თუ მისი სტაგნაცია 78

მართვის ახალგაზრდული სკოლა

მარინა ჭარელიშვილი - საინტერესო ცნობები საქმიანი ადამიანებისთვის 83

ლუსია ჯოლოგუა – საგანმანათლებლო დაწესებულების მდივან-რეფერენტი 85

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ომარ შუდრა - ნებისყოფა (აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი) 87

CONTENTS

SCIENCE

Rozeta Asatiani - Competition theories and new innovative system 7

Shalva Gogiashvili, Slava Fetelava - Action which infringes the interests of competitors and consumers 13

Eka Lekashvili, Mariam Bitsadze, Ketevan Jikia - Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU: Poland 17

NIKOLOZ SHENGELIA, BAKAR BERUASHVILI - THE STABLE ECONOMIC GROWTH REQUIRES STRENGTHENING OF THE INVESTMENT ACTIVATES 29

Loid Karchava - Business-School-Incubator (BSI) 34

George Esakia - Tbilisi Parking System Development Perspectives 36

David Cherkezishvili - The development of the business condition in Georgia in the example of Adjara Region 58

Irma Makharashvili - Entropy and Synergetics of Disizion-making on Regional Level 61

Omar Shudra, Nino Kazariani - Personal organizer of a manager 72

STUDENT'S VISION

Nino Gozalishvili, Guga Berdzenishvili, Tatia Chkoidze - Britain's possible exit from EU: Economic strengthening or its stagnation? 78

THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT 83

OUR FAMOUS COUNTRYMEN 87

კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი,
თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი,
ტელ.: 599530487
ელ.ფოსტა: marinassati@gmail.com

თანამედროვე გლობალურმა ეკონომიკამ და მსოფლიოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კონკურენციის თეორიები წინა პლანზე წამოსწია და პრაქტიკაში მათი გამოყენების აუცილებლობა დააყენა.* კონკურენციის თეორიები და მათთან დაკავშირებული პრობლემები მსჯელობის საგანი წინა საუკუნეებშიც იყო, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალურობა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში შეიძინა. მაიკლ პორტერი** გახდა კონკურენტული სტრატეგიისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კონცეფციების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის თეორიების შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები ჰქონდათ ისეთ ცნობილ ეკონომისტებს, როგორებიც იყვნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ისიდრო ეჯოურტი (1845-1926), ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ ჩემბერლინი (1899-1967), კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, პოსტკეინზიანური პერიოდის გავლენიანი ეკო ნო მისტი ჯოან რობინსონი (1903-1983) და სხვები. აღსანიშნავია, რომ არასრულყოფილი კონკურენციის ფორმად აღიარებული მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი ერთობლივად შექმნეს ე. ჩემბერლინმა და ჯ. რობინსონმა. ი. ეჯო უ რტი, მიუხედავად იმისა, რომ მარჟინალისტი და ეკონო მიკურ-მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, ჯერ კიდევ, 1897 წელს ნაშრომით – „მონო პოლიის თეორია“ მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ე. ჩემბერლინმა 1933 წელს გამოაქვეყნა „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია“, გააანალიზა მონოპოლისტური კონკურენციისთვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მექანიზმი, შემოიღო ტერმინი – წმინდა კონკურენცია, ხოლო, 1933 წელს ჯ. რობინსონმა, ე. ჩემბერლინისაგან დამოუკიდებლად, ჩამოაყალიბა „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სრულყოფილი კონკურენციის კონცეფციაზე აგებული ღირებულების თეორიის კრიტიკაში.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა თეორიულ ასპექტში კონკურენციის გაძლიერების გლობალური ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობაზე ორი ენტირებული ქვეყნის ახალი პერსპექტივების კვლევა.

XXI საუკუნემ, მისი „უდიდებულესობის“ – ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნემ, მნიშვნელოვნად შეცვალა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საფუძვლები. თუ უახ ლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ყველაზე მძლავრ დეტერმინა ტებს წარმოადგენდა ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი რესურსები, მენეჯმენტის განვითარების დონე, მასშტაბის ეფექტი ანუ წარმოების გაფართოების ხარჯზე მიღწეული ეკონომია და ა.შ., ამჟამად, აქცენტი კონკურენტუნარიანობის სრულიად ახალ წყაროებზე კეთდება, თუმცა, აღნიშნულ დეტერმინატებს, გარკვეული თვალსაზრისით, თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

---

* საგულისხმოა, რომ დღეს დასავლეთის უნივერსიტეტებში ისწავლება „კონკურენციული ეკონომიკა“ როგორც ცალკე აკადემიური დისციპლინა.

** ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი არის ნაშრომების – „კონკურენცია“, „კონკურენციის სტრატეგია“, „სხვადასხვა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა“, „საერთაშორისო კონკურენცია“ და ა.შ. ავტორი. 1990 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სხვადასხვა ქვეყნის კონ-კურენტული უპირატესობა“ (1990).

თანამედროვე ეკონომიკაში ახალი სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას, რაც მოიცავს როგორც უახლეს ტექნოლოგიებს, ასევე, გულისხმობს საქმის ახლებურად კეთებას, ახალი უნარ-ჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებას. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა [4, გვ.20;5]. აქედან გამომ დინარე, ასეთ პირობებში ინვესტიციებს, სრულიად ახალი როლი აკისრიათ და ისინი, წინანდელთან შედარებით, განსხვავებული მიმართულებებით წარიმართება. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს ამ სიახლეთა ჭეშმარიტებას. საკმარისია მოვიყვანოთ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი იაპონიის მაგალითი, რომელიც მყარი სტრატეგიითა და ახალი, კონკურენტული ინოვაციებით მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აფრიკის ქვეყნების წარუმა ტებლობა, რომლებიც უაღრესად დაბალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა.

გლობალური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის ხელოვნების დაუფლება როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ქვეყნის წარმატების საწინდარია. დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები და ის კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლებისაგან ახლებურ აზროვნებასა და ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას უკავშირდება.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკის ახალი სტრატეგიით – ახალი ინოვაციური სისტემით მიაღწიეს. მაიკლ პორტერი სტარტეგიას ახასიათებს როგორც კომპრომისების გადაჭრის ხელოვნებას კონკურენციაში [1, გვ. 69].

კონკურენცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ეფექტიანობისა და კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. „კეთილდღეობა ყველასათვის და კეთილდღეობა კონკურენციის გზით“ განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან: პირველი არის მიზანი, ხოლო მეორე – ამ მიზნის მიღწევის საშუალება [6, გვ.15]. როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, კონკურენტული უპირატესობა ყველაზე პროგრესულ და დინამიკურ დარგებში მიიღწევა. მომთხოვნი მომხმარებლები კომპანიებს არ აძლევენ მოდუნების საშუალებას, ამიტომ მეწარმეები წარმოების მუდმივი განახლების, სიახლეების დანერგვისა და განვითარების რეჟიმში არიან.

კონკურენტული ბრძოლის მეთოდები დღეს სულ უფრო და უფრო არაფასისმიერ კონკურენციაში აისახება, რაც გამოიხატება ბაზარზე მაღალხარისხოვან და ტექნო ლოგიურად სრულყოფილ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდაში. ამიტომ თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში, სტრუქტურული და ტექნოლოგიური დივერსიფიკაციის საფუძველზე რადიკალური პროგრესული ცვლილებების განხორციელებამ შეცვალა ეროვნული ეკონომიკის განვითარების კურსი. წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ, ენერგიის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. თვისებრივად ახალი პერსპექტივები შექმნა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში.

დღეს ინოვაციების დიდი ნაწილი არა დიდ ტექნოლოგიურ გარღვევებზეა დამოკიდებული, არამედ სისტემატურ პატარ-პატარა აღმოჩენებზეა აკუმულირებული. ზოგიერთი ინოვაცია კონკურენტულ უპირატესობას სრულიად ახალი ბაზრების აღმოჩენით ქმნის, ზოგიც – უფრო კომპაქტური მოდელების შექმნით.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კონკურენტულ ეკონომიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკვანძო კომპეტენტურობის თეორია (core competence theory).* იგი ასახავს იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ყალიბდება კომპანიაში კოლექტიური ცოდნის სახით. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ეხმარება კომპანიებს არსებული სამეწარმეო თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში, ინოვაციებზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში. ის გარემოება, რომ თანამედროვე ბიზნესმა განიცადა დივერსიფიკაცია, შეუძლებელი ხდება ცენტრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარ-

* ტერმინი – „საკვანძო კომპეტენტურობა“ პირველად გამოიყენეს ჰარვარდის ბიზნესსკოლის წარმომადგენლებმა ს. პრაჰა ლა დისმა და ს. ჰამელმა სტატიაში – „საკვანძო კომპეტენტურობა და ორგანიზაცია“, რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა „Harvard Business Review“-ში.

მოადგენს „ქრეატიული ქსელი“ („Creative net“). მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული, რომელთა წარმატება ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. „ქრეატიული ქსელი“ ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები (ტრადიციული იერარქიული პირამიდისგან განსხვავებით) სულ უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას მცირე კომპანიებს გადაწყვეტილების მიღებაში, დასამზადებლად გადასცემენ მათ პროდუქციის ცალკეულ დეტალებს და ა.შ. მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომები სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვაში, ახალი პროდუქციის, მომსახურების ახალი სახეობების წარმოებაში და ა.შ. ამიტომ XXI საუკუნეში „ქრეატიული ქსელის“ განვითარებაზე დიდად იქნება დამოკიდებული მენეჯმენტში წარმატება.

კონკურენციის განვითარებაში ასახული პოზიტიური ცვლილებები უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კონკურენტუნარიანობა განვიხილოთ როგორც მიკრო- და მეზოდონეზე, ისე მაკრო- და მეგადონეზე.

კონკურენტუნარიანობა მიკრო- და მეზოდონეზე არის ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების თვისება კონკურენცია გაუწიონ ქვეყნის შიდა ბაზარზე ანალოგიური თვისების მატარებელ ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს. ამ თვისების შეფასება იძლევა დაბალი, საშუალო და მაღალი ლოკალური კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას. კონკურენტუნარიანობა მაკრო- და მეგადონეზე არის ქვეყნის თვისება კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ანალოგიური თვისებების მქონე ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სუბიექტებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოცემული ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში აისახება. აქედან გამომდინარე, გლობალური კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში აისახება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, კონკურენციის გლობალიზაციის ფონზე, შეიცვალა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის საფუძვლები.

თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია სულ უფრო უთმობს ადგილს კონკურენტული უპირატესობის თეორიას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს (IT), კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს შედარებით ახალი თეორია აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემა მეტად აქტუალურია თა ნა მედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ფართო მსჯელობის საგანია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მას. ეს პრობლემა ორგანულად უკავშირდება ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი [2, გვ. 73-75]. იგი დღევანდელ პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებებში გარკვევის საშუალებას იძლევა.

ის გარემოება, რომ გლობალიზაცია აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნი ერული მიღწევების მოკლე დროში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და ა.შ., ახალი დროის დადგომის მაუწყებელია.

მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი, როგორც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ქვაკუთხედი, აისახება ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინატში, რომლებიც ერთობლიობაში წარმოქმნიან იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებასა და ახალი კონკურენტუნარიანი კომპანიების აღმოცენებას, აყალიბებს იმ „სათამაშო ველს“, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყ-

ანა ქმნის საკუთარი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ეს დეტერმინატებია:

1. ფაქტორული პირობები. ქვეყნის შიდა ბაზარზე პოზიცია იმ წარმოების ფაქტორებთან (კვალიფიციური სამუშაო ძალა, ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და წარმოებრივი ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზარი, მიწოდების პირობები) მიმართებაში, რომლებიც აუცილებელია მოცემული დარგის კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ტემპით და რამდენად ეფექტიანად ქმნის და განაახლებს ქვეყანა ამ ფაქტორებს კონკურენტულ დარგებში. მაგ., კოლეჯდამთავრებული მუშახელი არ განაპირობებს კონკურენტულ უპირატესობას თანამე დროვე პირობებში. ამისათვის იგი სპეციალიზირებული უნდა იყოს დარგის კონკურენტული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ვენჩურულ კაპიტალსა და სტაბილურ ინვესტიციებს მოითხოვს;

2. მოთხოვნის პირობები. ქვეყნის ბაზარზე მოცემული დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დეტერმინატები; მოცემული ქვეყნის კომპანიებმა კონკურენტული უპირატესობა შეიძლება იმ შემთხვევაში მოიპოვონ, თუ ადგილობრივ მყიდველთა მოთხოვნა (ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით) წინ უსწრებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს უბიძგებს კომპანიებს მოდერნიზაციისკენ, ინოვაციისკენ და ამით აიძულებს მათ დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტები.

3. ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების არსებობა. ეს დეტერმინატი სწრაფი და შეღავათიანი გზით ხელსაყრელ პირობებს ქმნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის;

4. კომპანიის მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენტული გარემო [2, გვ. 73-75]. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი, როგორც სისტემა, გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა, დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის მდგრადი სეგმენტის მოძიება და ა.შ. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმცირის, მიწის მაღალი ფასის, მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის რომ გაუძლონ კონკურენციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, ამით ქმნიან ახალ ბაზრებს და არაფასისმიერი კონკურენციით აღწევენ წარმატებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი, თავისი ოთხი დეტერმინატით, ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში მაღალტექნოლოგიური პარკების – კლასტერების წარმოშობას.

ამრიგად, თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც „პირველი ვიოლინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ.

საქართველო დღეს რთული სოციალურ-ეკონომიკური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური პრობლემების წინაშეა. ეკონომიკის კონვერსიის 25 წლის შემდეგ ქვეყანაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა. ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია, იზრდება სიღარიბე, არაადეკვატურ დეფორმირებულ ფორმას იძენს სოციალური სტრატიფიკაცია. ყოველივე ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სწორი სოციალური პოლიტიკისა და შესაბამისი რეფორმების განხორციელებას.

თუ ქვეყანა არ იქნება ღარიბი, მაშინ სიღარიბეც არ იქნება ისეთი ღრმა, როგორიც დღეს არის საქართველოში. სიღარიბის აბსოლუტური დაძლევა შეუძლებელია, იგი ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ მთავარია სოციალურად ასატანი იყოს. ამიტომ დღეს ყურადღება უნდა გამახვილდე სიღატაკის, პაუპერიზმის დაძლევაზე. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. ის გარემოება, რომ ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსი) მიხედვით საქართველო მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული, ამასთან, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვა მხოლოდ 31%-ია, მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა, მოსახლეობის საშუალო ფენა 9%-ია, სამეწარმეო საქმიანობის მხოლოდ 6,6% მოდის მცირე ბიზნესზე (მაშინ როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესზე – 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), ხოლო ევროკავშირის

მთლიან იმპორტში საქართველოს პროდუქციის წილი 0,03%-ია, სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის წილი მშპ-ში 25,3%-ია [12] და ა.შ., სერიოზულ დაფიქრებას, ძალისხმევასა და სწორ, მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის დეტერმინატების მოთხოვნებს.

იმისთვის, რომ საქართველოში ამაღლდეს კონკურენტუნარიანობა, პირველ ყოვლისა, აუცილებელია გაანალიზდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, მიღწეული პოზიტიური შედეგები და დაშვებული შეცდომები, გავერკვეთ რა მიზნებს ემსახურება არსებული ეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად არის გამოყენებული კონკურენტუნარიანობის რესურსები. როგორ შეიძლება ქართული სასურსათო ბაზარი გენური ინჟინერიით წარმოებული და ფალსიფიცირებული უცხოური პროდუქციით იყოს მონოპოლიზებული?! სად არის ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია?

იმის გამო, რომ საქართველოში არ არის დაცული ბაზარი, ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს სოფლის მეურნეობის განუვითარებლობას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით, თუ 2010-2011 წლებში საქართველოს 139 ქვეყნიდან ეკავა 93-ე ადგილი (ესტონეთს – 33-ე ადგილი, ლიტვას – 47-ე, აზერბაიზანს – 57-ე, რუსეთს – 63-ე, ლატვიას – 70-ე, ყაზახეთს – 72-ე, უკრაინას – 89-ე და ა.შ.), 2012-2013 წლებში საქართველომ დაიკავა 77-ე ადგილი, ხოლო 2014 წელს – 72-ე ადგილი [7; 8].

ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი მიმართულებების გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ხელს შეუწყობს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში პრიორიტეტული სფეროების სწორად განსაზღვრას, ეკონომიკის სწრაფ მოდერნიზაციასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საფუძველზე ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ პრობლემათა გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარება და გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა.

კონკურენტუნარიანობის ამაღლება საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა (რომელიც ჯერ მხოლოდ ფორმირების პროცესშია) და „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნების საფუძველია. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზს [9], რომლის გათვალისწინება აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის რეფორმირებაში.

გასათვალისწინებელია უარყოფითი გარე ეფექტებიც (ექსტერნალიები). უნდა გადაიდგას ისეთი აწონ-დაწონილი ნაბიჯები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ნეგატიურ ექსტერნალიებს.

ყურადსაღებია აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოსაზრებაც: „საქართ-ველოს მოსახლეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, უწინარეს ყოვლისა, ელის მაღალპროფესიულ დახმარებასა და არა წაყრუებას მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომ არაფერი ვთქვათ არსებული სიტუაციის შელამაზებაზე [10, გვ. 378].

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის დანი როდრიკის აზრით, ყოველი ქვეყანა თვითონ უნდა ადგენდეს რეცეპტების ნაკრებს, უცხოელი ეკონომისტები კი მას მხოლოდ ინგრედიენტებით ამარაგებდნენ, რეცეპტები კი ქვეყნის მიერ უნდა იყოს შემუშავებული [11].

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პრობლემა, ამიტომ მთავრობები ეძებენ ამ პრობლემის სხვა გზებით გადაჭრის შესაძლებლობებს.

დღეს წინა პლანზე დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიკაციის საკითხმა წამოიწია. სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, პირველ რიგში იმ დარგებზე უნდა მოხდეს ორიენტაცია, რომლებიც ნაკლები რესურსებით მაქსიმალურ შედეგს მოუტანენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (პარეტოს პრინციპი).

იმისათვის, რომ საქართველო კონკურენტუნარიანი ქვეყანა გახდეს, მან უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა. ეს უნდა იყოს მისი გენერალური სტრატეგია, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება (მეინსტრიმი), ვინაიდან კონკურენციაში უპირატესობას აღწევს არა ის, ვინც რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ ის, ვინც ბაზარს სთავაზობს ინოვაციებს და ამით, შეიძლება ითქვას, ქმნის ახალ ბაზარს. იმისათვის, რომ საქართველომ მოახდინოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და, საბოლოო ანგარიშით, მიაღწიოს სწრაფ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, აუცილებელია სწორად გააანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, ყური მიუგდოს მსოფლიო ეკონომიკის „მაჯისცემას“, რაც მეტად საგულისხმოა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც მწ-

ევავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშეა, თუმცა საკ მაოდ ფლობს გამოუყენებელ პოტენციალს.

წარმატებები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში, პირველ ყოვლისა, მის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში უნდა აისახოს. თუ ასე არ არის (და არსებული სიტუაციიდან გამომდინარე უახლოეს დროში არც ამის მოლოდინია), მაშინ მიზეზები კომპლექსურად უნდა განვიხილოთ და კვალიფიციურად გადავწყვიტოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Porter M. Competitivite Advantages of Nations. `Harvard Business Revieu“ 1990, #2;
2. Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев.. Издательский дом «Вильямс», 2000;
3. Портер М. Международная конкуренция. М., «Международные отношения», 1993;
4. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;
5. http://www.clelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html
6. Эрхард Л. Благосостояние для всех. М. «Начала-Пресс», 1991;
7. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური გან-ვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;
8. BusinessForecast.by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitive-nessReport_2010-11.pdf
9. Кетелс К., Портер М. Конкурентноспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711
10. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუ შვილის ეკონო-მიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011;
11. Rodrik D. Spence Christens a New Washington Consensus. 2008; “The Economists” voice., Vol.5., issue 3, article 4. http://www.bepress.com/ev/vol5/
12. Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. «The Caucasus Region: Economic and Political Developments». Bradley C. Ryan Editor. New-York, «Nova Science Publications, Inc.», 2011.

კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა და მომხმარებელთა ინტერესების შემლახავი ქმედება

შალვა გოგიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სლავა ფეტელავა
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში აღნიშნულია, რომ კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, როგორც კონკურენტების ქცევის ძირითად მახასიათებელს. ის წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის მიზანმიმართულ ქმედებას სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუმსახურებელ უპირატესობათა მოსაპოვებლად. ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე იმ პატიოსან მეწარმეს (კონკურენტს), რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ „თამაშის წესებს“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

ნაშრომში მიმოხილულია ქვეყანაში არსებული არაკეთილსინდისერი კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების საკითხები და წარმოჩენილია ის ხარვეზები დ პრობლემები რაც ამ კუთხით არსებობდა საქართველოში 2005-2014 წლებში.

საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში 2014 წლის 21 მარტიდან მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები შეფასებულ იქნას, როგორც კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედება. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ მათი აღკვეთის მექანიზმების მოქმედი დონე - შემდგომი სრულყოფის სურვილს ტოვებს. შესაბამისად, რაც უფრო ადრე იქნება ეს პრობლემა გადაწყვეტილი, მით უფრო მეტად იქნება დაცული ბიზნეს გარემო საქართველოში.

კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, როგორც კონკურენტების ქცევის ძირითად მახასიათებელს. ის წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად. ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვები,ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება

ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაეღობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა „სტაჟი" გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაცია. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. თუმცა, სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების იგნორირების და მათი გვერდის ავლის კუთხით.

ეკონომიკურ კონკურენციაში „არბიტრის" ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან - კეთილსინდისიერ კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ „თამაშის წესებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობათა და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით, ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

ამასთან, წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ ცალეკული ქვეყნების მიხედვით, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული „არაკეთილსინდისიერი"-ს და როგორი „კეთილსინდისიერი"-ს რანგში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს საკონკურენციო სამართალი (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა).

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით -კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კანონის (1996 წლის კანონი) მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით, იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო მისი გამოვლინების სახეები:

- კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნიდა არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებდა გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;
- ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;
- კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

- ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

- კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;

- კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

- სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

ამასთან, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდგომ პერიოდში – 2005 წლის აგვისტოდან, 2014 წლის 21 მარტამდე, საქართველოში მოქმედი კონკურენციის სამართალი არ ითვალისწინებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. ამ ეტაპზე, ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონის (2014 წლის 21 მარტის კანონი) შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია (თავი II1. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. მუხლი 113. ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა), რომლიხ გამოვლენის სახეები, 1996 წლის კონკურენციის ჩარჩო კანონის იდენტურადაა მასში ჩადებული. ერთად-ერთი, რაც 1996 წლის კონკურენციის ჩარჩო კანონს განასხვავებს 2014 წლის კანონისაგან არის ის, რომ ახალი კონკურენციის ჩარჩო კანონის ამ ნაწილიდან ამოღებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ისეთი ფორმები, როგორიცაა - „კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებით და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით“ და „კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნის და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება“. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩარჩო კანონის დღევანდელ რედაქციაში 1996 წლის კანონთან შედარებით დამატებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ისეთი სახეები, როგორიცაა - „შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს“ და „ბოიკოტისკენ მოწოდება“.

რაც შეეხება მსოფლიო გამოცდილებას, უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება - დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სხვა ქვეყნებში კი კონკურენციის შესახებ კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრობლემატიკას.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წლების განმავლობაში აუხსნადი იყო ის გარემოება - როცა არ არსებობდა ცალკე კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ჩარჩო -კანონში (2005 წლის 3 ივნისიდან) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დეფინიციაც კი არ იყო ჩადებული, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი გამოვლინების სახეებსა და ცალკეულ აკრძალვით დებულებებზე. ბუნებრივია, ეს დადებითად ვერ იმოქმედებდა ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასა და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებაზე. ფრო მეტიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს შესაბამის სასაქონლო ბაზარზე („სნიკერსი“/„მიყვარხარ“, „ბაუნტი“/„ბათუმი“) მომხმარებლები უჩიოდნენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ისეთ ფაქტებს, რომელიც უკავშირდებოდა ფერთა შეხამებას და სიტყვათა წყობას იმ სახით, რაც მათ (მომხმარებელთა) შეცდომაში შეყვანას იწვევდა (ასევე, ილახებოდა შესაბამისი პროდუქტის კანონიერ მწარმოებელთა ინტერესები). თუმცა, ამ და სხვა მსგავს ფაქტებზე რეაგირება იმ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედ კონკურენციის ორგანოს (თავდაპირველად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ხოლო შემდეგ სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო - 2005-2010 წლებში; სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - 2011-2013 წლებში) კანონმდებლობით არ ევალებოდა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონი (2014 წლის 21 მარტის კანონი) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები შეფასებულ იქნას,

როგორც კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მათი აღკვეთის მექანიზმების მოქმედი დონე, შემდგომი სრულყოფის სურვილს ტოვებენ (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებზე, არაა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით სანქცია გათვალისწინებული). შესაბამისად,ცხადია,რაც უფრო ადრე იქნება ეს პრობლემა გადაწყვეტილი, მით უფრო მეტად იქნება დაცული კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა და მომხმარებელთა სამართლიანი ინტერესები და ზოგადად ბიზნეს გარემო საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ., „ინოვაცია“, 2009;
2. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007;
3. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., „ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“,№4, 2012;
4. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;
5. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., „საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2013;
6. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (1996 წლის 25 ივნისი);
7. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (3 ივნისის 2005 წელი);
8. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ (21 მარტი 2014 წელი).

Action which infringes the interests of competitors and consumers

Shalva Gogiashvili
Associated professor at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Slava Fetelava
Associated professor at the Grigol Robakidze Univercity

This work indicates, that unfair competition holds important place in the theory and practice of competition, as main objective of competitor's behavior. Unfair competition is an intentional act to gain the superior position in the manufacturing and production area. Those behavior violates legislation acts currently in force, trade laws, decency, judgement and justice demands and (may harm) harm other competing economic agents or their reputation.

According to above-mentioned, not only consumers need protection from unfair competition, but also competing economic agents, who obey the "rules of the game". Also it should be mentioned that avoiding any form of unfair competition serves not only the interests of the specific consumers and undertakers, but also it serves general public interest and stimulates society into progress.

This work reviews legislation regulations concerning unfair competition in the country and indicates the corresponding flaws and issues existing in Georgia for 2005 till 2014.

Finally is concluded, that the competition law which is currently in force in Georgia, since 21 May of 2014, makes it possible to evaluate unfair competition as inapplicability to Georgian law of competition. Also is mentioned, that there is still room for improvement of the mechanisms that serve to avoid unfair competition. Accordingly, sooner the problem is solved, the more business environment will be safe.

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ:

პოლონეთი



ეკა ლეკაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: eka.lekashvili@tsu.ge
ტელ: 599 89 98 09

ქეთევან ჯიქია,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: jikiaketi@gmail.com
ტელ: 593 28 52 88

მარიამ ბიწაძე,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: bitsadze.mariam@gmail.com
ტელ: 558 55 33 76

ვაგრძელებთ, სტატიათა სერიების სახით ნაშრომის „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ“ ეტაპობრივ წარმოდგენას.

წინამდებარე სტატია მოიცავს პოლონეთის გამოცდილებას. შესწავლილია მისი ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ცვლილებების ტენდენცია ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ; ასევე, ქვეყანაში არსებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, კერძოდ: ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ჰარმონიზაციის პროცესების უზრუნველყოფა, ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობა, „არაჯანსაღ კონტრაქტების“ საფუძველზე დასაქმებულთა მოცულობა, უცხოური კაპიტალით შესყიდული ადგილობრივი კომპანიების საქმიანობის შეფერხება. პოლონეთის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქართველოსთვის ევრიონტეგრაციის გზაზე.

პოლონეთის ინტენსიური პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები 1989 წლიდან დაიწყო. გეგმური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა „შოკური თერაპიის“ მეთოდით განხორციელდა, რომელიც მოიცავდა ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მატება, ინფლაციური პროცესების ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით; მოსახლეობის შემოსავლების „მკაცრი შეზღუდვა“; საპროცენტო განაკვეთების ზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა, აგრეთვე, ანაბრებსა

და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების ზრდა იმ მიზნით, რომ განხორციელებულიყო მოსახლეობის სტიმულირება ფულის დაზოგვის მიმართულებით; ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა შემცირება; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით ობლიგაციების გამოშვება; საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და უნიფიკაცია; აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება; ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით; მოსახლეობის იმ ნაწილისთვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, რომელიც აღნიშნულ დახმარებას მართლაც საჭიროებს; მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია [1]. აღნიშნულ აქტივობებს დაემატა ისიც, რომ პოლონეთმა მიიღო პრაქტიკული და ფინანსური დახმარება დასავლეთის ქვეყნებიდან PHARE-ს (პოლონეთი და უნგრეთი: დახმარება ეკონომიკის რეკონსტრუქციისთვის) პროგრამის ფარგლებში, რასაც დაემატა შეღავათიანი სატარიფო სისტემა და ევროგაერთიანების გადაწყვეტილება შეჩერებულიყო პოლონეთიდან განხორციელებულ ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები. ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებების ტალღა პოლონეთსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის გაძლიერების მიზეზი გახდა, შედეგად 1991 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა ევროპულ შეთანხმებას, ხოლო „ასოცირების ხელშეკრულება“ წარმოადგენდა შეთანხმების ახალ ვარიანტს, რომელიც 1994 წლისთვის ამოქმედდა.

1997 წელს ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ქვეყნების შეფასება, სადაც პოლონეთი მიჩნეულია ფუნქციონალურ ეკონომიკად, რომელსაც გააჩნია დემოკრატიის მახასიათებლები, სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას. თუმცა პრობლემები არსებობს პრესის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით [2].

მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობდა გაწევრიანების საკითხებზე, წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის აპარატი, რომელიც ყველა იმ სამინისტროსა და ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაციას ახდენდა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ქვეყნის ინტეგრაციის პროცესებში. აპარატი დახმარებას უწევდა ევროპული ინტეგრაციის კომიტეტს, რომლის მთავარი გამოწვევა უკავშირდებოდა პოლონეთის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, პოლონური კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიღწევას, ინსტიტუციურ მომზადებას, ამ მიზნით შემუშავებულ იქნა სპეციალური პროცედურა, კერძოდ: პოლონეთის რესპუბლიკის ევროკავშირში წევრობის მოსამზადებელი ეროვნული პროგრამა (NPPM); ასევე ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხარდასაჭერი ვრცელი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავება; გარდა ამისა საჭირო გახდა მომზადებულიყო სპეციალური პროგრამა, რომელიც შეძლებდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, სადაც აქტიურად ჩაერთვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ევროპული საინფორმაციო ცენტრის (1997) აქტიურობით შემუშავებულ იქნა საზოგადოების ინფორმირების პროგრამა (PIP-პროგრამა ითვალისწინებდა პოლონეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძებების ოთხწლიან გეგმას (1992-2002) [3].

საბოლოოდ პოლონელების უმრავლესობისთვის ევროკავშირში შესვლა ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებების გარადუვალ შედეგად აღიქმებოდა და ასეც მოხდა: 2004 წელს პოლონეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა და ახალი გამოწვევების წინაშეც აღმოჩნდა, კერძოდ: საქონლის თავისუფალი გადაადგილების ამოქმედების შედეგად უამრავი მცირე და საშუალო ზომის პოლონური ფერმა გაღარიბდა, რაც გამოწვეულ იქნა პოლონეთის მიერ ევროკავშირიდან იმპორტირებული საკვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნით. პოლონეთში, ეკონომიკური თვალსაზრისით, საწარმოები მოითხოვდნენ მოდერნიზაციას, რაც გააუმჯობესებდა მათ ფუნქციონირებას ან უზრუნველყოფდა საერთაშორისო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. თუმცა აღნიშნული ქმედებების შედეგად უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. განსაკუთრებით დაზარალდა ისეთი ტერიტორიები, სადაც მხოლოდ ერთი დიდი სამრეწველო ქარხანა არსებობდა, ანუ სადაც არსებობდა ეკონომიკური მონოკულტურა. ასეთი იყო გემთმშენებლობის, სამთო, მეტალურგიული და ელექტრონული ინდუსტრიები [4].

პოლონეთი არ წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრ ქვეყანას. ქვეყნის მონაცემებს თუ შევადარებთ მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, შედეგები ასეთი სახისაა:

1. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიან შიგა პროდუქტის 3%-ს;

ბიუჯეტის შემოსავლებმა და ხარჯებმა 2015 წლისთვის შესაბამისად მიაღწია $81.58 მლრდ. და $90.24 მლრდ., ბუჯეტის დეფიციტი აღწევს $8.66 მლრდ და შეადგენს მშპ-ის 1.8%-ს. დავაკვირდეთ პოლონეთის მშპ-ის ცვლილებას ევროკავშირში გაერთიანებამდედა გაერთიანების შემდგომ პერიოდებისთვის. მშპ-ს ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე 2.1.

დიაგრამა 2.1. მშპ-ს და მშპ ერთ სულ მოსახლეზე დინამიკა პოლონეთში (1996-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD

2004 წელს ევროკავშირთან გაერთიანების შემდგომ პოლონეთის მშპ-ს მოცულობა ეტაპობრივად იზრდებოდა 2008 წლამდე. ხოლო მომდევნო 2009-2010 წლებში დაფიქსირდა ცვლილება შემცირების მიმართულებით, რაც შეეხება 2014 წელს მშპ-მა მიაღწია 544,966 მლრდ. აშშ დოლარს და დაფიქსირდა 14, 782 მლნ აშშ დოლარით მატება 2008 წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით. მშპ-მა ერთ სულ მოსახლეზე ზრდადობა აჩვენა და 2014 წელს შეადგინა 3.3%-ული პუნქტი/14,343 აშშ დოლარი.

2. სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60%-ს;

სახელმწიფო ვალმა უახლესი მონაცემებით მიაღწია $237 მლრდ-ს და მშპ-ს 51.49% შადგინა [5].

3. ინფლაცია 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემს;

პოლონეთის ინფლაციის მაჩვენებელმა შემცირება 1990 წლიდან დაიწყო და 2014 წელს შეადგინა 0.1%-ლი ნიშნული (ტენდენცია იხ. დიაგრამაზე 2.2).

დიაგრამა 2.1. ინფლაციის დონის დინამიკა პოლონეთში (1989-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG

4. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;

5. უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალიწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

პოლონეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოცემულია დიაგრამაზე 2.3.

პოლონეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი 2015 წლის ბოლოსთვის მიაღწია 2.96%-ს, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის, როგორიცაა ფინეთი, გერმანია და შვედეთი გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს აღემატება 0.62%-ით.

დიაგრამა 2.3. პოლონეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი (2001-2016)

წყარო: http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=256&node=bbn4864

2014 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 3.15 პოლონური ზლოტი (PLN), ხოლო 2004 წელს 1 ამერიკული დოლარი = 3.6 ფორინტი, 1993 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 1.8. სავალუტო გაცვლის კურსი 1993-2014 მოცემულია დიაგრამაზე 2.4.

დიაგრამა 2.4. სავალუტო გაცვლის კურსის დინამიკა პოლონეთში (1993-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF

პოლონეთისთვის მნიშნელოვან გამოწვევად აღიქმება „არაჯანსაღ კონტრაქტების“ საფუძველზე დასაქმებულთა არსებობა ქვეყანაში. როგორც ცნობილია პოლონეთს აქვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირში „არაჯანსაღ კონტრაქტზე“ დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით, რაშიც იგულისხმება არაფიქსირებული, დროებითი კონტრაქტების საფუძველზე მომუშავეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. (იხ. დიაგრამა 2.5).

დიაგრამა 2.5. დროებითი კონტრაქტების საფუძველზე დასაქმებულთა %-ული წილი დასაქმებულთა მთლიან მოცულობაში (2003-2014)



წყარო: http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&plugin=1&language=en&pcode=tesem110

პოლონეთში მსგავსი ტიპის კონტრაქტების საფუძველზე დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია ხუთჯერ 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით და მათ 60%-ს ახალგაზრდები წარმოადგენენ. ამასთან, დასაქმებულები არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ სოციალური დაზღვევა ზემოთ ხსენებულ მომუშავეთა კატეგორიისთვის, რაც გულისხმობს რომ ისინი მიიღებენ პენსიის დაბალ დონეს.

ზოგადად, პოლონეთის მოსახლეობამ 2014 წელს შეადგინა 37,995 მლნ კაცი, მათგან მხოლოდ 18,272 მლნ. კაცი ირიცხება სამუშაო ძალაში, რომლის დაახლოებით 9% უმუშევართა რიგებშია. მკვეთრი ცვლილება უმუშევართა რაოდენობის შემცირების მიმართულებით დაფიქსირდა 2008 წელს და შეადგინა სამუშაო ძალის მხოლოდ 7.1%. თუმცა 2009-წლიდან 2013 წლის ჩათვლით აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება, თუმცა ვითარება 2014 წლისთვის უმნიშვნელოდ მაგრამ გამოსწორებულია. უმუშევრობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად პოლონეთისთვის (იხ.დიაგრამა 2.6).

დიაგრამა 2.6. უმუშევართა %-ული წილი სამუშაო ძალის მთლიან მოცულობაში (1996-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.NE.ZS

2014 წლის თებერვალში პოლონეთის უმუშევართა დონემ პოლონეთის ცენტრალურ სტატისტიკის ოფისის ინფორმაციაზე დაყრდნობით მიაღწია 14%-ს, ხოლო 9.7%-ს ევროსტატისტიკის მიხედვით. უმუშევრობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად პოლონეთისთვის. პოლონეთის ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დაფუძნებულია ევროკავშირის ფონდის შესაძლებლობებზე. შრომითი ბაზრის ეფექტიანობის შეფასების დროს შეგვიძლია დავეყრდნოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს 2015-2016, რომლის მიხედვითაც, შრომითი ბაზარი ფასდება 10 კომპონენტის მიხედვით, იხ. დიაგრამა 2.7.

დიაგრამა 2.7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა



წყარო:http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=POL

ყურადღება გავამახვილოთ ორ ყველაზე დაბალ კატეგორიაზე, კერძოდ: ტვინების მოზიდვა (2.4) და ტვინების შენარჩუნება(2.7), რომლებშიც პოლონეთი ძალიან დაბალ ქულებს აფიქსირებს და პრობლემატურ საკითხთა ნუსხაში შედის.

ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვან ნაწილად აღიქმება საქონლის თავისუფალი გადაადგილების საკითხი, რამაც ხელი შეუწყო ორმხრივ სავაჭრო ოპერაციების განხორციელებას და საბოლოოდ მივიღეთ, ის რომ პოლონეთისთვის მთავარი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირი გახდა. ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერების პარალელურად გაიზარდა ევროკავშირთან ვაჭრობაც. საგარეო ანგარიშებს თუ გადავხედავთ შევნიშნავთ, რომ ექსპორტის ზრდა 2014 წელს შეადგენს 6.4%, რაც მიუთითებს წინა ამავე მაჩვენებელთან შედარებით 0.3%-იან მატებას. ზრდადობით ხასიათდება იმპორტის მოცულობა მთელი 8.3%-ული ნიშნულით. 1996 წელს 70% ქვეყნის ვაჭრობისა ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მოდიოდა. მეზობელი გერმანია მთავარი სავაჭრო პარტნიორი აღმოჩნდა პოლონეთისთვის. მონაცემები ცხადყოფს, რომ ევროკავშირში გაწევრიანებით პოლონელი მწარმოებლებმა გამოიყენეს, მათ წინაშე არსებული შესაძლებლობები და გააქტიურეს საქმიანი კავშირები ახალ ბაზრებზე (იხ. დიაგრამა 2.8).

დიაგრამა 2.8. პოლონეთის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (1996-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD;
http://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD

მას შემდეგ რაც რუბლზე დაფუძნებული ვაჭრობა დაიბლოკა 1991 წელს, პოლონეთმა სავაჭრო ორიენტაცია შეცვალა.

პოლონეთი ნაკლებ დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე ვიდრე სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. 2014 წელს სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის სივრცეში შეადგინა მშპ-ის 40%, რაც გაორმაგებული მაჩვენებელია 1990 წელთან შედარებით. ექსპორტის 30% პოლონეთის მიედინება გერმანიაში და 30% დანარჩენ ევროპასთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლონეთის ექსპორტი რუსეთში, 2014 წლის მონაცემებით რუსეთისთვის გამზადებული საექსპორტო ხილ-ბოსტნეული ჩავარდა, პოლიტიკურად მოტივირებული აკრძალვის გამო მოსკოვზე.

ცხრილი 2.1. მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებულ 10 სასაქონლო ნიშნის მიხედვით პოლონეთის ექსპორტი

1994 წ.		2014 წ.	
მეტალები	16.79%	მანქანა და ელექტრონიკა	24.65%
ტექსტილი და ტანსაცმელი	13,13%	გადაზიდვა	14,07%
გადაზიდვა	10,13%	მეტალები	10.58%
მანქანა და ელექტრონიკა	10,03%	სხვადასხვა	7,34%
საწვავი	9,10%	ქიმიკატები	7,01%
სხვადასხვა	6,94%	პლასტმასი და რეზინა	6.93%%
ხე	6,08%	საკვები პროდუქცია	5,98%
ქიმიკატები	6,02%	ხე	5,13%
საკვები პროდუქტი	5,20%	ცხოველები	4,19%
ცხოველები	3,54%	საწვავი	4,14%
ბოსტნეული	3,33%	ტექსტილი და ტანსაცმელი	3,27%
ქვები	3,01%	ქვები	2,54%
პლასტმასი/რეზინა	2,52%	ბოსტნეული	2,88%
მინერალები	2,15%	ფეხსაცმელი	0,54%
ფეხსაცმელი	1,19%	ტყავი	0,54%
ტყავი	0,83%	მინერალები	0,19%

წყარო: http://wits.worldbank.org/detailed-country-analysis-visualization.html

როგორც ცნობილია პოლონეთი წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას და როგორც წევრი ევროკავშირისა ემყარება საერთაშორისო სატარიფო სისტემას იმ საქონელზე, რომელიც ეკუთვნის სხვა ქვეყნებს აშშ-ს ჩათვლით. პოლონეთის მთავარ იმპორტს წარმოადგენს კაპიტალური საქონელი, რომელიც საჭიროა სამრეწველო და საწარმოო სექტორის ფუნქციონირებისთვის. ქვეყნის ყველაზე წარმატებული საექსპორტო საქონელია: მანქანები და სატრანსპორტო პროდუქცია 24,65%, მეტალები 14, 07%, ქიმიკატები 7,01% და სხვ. უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორები პოლონეთისთვის არიან: გერმანია 25.93%, დიდი ბრიტანეთი 6.37%, ჩეხეთი 6.26%, საფრანგეთი 5.60%, იტალია 4.53%, რუსეთი 4.39%, ნიდერლანდები 4.14% [6]. რაც შეეხება იმპორტს, უსხვილესი იმპორტიორები არიან: გერმანია 21.70%, რუსეთი 10.80%, ჩინეთი 10.61%, იტალია 5.26%, საფრანგეთი 3.72%, ნიდერლანდები 3.72%, ჩეხეთი 3.52%. ტოპ 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელია: მანქანები და ელექტრონიკა 23.82%, საწვავი 10.80%, მეტალები 10,45%, ქიმიკატები 9.92% [6].

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა იყო ის, რომ პოლონური სოფლის მეურნეობის სფერო ჩაერთო სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკაში. სოფლის მეურნეობის %-ული წილი მშპ-ში აღწევს 3,38%-ს, თუ ამ მაჩვენებლს შევადარებთ 1995 წელთან შემცირებულია, რასაც ვერ ვიტყვით მომსახურების სექტორის მონაცემზე მშპ-ში, რომელიც საკმაოდ მაღალია და 2014 წლის მონაცემით 64%-ს (იხ. დიაგრამა 2.9) .

დიაგრამა 2.9. სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების %-ული წილი მშპ-ში (1995-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS;
http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS
http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS

სოფლის მეურნეების ძირითადი პროდუქციაა: კარტოფილი, ხილი, ბოსტნეული, ხორბალი, ფრინველი, კვერცხი, რძს პროდუქტები.

მრეწველობის პროდუქციას წარმოადგენს: რკინა და ფოლადი, ნახშრის მოპოვება, ქიმიკატები, გემთმშენებლობა, მინა, სასმელი, ტექსტილი [7].

ევროკავშირში გაწევრიანებამდე, პოლონურ სოფლებში წარმოდგენილი იყო იაფი მუშახელი, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქცია არ შეესაბამებოდა ევროპულ მოთხოვნებს (ხარისხი, შეფუთვა), კონკურენციას ვერ უწევდა ევროპულ პროდუქციას, რომელიც ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით იაფიც ღირდა და ამავდროულად აკმაყოფილებდა ევროპულ სტანდარტებს. არსებულმა სიტუაციამ, გამოიწვია პოლონური სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გაყიდვების შემცირება პოლონურ ბაზარზე და შედეგად ევროპული პროდუქციის მიერ ადგილობრივი, პოლონური პროდუქციის ჩაძირვა.

მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უნგრეთის მიწის 47.1% უკავია [8]. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა %-ული წილი მთლიან დასაქმებულთა შორის 2014 წლის მონაცემებით 11.2%%-ს აღწევს (იხ. დიაგრამა 2.10) [9].

დიაგრამა 2.10. პოლონეთში დასაქმების წილი და დინამიკა სექტორების მიხედვით (1992-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS;
http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS;
http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS

პოლონეთის კანონმდებლობა უცხოური საწარმოებისათვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს ქმნის. მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს სხვადასხვა სახის დახმარებას, მათ შორის: კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი-19% და საინიციატივო ინვესტიციები 14 სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში: (მათ შორის: საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება, ქონების გადასახადისგან გათავისუფლება, კონკურენტუნარიანი ფასები) რამდენიმე სამრეწველო და ტექნიკური პარკი, სარგებლის მიღების შესაძლებლობა ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებიდან, გამწვანებული ადგილები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი გამოყენებულ იქნა ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ავტო-ინდუსტრია, ელექტროტექნიკური მრეწველობა, საბანკო სექტორი, მშენებლობა, საკვების გადამამუშავებელი ტექნოლოგიები, ფარმაცევტული მრეწველობა და საინვესტიციო ფონდები, ასევე სასოფლო-სამეურნეო, სადაზღვევო და ინფრასტრუქტურული სექტორები. პოლონეთისათვის მსგავსი აქტივიბების განხორციელება მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ რესურსებზე დაყრდნობით ქვეყანამ შეძლო ზემოთ ხსენებული სექტორების რეკონსტრუქცია, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული განვითარება და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო ღირებულებამ 2014 წლისთვის 17,275 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება პოლონეთში 795,000 მლნ. აშშ დოლარი იყო. პოლონეთში პირდაპირი უცხოური კაპიტალის შემოდინების ყველაზე დიდი წყარო ევროკავშირის ქვეყნებია, განსაკუთრებით კი ევროზონის წევრი ქვეყნები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 89.5% შემოსული იყო ევროკავშირის ქვეყნებიდან, ხოლო 94.3% ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციიდან (OECD). ქვეყნები, რომლებმაც ფულადი სახსრების ყველაზე დიდი რაოდენობა განათავსეს პოლონეთში არიან: ნიდერლანდები (მთლიანი კაპიტალის 17,1%), საფრანგეთი (16,6%), და გერმანია (16,4). უცხოური ინვესტიციების 50%-ი დაბანდებული იყო ახალი სიმძლავრეების შექმნაში. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლისთვის პოლონეთში შემოდინებულმა პუი-ის მოცულობა მკვეთრად შემცირებული იყო წინა 2012 წელთან შედარებით ამას პრობლემები არ შეუქმნია უცხოური კაპიტალდაბანდების შედეგად ჩამოყალიბებული საწარმოებისთვის სადაც დასაქმებულთა რიცხვმა 1 628,5 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 3,6%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით. მათი უმრავლესობა, ანუ უცხოური კაპიტალდაბანდების შედეგად ჩამოყალიბებულ საწარმოებსა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 46,3% დასაქმდა გადამამუშავებელ მრეწველობაში; ხოლო 23,9% - ავტომობილების შეკეთების სფეროში [4].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებმა 2014 წელს შეადგინა მშპ-ის 3.2%. უმეტესობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა პოლონეთში შემოდის საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან. პოლონეთის ფირმები ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს იტალიასა და ლუქსემბურგში. პუი-ის უდიდესი ნაწილი გამოიყენება წარმოებაში (იხ. დიაგრამა 2.11).

დიაგრამა 2.11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები , წმინდა შემოდინებები (1996-2014)



წყარო: http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD

უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლიდან პირადპირი უცხოური ინვეტიციების მკვეთრი ცვლილება ფიქსირდება, 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს პოლონეთში უმნიშვნელოდ მცირდება პუი-ის მოცულობა, რაც შეეხება შემდგომ წლებს 2009, 2010 და 2011 წლებში დადებითი ტენდენცია ფიქსირდება, მაგრამ დროებით, რადგან 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით იმდენად დავარდა პუი-ის მოცულობა, რომ 1996 წლის მაჩვენებლიც კი „უკან ჩამოიტოვა", თუმცა სიტუაცია რადიკალურად გამოსწორებულია 2014 წლისთვის. ეკონომკური თავისუფლების ინდექსზე [20] დაყრდნობით პოლონეთში მდგომარეობა წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია საინვესტიციო გარემოს თავისუფლების მიხედვით 5 ქულით, სადაც პოლონეთი 75.0 ქულას აფიქსირებს და ხვდება უმეტესად თავისუფალ ზონაში.

უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ ინვესტიციების შემოდინებას გარდა დადებითი მხარისა გააჩნდა უარყოფითი მხარეებიც. როგორც ცნობილია პოლონური კომპანიები საჭიროებდნენ განვითარებას და გაძლიერებას ამ მიზნით, ხორციელდებოდა მათი შესყიდვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული დაინტერესებული პირების მიერ, თუმცა რეალური მიზანი განსხვავებული აღმოჩნდა, კერძოდ უცხოური კაპიტალით შესყიდული ადგილობრივი კომპანიის საქმიანობის შეფერხება ან მისი ლიკვიდაცია, რაც იწვევდა კოპანიის მიერ შესაბამისი საბაზრო წილის დატოვებას, რაც თავის მხრივ ამცირებდა დარგში არსებული კონკურენციის დონეს და გზას უხსნიდა განსაზღვრულ დარგში მწარმოებლების შემოსვლას დასავლეთის ქვეყნებიდან. მაგალითისათვის შესაძებელია მოვიყვანოთ პოლონეთის დასავლეთ რეგიონის ჟურნალ-გაზეთების ბაზარი, რომელიც თითქმის მთლიანად შეისყიდა გერმანულმა კაპიტალმა (90%-ით). აღნიშნულ ტერიტორიაზე არ მოიძებნება პოლონური პრესა, შეხვდებით მხოლოდ პოლონურ-ენოვან გამოცემებს [4].

ახლა ვნახოთ რა ხდება ინოვაციების მიმართულებით. თუ დავეყრდნობით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კნკურენტუნარიანობის ინდექსს 2015-2016 შევნიშნავთ, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაა. კატეგორიაში - ინოვაციები, პოლონეთმა 3.3 ქულას მიაღწია, თუ აღნიშნულ კატეგორიას ჩავშლით 7 კატეგორიად, რის საშუალებასაც გვაძლევს აღნიშნული ინდექსი დავინახოთ იმ პრობლემური ადგილებს, რომლებიც არსებობს დღეს ქვეყანაში (იხ. დიაგრამა 2.12).

დიაგრამა 2.12. კატეგორია - ინოვაციები



წყარო:http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=POL

ამრიგად, პოლონეთისთვის მთავარ გამოწვევას ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერების კვალდაკვალ წარმოადგენდა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის აპარატმა, რომელიც ყველა იმ სამინისტროსა და ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაციას ახდენდა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ქვეყნის ინტეგრაციის პროცესებში.

ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად უამრავი მცირე და საშუალო ზომის პოლონური ფერმა გაღარიბდა, რაც გამოწვეულ იქნა პოლონეთის მიერ ევროკავშირიდან იმპორტირებული საკვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნით. დაზარალდა ისეთი ტერიტორიები, სადაც არსებობდა ეკონომიკური მონოკულტურა. ასეთებს განეკუთვნებოდა გემთმშენებლობის, სამთო, მეტალურგიული და ელექტრონული ინდუსტრიები.

ევროკავშირისთვის მგრძნობიარე სექტორად სოფლის მეურნეობის სექტორი მიიჩნევა, შესაძლებელია მანშეზღუდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი. ამიტომ აღნიშნული ფაქტი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ქვეყნის გადაწყვეტილება ააგოს ეკონომიკა სოფლის მეურნეობაზე და იმედოვნოს, რომ აღნიშნული სექტორი მნიშვნელოვან წილს დაიკავებს ექსპორტში უგულებელყოფილ უნდა იქნას. ერთის მხრივ, სახეზეა ევროკავშირის აგრარული სექტორის პროდუქცია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მეორე მხარე განვითარებადი ქვეყნის აგრარული სექტორის დაბალკონკურენტუნარიანი პროდუქცია, თუმცა შესაძლებელია კონკრეტულ პროდუქტზე სპეციალიზაცია. და მაინც ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყნის შესაძლებლობებზე მომსახურებისა და წარმოების სექტორში.

მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა იმყოფება, უკავშირდება „არაჯანსაღ კონტრაქტების“ საფუძველზე დასაქმებულთა მოცულობას. უმუშევრობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად პოლონეთისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობით შემოსვლა დადებით მოვლენად აღიქმება, გამოიკვეთა უარყოფითი მხარეც, კერძოდ, ხორციელდებოდა უცხოური კაპიტალით შესყიდული ადგილობრივი კომპანიის საქმიანობის შეფერხება ან მისი ლიკვიდაცია, რაც იწვევდა კოპანიის მიერ შესაბამისი საბაზრო წილის დატოვებას, რაც თავის მხრივ ამცირებდა დარგში არსებული კონკურენციის დონეს და გზას უხსნიდა განსაზღვრულ დარგში მწარმოებლების შემოსვლას დასავლეთის ქვეყნებიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ საწარმოებმა, რომლებიც დაფინანსდნენ უცხოური კაპიტალით და არ მოხვდნენ განსხვავებული ინტერესების მქონე ინვესტორის ხელში შეძლეს მნიშნელოვანი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წარმოების სექტორში, რაც აისახა ექსპორტის მაჩვენებელზეც, როგორც ვნახეთ ბოლო წლებში ექსპორტი აჭარბებს იმპორტს. პოზიტიურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩენებლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ლეკაშილი, გ. ყუფარაძე, ნ. მაისურაძე; სალექციო კურსი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე; თბ., 2013
2. ვლადიმერ პაპავა, საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები, გამომცემლობა „ინტელექტი“ , თბ., 2015;
3. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ევროპული პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება საქართველოში, ვიშეგრადის ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2015;
4. Grzebyk Mariola, EXPERIENCE OF POLAND IN REFORMATION OF TRADE RELATEDISSUES WITH THE EU INTEGRATION ASPECT, Collection of Analytic Articles “V4 Countries Reforming Experience for Georgia and Ukraine”; Association of Young Economists of Georgia (AYEG), Tbilisi 2015;
5. http://www.nationaldebtclocks.org/debtclock/poland
6. http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html
7. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/pl.html
8. http://data.worldbank.org/indicator/AG.LND.AGRI.ZS
9. http://data.worldbank.org/indicator/SL.AGR.EMPL.ZS/countries/1W-HU?display=default
10. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD
11. http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG

12. http://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF
13. http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.NE.ZS
14. http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD;
15. http://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD
16. http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS
17. http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS;
18. http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS
19. http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD
20. http://www.heritage.org/index/country/poland
21. http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=256&node=bbn4864
22. http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&plugin=1&language=en&pcode=tesem110
23. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=POL
24. http://wits.worldbank.org/detailed-country-analysis-visualization.html
25. http://www.heritage.org/index/country/poland
26. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=POL

Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU:
Poland

Eka Lekashvili,
TSU Associated Professor
Mariam Bitsadze,
Magister of Economic and Business Faculty at TSU
Ketevan Jikia,
Magister of Economic and Business Faculty at TSU

We are continuing series of articles “Challenges of Economic Policy for Visegrad Countries after joining EU”.

Presented article contains Polish experience. Economical values and their variation before and after joining EU; also, main problems and challenges were studied, such as: process of getting close to and harmonizing with EU legislations, membership of EU Economic and Monetary Union (EMU), “Unhealthy relation” affecting employed capacity, disruption of activities of the companies purchased with foreign capital. On the basis of studying Polish experience, it can be considered as a way to join EU for Georgia.

ეკონომიკის სტაბილური ზრდა საინვესტიციო აქტივობის გაძლიერებას მოითხოვს

ნიკოლოზ შენგელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი
598481001
Nikash@mail.ru

ბაქარ ბერუაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის
დოქტორანტი
595058301
baqarberuashvili@yahoo.com

სტატიაში განხილულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და საინვესტიციო აქტივობის ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთგანმაპირობებელი დამოკიდებულება. ქვეყანას არ ექნება მომავალი, თუ იგი ეკონომიკურად არ იზრდება. ეს კი ვერ მოხდება, თუ მას ინვესტიციური რესურსი არ გააჩნია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს და განვითარებად ქვეყნებს ასეთი რესურსი ნაკლებად აქვთ. ისინი ძირითადად უცხოურ ინვესტიციებზე არიან დამოკიდებული. ასეთი ქვეყანაა საქართველოც.

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში შემოსული ინვესტიციების მოცუ ლობა და დინამიკა 2005-2014 წლებში. ქვეყანას ამ თვალსაზრისით ჰქონდა დაცემის პერიოდებიც და აღმავლობაც. გამოთქმულია აზრი, რომ მხოლოდ უცხოური ინვეს ტი ციების იმედზე ყოფნა დაუშვებელია. საჭიროა ადგილობრივ ბიზნესმენებსაც შეეწყოთ ხელი დანაზოგების ინვესტირებაში.

შესავალი

ყველასათვის ცნობილია, რომ მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელსაც ეკონომიკური ზრდა შეუძლია. ასეთი საფრთხის წინაშე დგანან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, რომელთაც არც ადგილობრივი ანუ საკუთარი საინვესტიციო წყაროები აქვთ და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც უჭირთ. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა საქართველოც.

1. საინვესტიციო აქტივობა და ეკონომიკური ზრდა

საინვესტიციო აქტივობის პრობლემა სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ეკონომიკის სტაბილური ზრდა მიიღწევა საკმარისი საინვესტიციო რესურსების მობილიზაციით და მისი ეფექტიანი გამოყენების გზით. ეს დასტურდება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით. აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრან გეთში XX საუკუნის 60-70-იან წლებში, მაღალმა საინვესტიციო აქტივობამ, რომელიც ინვესტიციების გაორმაგებაში გამოიხატა, მათ ერთობლივი ეროვნული პროდუქტი მნიშვნელოვნად გაუზარდა – იაპონიას 70%-ით, გერმანიას – 30%-ით, აშშ-ს 25%-ით და ა.შ.

საინვესტიციო აქტივობის ზრდას დაუკავშირდა აგრეთვე, აზიის ახალი ინდუსტ რიული ქვეყნების – სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის, ჰონკონგის სწრაფი განვითარებაც. ამ ქვეყნებში, შედარებით მოკლევადიან პერიოდში საინვეს ტიციო აქტივობისთვის ოპტიმალური და ეფექტიანი პირობების შექმნის ხარჯზე მიღწეული იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. შეიქმნა დაბალანსებული ეკონომიკური სტრუქტურები, მოხდა საექსპორტო პოტენციალის სწრაფი მობილიზება და მსოფ ლიო ბაზრის კონიუნქტურასთან მისი შეთანხმება, მეცნიერტევადი დარგების განვითარება, რამაც ამ ქვეყნებს ეკონომიკის განვითარების და ცხოვრების პირობების მაღალი დონე მისცა.

ეს მაგალითები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საინევსტიციო აქტი-ვობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს ურთიერთგანმაპირობებელი დამოკიდებუ ლება და იგი უნდა გავითვალსიწინოთ ჩვენც – ქართველებმაც. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია რა საინვესტიციო აქტივობაზე, თავის მხრივ, განსაზღვრავს განვი თარების კონკრეტული ეტაპისთვის ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს მიღწეული იქნას გაწეული საინვესტიციო აქტივობის ადექვატური ეკონომიკური ზრდა. ე. ი., რაც უფრო მაღალია ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპები, მით უფრო მაღალია საინვესტიციო რესურსების გაფართოების და რაციონალური საინვეს ტიციო

პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობები.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის მიზეზების განსაზ ღვ რისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: ფორმალისტური და ადამიანისეული. ორივე მიდგომას თავის მომხრეები ჰყავს. ფორმალისტური მიდგომის მომხრეები ეკონომიკურ ზრდის მიზეზთა განსაზღვრას ფორმალიზებული მეთოდების გამოყე ნებით ცდილობენ. მათი შეხედულება ეფუძნება სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის აუცილებლობას და მის კავშირს ფულის მიმოქცევის მოცულობასთან. ისინი გან საკუთრებულ აქცენტს მ,ულტიპლიკატორის ეფექტზე აკეთებენ. რაც შეეხება ადამია ნისეულ მიდგომას, მისი მომხრეების მიერ წარმოდგენილ მოდელებში მათემატი კური ფორმალიზების გვერდით, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკური ზრდის მიზეზთა შორის პიროვნული ფაქტორის გამოყენებას. ამ მიდგომის მიხედვით ეკონომიკური ზრდა ძირითადად ეფუძნება ტექნოლოგიური სახის სიახლეთა ზრდას. რაც უფრო მეტია ასეთი სიახლეები, მით მეტი მიზეზი არსებობს წარმოების განახლებისა და განვითარებისათვის და შედეგად ეკონომიკური ზრდისთვის. ადამიანური მიდგომის ფუძემდებელი იყო ი. შუმპერტერი. მან დაამტკიცა, რომ სიახლეებისადმი სწრაფვის გარეშე შეუძლებელია წარმოების ზრდის მიღწევა.

ინვეს ტიციებს, როგორც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ფაქტორს, დიდი ყურადღება დაეთმო მეცნიერების რ. ხაროდისა და ე. დომერის ნაშრომებში. მათ მიერ შემუშავებულ მოდელში ისინი ასაბუთებენ, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია დაგროვების ნორმასთან, ხოლო უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია კაპიტალის კოეფიციენტთან. აქედან გამომდინარე, დაგროვების ოპტიმალური ნორმის განსაზღვრა, რომლის მიხედვით უნდა იზოგებოდეს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნაწილი და შემდეგ იგი ინვესტი ციების ფორმით იხარჯებოდეს ეკონომიკაში, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყნის მთავრობამ, მისმა ეკონომიკურმა გუნდმა უნდა დაასაბუთოს ეროვნული პროდუქტის განაწილებისას რაზე – მოხმარებაზე თუ დაგროვებაზე აკეთებს აქცენტირებას და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა მის მიხედვით შეიმუშავოს.

2. საქართველოს ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის ინევსტიციური აქტივობა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი გზაა სწრაფი ეკონომიკური განვითარება. სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას კი დიდი მოცულობის და ამასთან მუდმივადი ზრდადი დინამიკის ინევსტიციები სჭირ დება.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდის გაზომვის პრაქტიკაში, როგორც წესი, გამოიყენება რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდის ტემპი [1, გვ. 49].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1992-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები შემდეგნაირი იყო (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები (%) [2] [3]

წლები	ეკონომიკური ზრდის პროცენტი	წლები	ეკონომიკური ზრდის პროცენტი	წლები	ეკონომიკური ზრდის პროცენტი
1992	-44.9	2001	4.8	2010	6.3
1993	-29.3	2002	5.5	2011	7
1994	-10.4	2003	11.1	2012	6
1995	2.6	2004	5.9	2013	3.2
1996	11.2	2005	9.6	2014	2.8
1997	10.5	2006	9.4		
1998	3.1	2007	12.3		
1999	2.9	2008	2.3		
2000	1.8	2009	-3.3		

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1992 წლიდან 3 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად ეცემოდა. შემდეგ წლებში ეკონომიკის ზრდის პიკი იყო 2007 წელს (12.3%). 2008 წლიდან ეკონომიკის ზრდა შენელდა. ეს გამოიწვია რუსეთ-საქართველოს ომმა და ფინანსურმა კრიზისმა.

ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინევსტიციო გარემო. იმის გარდა, რომ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური რესურსი არ ჰქონდა, 90-იან წლებში პირდაპირი უცხოური ინევსტიციებიც უმნიშვნელო იყო. საქართველოში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2006 წლიდან შეინიშნება. ამ ტენდენ-

ციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კომპანიები. ამის შედეგად 2007 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში პირველად და ჯერ-ჯერობით უკანასკნელად დაფიქსირდა უცხოეთიდან 2014,8 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიციის შემოსვლა [4, გვ. 20].

საქართველოს ინვესტიციური აქტივობის გამომსახველი მაჩვენებლები უცხოურ ნაკადებთან მიმართებაში წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში 2.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2008-2014 წლების პერიოდში 2014 წელი არის ის პირ-ველი წელი, როდესაც ინვესტიციების შემოდინებამ გადააჭარბა 2008 წლის მაჩვე-ნე ბელს 12.4%-ით.

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოპური იუნვესტიციები საქართვლეოში
(მოცულობა და დინამიკა) [5, გვ. 94]

წლები	უცხოური ინვესტიციები, მლნ აშშ, დოლარი	დინამიკა (%-ად)	
		წინა წელთან	2008 წელთან
2005	449.8	-	-
2006	1190.4	263.1	-
2007	2014.8	175.2	-
2008	1564	77.6	-
2009	658.4	42.1	42.1
2010	814.5	123.7	52.0
2011	1117.2	137.2	71.4
2012	911.6	81.7	58.2
2013	914.4	100.3	58.3
2014	1758	192.3	112.4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშიც დაფიქსირდა. თუ იგი 2009 წელს 6.1%-ს, 2011 წელს 7.7%-ს, ხოლო 2013 წელს 5.8%-ს შეადგენდა, 2014 წელს ამაღლდა 10.6%-მდე [4, გვ. 21]. შედარებისთვის: აშშ-ში ეს მაჩვენებელი 18.8%-ია, იაპონიაში 22.9%, ევრო კავშირში 20% [5, გვ. 96].

3. შიდა დანაზოგების დაგროვება საქართველოში

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ ორიენტაცია მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე კი არ უნდა აიღოს, არამედ უნდა გააძლიეროს მუშაობა იმისთვის, რომ გაიზარდოს შიდა დანაზოგების დაგროვება, ანუ შიდა ინვეს ტიცია. ქართველ ეკონომისტთა ერთი ნაწილი ამ მოსაზრებას უფრო მძაფრად გამოხატავს. „უცხოურ ინვესტიციებს შუქიც აქვთ და ჩრდილიც, – წერენ პროფესორები ზ. ღუდუშაური და ე. ბალიაშვილი, – დღეს ჩვენ მხოლოდ მის შუქს ვხედავთ, ჩრდილს მომავალში დავინახავთ, როცა ყველაფერს გავეკიდით მაშინ, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიანი იქნება, დაკარგულს აღარაფერი ეშველება. ამიტომ დღეიდანვე მარტო სხვის იმედზე კი არ უნდა ვიყოთ და ტოტალურ უცხოურ ინვესტირების პოლიტიკას ვახორ ციელებდეთ, არამედ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ შიდა დანაზოგების ინვესტირებას“ [7, გვ.]. ამჟამად გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების კომპო ნენტში 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომის კომპონენტში 126-ე ადგილი [1, გვ. 68]. რა თქმა უნდა, ეს ცუდი მაჩვენებლებია.

ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად არ კმარა მხოლოდ უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისება. პირიქით, მეტი აქცენტი შიდა დანაზოგების წახალისებაზე უნდა გაკეთდეს, მხედველობაში გვაქვს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დანაზოგები. სახელმწიფო დანაზო-გების გაზრდის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ფისკალური კონსო ლი დაციის თანმიმდევრული პოლიტიკა. კლებადი და მდგრადი დეფიციტის უზრუნ ველყოფით სახელმწიფო შეძლებს დანაზოგების გაზრდას ქვეყანაში. რაც შეეხება კერძო დანაზოგებს, მათ ზრდას ხელს უშლის მოსახლეობის სიღარიბე, მაგრამ საქართველოში არის ფენა, რომელთაც ჭარბი კაპიტალი აქვთ, მაგრამ ისინი არ „ეტრფიან“ ბანკებს ფულის შესანახად, რადგან დეპოზიტის პროცენტი საქართვე ლოში ძალზე დაბალია (10-12% წელი წადში). სახელმწიფო უნდა ჩაერიოს კომერ ციული ბანკების საქმიანობაში და დაუწესოს დეპოზიტების პროცენტის ქვედა ზღვარი

და კრედიტების პროცენტის ზედა ზღვარი. დეპოზიტის პროცენტის ქვედა ზღვარი წლიურად 18% მაინც უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში არა თუ მოსახ ლეობის მდიდარი ფენა, არამედ საშუალო ფენაც კი შემოსავლის მიღების მიზნით, კერძო პირებზე კი არ გაასესხებს თავის დანაზოგს, არამედ განათავსებს ბანკებში.

უფრო მეტად უნდა წახალისდეს გრძელი ვადით (10 და მეტი წელი) დეპო-ზიტის განთავსება ბანკებში. ჩვენი აზრით, მისი საპროცენტო განაკვეთი 20-22 პროცენტი უნდა იყოს წელიწადში. თუ ეს ღონისძიებები განხორციელდა, მაშინ ქვეყანაში გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა და შეიქმნება საფინანსო რესურ სებზე ხელმისაწვდომობის გრძელვადიანი და სტაბილური ბაზა.

ადგილზე ინვესტიციების ბაზის გაფართოების კარგი წყაროა საფონდო ბაზრის (ბირჟის) განვითარება. საქმე ისაა, რომ საქართველოში ვერა და ვერ განვითარდა საფონდო ბირჟა. საქართველოში ბირჟა კი არსებობს, მაგრამ სუსტი, განუვითა რე ბელი. იგი რომ განვითარებული იყოს და კომპანიები იქ ანთავსებდნენ ფასიან ქაღალდებს, მათ გამოუჩნდებოდათ მყიდველები, რის შედეგადაც კომპანიებს აღარ დასჭირდებოდათ ბანკებიდან კრედიტების აღება. ამის გარდა, ამ ფასიან ქაღალ დების მყიდველებსაც ამ კომპანიებიდან შემოუვი დოდათ დივიდენდი, რაც გაზრდიდა მათ დანაზოგებს.

ჩვენი აზრით, საქართველოში არსებობენ ისეთი პრესტიჟული კომპანიები, რო მელთა აქციებს სიამოვნებით იყიდის მოსახლეობა. ასეთებია: „ნატახტარი“, მარ ნეულის კომბინატი, „ზედაზენი“, „ყაზბეგი“, „კოკა-კოლა“, „კუმისი XXI საუკუნე“, „კულა“ და სხვები. საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობებში მათ თავშეკავებას ვხსნით შემდეგი მიზეზით:

1. ბირჟისგან სარგებლობის ინფორმაციის დეფიციტი (გაუთვითცნობიე რება);
2. ბირჟაზე შესვლის ბარიერების სირთულე;
3. გარიგებების მაღალი ღირებულება საბანკო გარიგებებთან შედარებით.
4. 90-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბებული მსგავსი ბირჟების – კავ-კა სიის ბირჟა, თბილისის ბირჟა და სხვები – მუშაობის ცუდი ისტორიული გამოცდილება.

ეს პრობლემები თავისით დროულად ვერ მოიხსნება, თუ სახელმწიფო მასში აქტიურად არ ჩაერევა. ასე რომ, ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, რომ საქართველოს საფონდო ბირჟა არ იყოს მხოლოდ თვითრეგულირებადი სტრუქ ტურა. მას ამ ეტაპზე სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. სახელმწიფომ უნდა გაამარტივოს ბირჟაზე შესვლის ბარიერები, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ფინანსური განათლება ქვეყანაში, აამაღლოს მოსახლეობის ინფორმირებულობა როგორც ფასიანი ქაღალდების თავისებურებების, ისე აქციონერთა უფლებების შესახებ.

ამის გარდა, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყა-ლიბოს საფონდო ვაჭრობის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო (როგორც აქვთ კომერციულ ბანკებს, ენერგეტიკას და სხვებს), რომელიც დაიცავს ბაზარს სპეკუ ლაციური გარიგებებისგან. აქვე გვინდა დავამატოთ ამ საქმეში რეკლამის დიდი როლი. საქართველოს მოსახლეობა ფაქტიურად არ იცნობს ამ სტრუქტურას და მისგან მისაღებ პოტენციალურ სიკეთეს. რეკლამა ძვირადღირებული სიამოვნებაა. როგორც ჩანს, თვით საფონდო ბირჟა, რომელიც ქ. თბილისში ფუნქციონირებს, ასეთ ხარჯებს ვერ ეწევა. ჩვენი აზრით, რადგან ეს საქვეყნო საქმეა, რეკლამის ხარჯები სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე. ეს არ იქნება ხანგრძლივვა დიანი. როცა მოსახლეობაც და კომპანიებიც გაიგებენ საფონდო ვაჭრობის სიკეთეს, ისინი ჩაერთვებიან მასში და რეკლამაც აღარ იქნება საჭირო.

სარწმუნო წყაროს ცნობით, „ახალი, მდიდარი ქართველები“ საზღვარგარეთის საფონდო ბირჟებზე (ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს და სხვების) ვაჭრობენ, ანუ აბანდებენ ფულს ემიტენტი-ფირმების აქციებში, იმ იმედით, რომ მათი კურსი აიწევს და მოგებას მიიღებენ. მტკიცედ გვჯერა, რომ ეს პიროვნებები სამამულო საფონდო ბირჟაზე თამაშისგანაც არ შეიკავებენ თავს, თუ ბირჟა იქნება სანდო, ჯანსაღი გარიგებების და სტაბილური მომავლის მქონე. ამის გარანტი მხოლოდ სახელმწიფო უნდა იყოს. საქართველოს მოსახლეობამ იმდენი სიმწარე ნახა 90-იან წლებში შექმნილ ბირჟებისაგან, რომ იგი ამ საქმეში კერძო პირებს აღარ ენდობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით ფინან სებზე წვდომის მდგომარეობით საქართველო დღეს მსოფლიოში 126-ე ადგილზეა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში – „საქართველო – 2020“ გათვალისწინებულია 2020 წლითვის მისი 75-ე ადგილზე გადმონაცვლება [6, გვ. 80]. ამაში, კომერციული ბანკების გარდა, დიდი როლი, იქნებ უპირატესიც კი, საქართველოს საფონდო ბირჟამ უნდა შეასრულოს.

ვიმეორებთ, ეს მოხდება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების აქტიურობით და ძალისხმევით.

დასკვნა

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთერთი აქტიური ფაქტორია ინვესტიციები. იგი ან ადგილობრივი უნდა იყოს, ან უცხოური, ანდა ორივე ერთად.

ადგილობრივი ინვესტიციების არასაკმარისობის გამო, რასაც დანაზოგების სიმცირე განაპირობებს, საქართველოს მთავრობის საინვესტიციო აქტივობა მათ მოსაზიდად საკმაოდ მაღალია. ნაშრომში გამოთქმულია იმის სურვილიც, რომ არ ვიყოთ მხოლოდ უცხოური ინვესტორების იმედზე და მეტად წავახალისოთ ადგილობრივი ბიზნესმენები, რათა მათ თავიანთი დანაზოგი არა საზღვარგარეთ, არამედ საქართველოში დააბანდონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვლ. პაპავა, საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი, გვ. 48-52, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, 2014, 27-28 ივნისი.
2. http://europa.eu/legislation_summaries/economic_and_monetaru_affairs/stability_and growth-pact_en htm
3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ქვეყნების სტრუქტურული ცვლილების ინდიკატორები – http://www.ebrd.com/pages/research/economics/data/macro.shtm#structural
4. ქავთარაძე მ., ბეჟანიძე ნ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, ჟ. „ეკონომიკა“, №7-9, 2015.
5. პაპასკირი რ., ბერუაშვილი ბ., ეკონომიკის ზრდას საინვესტიციო რესურსების მობილიზება სჭირდება, ჟ. „ეკონომიკა“, №7-9, 2015.
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო – 2020, თბ., 2013.
7. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე., უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შუქ-ჩრდილები, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“, მასალები, 24-25 ივნისი, 2015.

THE STABLE ECONOMIC GROWTH REQUIRES STRENGTHENING OF THE INVESTMENT ACTIVATES

NIKOLOZ SHNEGELIA
Doctor of Economics, Professor of St. Grigol Peradze Tbilisi University

BAKAR BERUASHVILI
Doctoral Candidate of Georgian Technical University

The article considers interconnection of the economic growth and investment activities their interdependent connections. The country will not have the future if it is not economically developed and it won't happen without investments.
The developing countries and countries with transition economy do not have such resources they basically depend on investments foreign countries. Georgia also is similar country.
The article analyses the amount and dynamic of Georgian investments in 2005 - 2014. In this regard, the country had the both rises and the period of falls. There is an opinion that it is excluded to rely only on foreign investments it is necessary to support to the local businessmen in investing the savings.

ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი (ბსი) – მეწარმეობის ხელშეწყობის სრულიად ახალი ფორმა

ლიონ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ჩვენ შევეცადეთ სტატიაში მოკლედ გადმოგვეცა, თურა თვისობრივი განსხვავებაა ბიზნეს-სკოლებისა და ბიზნესინკუბატორებთან შედარებით ჩვენი ბსი-ს მოდელში. როგორც წესი, ბიზნეს-სკოლები ასწავლიან ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო ბიზნეს-ინკუბატორის მთავარი იდეა იმაში მდგმარეობს, რომ დამწყებ ბიზნესს ხელს უწყობენ საქმიანობის დაწყებაში სხვადასხვა ფორმით, ხოლო როცა მოღონიერდება და სტაბილური შემოსავალი გაუჩნდება, გადიან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ბსი-ს, ის არის ამ ორი ფორმის „კუპაჟი“, გაერთიანება ერთში, მაგრამ უფრო დახვეწილი ფორმით. და ყველაზე მთავარი ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელში ის არის, რომ ბსი სრულად იღებს პასუხისმგებლობას ახალი სამეწარმეო ფორმირებების საქმიანობაზე და საბოლოო შედეგზე.

წარმოდგენილი პროექტის მიზანია

ა) სწავლების (ტრენინგ-კურსების) პროცესში პოტენციური ბიზნესმენების გამოვლენა და სტიმულირება;

ბ) დახმარება ახალი იდეის აღმოჩენასა და ბიზნესგეგმის შედგენაში;

გ) ბიზნესპროექტის დაფინანსება საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე და შემდგომი ყოველმხრივი მხარდაჭერა ახალი ბიზნესის მართვაში, საკრედიტო თანხის სრულად დაბრუნებამდე;

დ) ნაკლები დანახარჯით მეტი ადამიანის დასაქმება.

პროექტის მოკლე სქემა არის ასეთი:

სწავლება (ტრენინგ-კურსები, ბიზნესიდეის გადაქცევა ბიზნესგეგმად) - პროექტის შერჩევა კოლეგიალური ორგანოს - საკრედიტო კომიტეტის მიერ და დაფინანსება - სრული კონტროლი თანხის საბოლოო დაბრუნებამდე - დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულად გასვლა და პარტნიორული თანამშრომლობა, როგორც გარკვეული წილის მფლობელის უფლებით - ნებაყოფლობითი გაერთიანება ასოციაციაში.

პროექტი შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად ეტაპად:

I ეტაპი: ბიზნესსკოლა ატარებს მოსამზადებელ ტრენინგ-კურსებს;

II ეტაპი: სრული კურსის გავლის შემდეგ, მოხდება თითოეული პროექტის განხილვა ბსი-ს ექსპერტების მიერ კოლეგიალურ ორგანოში, როგორც ბანკის საკრედიტო კომიტეტში, სადაც შეირჩევა რეალური პროექტები;

III ეტაპი: მოწონებული პროექტის დაფინანსება და რეალიზება;

IV ეტაპი: სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ, თითოეული ბიზნესპროექტი დამოუკიდებლად გადის ცალკე იურიდიულ პირად, სადაც წინასწარ შეთანხმებული გარკვეული წილი (არანაკლებ 30%-ისა) იქნება იდეის ავტორის, ხოლო 10-დან 20%-მდე ბსი-ს არაუმეტეს 10 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ თითოეული ბიზნესპროექტი სრულიად დამოუკიდებლად აგრძელებს ფუნქციონირებას.

პროექტში შესაძლო მონაწილე სუბიექტები

სახელმწიფო სტრუქტურა - პროექტის დამფინანსებელი* და/ან თანადამფინანსებელი.

ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი (ბსი) - პროექტის განმხორციელებელი.

* თანადაფინანსებაში შეიძლება შემოვიდეს კერძო იურიდიული ან ფიზიკური პირი, ან მიიღოს გრანტი.

ფინანსების მართვის სქემა

1. თითოეული ბიზნესპროექტი ბსი-ს შემადგენლობაში შევა როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული. თითოეულ პროექტზე ცალ-ცალკე კეთდება ხარჯების კალკულაცია და მოგება-ზარალის შიდა მოხმარების ბალანსი.

2. იდეის ავტორი თავიდან იმუშავებს როგორც პროექტის მენეჯერი. ის და მისი თანამშრომლები შრომის ანაზღაურებას და სხვა საჭირო ხარჯებს გაწევენ ბსი-ს ანგარიშიდან ამ კონკრეტული პროექტისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის - საპროექტო ღირებულების ფარგლებში.

3. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაწეული მომსახურების/რეალიზებული პროდუქციის შედეგად შემოსული თანხები შემოდის ბსი-ს ანგარიშზე, მაგრამ პარალელურად ცალკე აღირიცხება ამ პროექტის (სტრუქტურული ერთეულის) შემოსავლების ნაწილში.

4. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა სრულად დაბრუნდება ძირითადი თანხა, აღნიშნული პროექტი - გადის დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულად, სადაც ბსი-ს რჩება 10% მაქსიმუმ 10 წლის განმავლობაში, ხოლო 90% - იდეის ავტორს.

რისკები და დაცვის მექანიზმები

რეალური რისკი შესაძლებელია:

1. არასწორი მენეჯმენტის გამო ბსი-ს მხრიდან;

2. ფორს-მაჟორული სიტუაცია და სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტები;

(პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება, ეკონომიკური კრიზისი, სავალუტო კურსის ცვლილება და ა.შ.)

3. ბსი-სთვის იდეის ავტორის მხრიდან რისკის ფაქტორი და მოსალოდნელი ზარალი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მასზე გაცემული ხელფასის ფარგლებში.

რისკის თავიდან აცილების მიზნით :

1. თავიდანვე ავიყვანთ მაღალი დონის სპეციალისტებს:

ბუღალტერი, აუდიტი, კრედიტოფიცრები, საკრედიტო რისკების მენეჯერი, სამეწარმეო და სამოქალაქო სამართლის იურისტი, მარკეტინგის, PR-ისა და რეკლამის მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერი.

2. ბსი თავისი ფინანსური რესურსიდან ყოველთვის გადადებს სარეზერვო თანხას ასეთი შემთხვევისთვის.

ეს შეიძლება იყოს საკრედიტო პორტფელის რაღაც პროცენტი. ვთქვათ, 5-10-15%, ამის ოდენობას გათვლა სჭირდება და დაზუსტება.

ფინანსური შემოსავალი ბიუჯეტის სასარგებლოდ

ვნახოთ რას მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტი 10 წლის განმავლობაში მცირე ბიზნესში განხორციელებული კრედიტების სანაცვლოდ. ჩვენი პესიმისტური გათვლებითაც კი, ზემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით ინვესტირებისა და რეინვესტირების შემთხვევაში, როცა ყოველწლიურად 10 მლნ-ის ფარგლებში განხორციელდება რეინვესტირება ახალ პროექტებში, ასეთი შედეგი მივიღეთ:

- ეს იმას ნიშნავს, რომ პირველადი 20 მლნ-ის ინვესტიცია (3 წლის განმავლობაში) სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიურად ბიუჯეტში შეიტანს მინიმუმ 2 მლნ ლარს მხოლოდ საპროექტო ღირებულების ინვესტირებიდან, რაც 10 წელიწადში 20 მლნ-ის ტოლია;

- ახალი ბიზნესის, ბსი-დან დამოუკიდებელ იურიდიულ პირად გასული ფირმების, ანგარიშზე მოსალოდნელი შემოსავალი ბიუჯეტში, თუ თითოეული ბიზნესი განვითარდება იგივე ტემპით, როგორც ბსი-ს შემადგენლობაში ყოფნისას, პროექტის დაწყებიდან 10 წელიწადში მარტო მოგების სახით 70 მლნ-ის ფარგლებშია. ესაა დაახლოებით 10 მლნ მოგების გადასახადის სახით ამ ნაწილიდან. ამას დავუმატოთ ამავე ფირმების საბრუნავი საშუალებების ხარჯები, რომელიც, საშუალოდ, მოგებაზე 7-ჯერ მეტია (70*7=490 მლნ), რაც იბეგრება საშუალოდ 19-20%-ით. ესაა დაახლოებოთ 100 მლნ ლარი ბიუჯეტში, ხოლო ძირითადი თანხა ისედაც ბრუნდება უკან 100%-ით. ანუ ბსი-ს მიერ შექმნილი ახალი ბიზნესპროექტებიდან 10 წლის მანძილზე სახელმწიფო მიიღებს 110 მლნ ლარს ბიუჯეტში გადასახადების სახით;

- დღეს ჩადებული 20 მლნ ლარი 10 წლის განმავლობაში სახელმწიფოს უბრუნებს მარტო ბიუჯეტში გადასახადის სახით ძირითადი თანხის გარდა - 130 მლნ ლარს (20მლნ - ინვესტირებულის (100მლნ) დაბეგვრიდან, + 10მლნ - დამოუკიდებლად გასული ბიზნესის მოგების გადასახადის სახით, + 100მლნ - დამოუკიდებლად გასული ბიზნესის აქტივობიდან გადასახადი). როცა ბიზნესიდა ბიუჯეტში შემოდის 130 მლნ ლარი, ეს ნიშნავს რომ ამ გადასახადების უკან დგას 5-ჯერ მეტი ოდენობის მშპ - 1 150 მლნ ლარი. 20 მლნ - თავიდან ჩადებული თანხა, - ისედაც უკან უბრუნდება ბიუჯეტს 100 %-ით. და ათასობით ადამიანი ხდება დასაქმებული უვადო სამუშაო ადგილებზე;

- ახლა გავიანგარიშოთ რამდენ პროცენტში გამოსდის სესხის გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტს: 130 მლნ გავყოთ 10 წელიწადზე = 13 მლნ-ს წელიწადში. 13 მლნ 20 მლნ-ის 65%-ია. ანუ, რეალურად გამოდის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღეს გაცემული 20 მლნ 10 წლიანი (თითქოს უპროცენტო) სესხი მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტს საშუალოდ 65%-ს აძლევს ყოველწლიურად და ესეც პესიმისტური ვარიანტია.

შედარებისთვის:

ეს ბანკების მიერ გაცემული სესხის უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთია. ეს იძლევა საფუძველს, რომ სახელმწიფომ შეამციროს გადასახადები ისე, რომ თუნდაც წლიური 10% გამოუვიდეს.

თბილისის პარკირების სისტემის განვითარების პერსპექტივები

გიორგი ესაკია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტატიაში განხილულია ქალაქ თბილისის პარკირების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები, ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები, გაუმჯობესების ღონისძიებები და განვითარების პერსპექტივები

ნაშრომში წარმოდგენილია პარკირების მართვის როლი და მნიშვნელობა ქალაქის განვითარებაში, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა პარკირებასთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციების გამომწვევი მიზეზების ანალიზი, პარკირების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, პარკირების მოთხოვნა-მიწოდების შესწავლის მეთოდები, პარკირების ეფექტური და ხელმისაწვდომი სატარიფო პოლიტიკის შერჩევის და განხორციელების მეთოდები, პარკირების საფასურის გადახდის თანამედროვე სისტემების გამოყენების შესაძლებლობები და საჭიროება, პარკირების სფეროდან მიღებული შემოსავლების მიზნობრივი განაწილების მიმართულებები, არალეგალური პარკირების პრევენციის და აღმოფხვრის გზები, წარმოდგენილია მრავალსართულიანი მიწისქვეშა და მიწისზედა სადგომების მშენებლობის ადგილების შერჩევის კრიტერიუმები და მშენებლობის ტექნიკური პარამეტრების ნუსხა, გაანალიზებულია პარკირების შესახებ სრულყოფილი, ხელმისაწვდომი და გამოყენებადი ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების(ArcGIS) საშუალებით, პარკირების ზონირების მნიშვნელობა და მისი განხორციელების პრინციპები, ქალაქში არსებული საგზაო სივრცეების ეფექტურად მოხმარებისათვის განვითარებულ ქვეყნებში არსებული პარკირების სტრატეგიების საუკეთესო პრაქტიკა და მათი გამოყენების აუცილებლობა თბილისის პირობებში, პარკირების განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ინდიკატორები.

სტატიაში მოცემული ინფორმაცია და რეკომენდაციები სასარგებლო იქნება ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურებისათვის და პარკირების სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის პარკირების პრობლემების აღმოფხვრისა და პარკირების მართვის საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

I. პარკირების პრობლემების ანალიზი

საქართველოში ბოლო 10-წლეულების მანძილზე უცხოური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მასობრივი შემოდინების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისში არსებული ავტოპარკი და ტერიტორიაზე მოძრავი ავტომობილები. ამავე პერიოდში რეგიონებიდან დედაქალაქისაკენ დაწყებულმა მიგრაციამ ინტენსიური სახე მიიღო, რის გამოც თბილისში რეგისტრირებულ და რეგულარულად მოძრავ ავტომობილებს ემატება დაახლოებით 30% ყოველდღიურად შემომავალი და ქალაქის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გამავალი ავტომობილები. თბილისში ავტომობილების საერთო რაოდენობის გამო გაზრდილ სატრანსპორტო ნაკადების მოცულობას არ შეესაბამება არსებული სატრანსპორტო ქსელის არსებული სტრუქტურა და ქუჩების პარამეტრები, რის გამოც ადგილი აქვს სატრანსპორტო შეფერხებებს, საცობების წარმოქმნას და ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების სისტემის გაუარესებას. ამ მხრივ სიტუაცია განსაკუთრებით რთულია დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში. აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს დედაქალაქში პარკირების სისტემის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა.

საბჭოთა პერიოდში, თბილისში არსებული საცხოვრებელი, სავაჭრო და სახელმწიფო დაწესებულებების მშენებლობისას არ იყო გათვალისწინებული შენობების ქვემოთ და მიმდებარედ პარკირებული ავტომობილების რაოდენობების შესაბამისი სივრცეების მოწყობა. ასევე, ბოლო 2 ათწლეულის მანძილზე შექმნილ სავაჭრო ობიექტების დიდი ნაწილს ფუნქციონირების დასაწყებად არ ჰქონდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ცალკე მდგომ შენობაში განეხორციელებინა თავისი საქმიანობა და მოეწყო შესაბამისი პარკირების ინფრასტრუქტურა. ყოველივე ამან გამოიწვია, ის რომ დღეისათვის ძველი აშენებული საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულებზე განთავსებულ სავაჭრო ობიექტებში და ოფისებში შემოსული მომხმარებლებისათვის არ არის საკმარისი პარკირებისათვის შენობების მიმდებარე ქუჩები და ტროტუარები, რითაც იქმნება პარკირების პრობლემები და საცობები თბილისის მთელ რიგ ადგილებზე.

ქალაქის ცალკეულ ადგილებზე არ არსებობს

ავტოსადგომებისათვის გამოყოფილი ორგანიზებული და საკმარისი რაოდენობის სივრცეები. ქუჩების ინტენსიურად მოძრავი ტრანსპორტით გადატვირთული სავალი ნაწილი და ფეხითმოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარები გამოიყენება ღია ავტოსადგომებისათვის. ამასთან, მთელ რიგ არსებულ და ახლადდაფუძნებულ მსხვილ ადმინისტრაციულ, სავაჭრო, საოფისე და საბანკო ობიექტებს არ გააჩნიათ საკუთრებაში საკმარისი რაოდენობის პარკირების ადგილები.

პარკირება წარმოადგენს სფეროს, რომელიც ხასიათდება სივრცეში შეზღუდულობით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის განვითარებაზე. აღნიშნული თავისებურების გაუთვალისწინებლად, წლების მანძილზე ქ. თბილისში საცხოვრებელი თუ კომერციული დანიშნულების შენობების მშენებლობისას წლების მანძილზე არ ხდებოდა და დღესაც არ ხდება პარკირების საჭირო რაოდენობის გამოყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, არასრულად ხდება ქალაქში გზების მიღმა მცირე რაოდენობით არსებული მიწისქვეშა სადგომების გამოყენება, რის გამოც დამგეგმავებს, დეველოპერებს, არქიტექტორებს, პარკირების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა დაწესებულებების პერსონალს, პარკირების ადგილების დროებით თუ რეგულარულად მოსარგებლეთა და მცხოვრებ მოსახლეობას შორის ხშირია კონფლიქტური სიტუაციები. კერძოდ:

- ბიზნესის აქტივობის და ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მდებარე სავაჭრო ობიექტები ცდილობენ არ დაკარგონ პარკირების არსებული თავისუფალი სივრცეები და მოიძიონ ახალი ადგილები, ხოლო იგივე ადგილების მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები უარყოფითად არიან განწყობილნი პარკირების ადგილების ზრდის შედეგად გამოწვეული მოძრაობის შეფერხებების, ავტოსაგზაო შემთხვევების და გარემოს დაბინძურების შედეგების მიმართ.

- დღესაც ხშირია შემთხვევები, როდესაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვების გაცემისას არ (ან არასრულად) გაითვალისწინება სახლის ქვემოთ, პირველ სართულზე ან მიმდებარე ეზოებში ავტოსადგომების მშენებლობა და მოწყობა, ან ხდება საცხოვრებელი სახლის კუთვნილი ავტოსადგომების გარეშე პირზე უკანონო მიყიდვა ან გაქირავება, რის შედეგადაც წარმოიქმნება პარკირების დეფიციტი და კონფლიქტური სიტუაციები პარკირების მსურველ მობინადრეთა შორის.

- ქალაქში სპეციალური ღონისძიებების ან სადღესასწაულო დღეებში ხდება როგორც ტროტუარების, ასევე ქუჩების სავალი ნაწილების ჩახერგვა ავტომობილების მიერ, რაც წარმოშობს საცობებს და კონფლიქტს ავტომფლობელებს, ღონისძიებების დამგეგმავებს, მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას და სამართალდამცავ ორგანოებს შორის

- ხშირია შემთხვევები, როდესაც საცხოვრებელი სახლების კუთვნილი სივრცეები გაქირავებულია სხვადასხვა დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე (მაგალითად საელჩოებზე), რის გამოც სახლის მიმდებარე გზებზე არსებულ პარკირების არასაკმარისი ადგილების გამოყენებისათვის წარმოიქმნება კონფლიქტები მოსახლეობასა და ამ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს შორის.

- სპეციალურად გამოყოფილი პარკირების ადგილების არარსებობის გამო დისტრიბუციის და დასუფთავების ავტომობილების მიერ თავიანთი სამუშაოს შესრულებისას ხშირად ხდება მოძრაობის შეფერხება, რაც წარმოშობს კონფლიქტს მათსა და ქუჩებზე მოძრავ სხვა ავტომფლობელებს შორის.

- არსებული კანონმდებლობის მიხედვით, თბილისში არსებულ გზებზე პარკირების ოპერატორის მიერ მოწყობილ ადგილებზე დგომა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ გადახდილია პარკირების დადგენილი გადასახადი და დაცულია დგომის მეთოდი. ამასთან, თბილისის ტერიტორიებზე საზოგადოებრივი პარკირების ადგილებით სარგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით არ არის შეზღუდული პარკირების ადგილის დაკავების როგორც ხანგრძლივობა, ასევე პარკირებული ავტომობილის ტიპი, თუ გადახდილია პარკირების წლიური(50 ლარი), 6 თვის(25 ლარი) და 1-კვირისათვის(4 ლარი) გათვალისწინებული საფასური, რის გამოც ხშირად ხდება პარკირების ადგილების რეგულარული და ხანგრძლივი პერიოდით დაკავება მსუბუქი ავტომობილების და რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია სამარშრუტო ტაქსების და მსუბუქი ტაქსების მიერ. ამის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც განუსაზღვრელი ვადით მდგომ ავტომობილების მფლობელებსა და მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებლებს თუ სავაჭრო დაწესებულებების მეპატრონეებს შორის ადგილი აქვს კონფლიქტებს

- თბილისისათვის დამახასიათებელი ვიწრო და დაღმართიანი ქუჩების კონფიგურაციის გამო მათზე მოწყობილ პარკირების ადგილებზე მდგომ ავტომობილებს და იქვე მდგომ საცხოვრებელი სახლების ფანჯრებს შორის ფაქტიურად რჩება მცირე მანძილი, რაც აუარესებს მათ მობინადრეთა საცხოვრებელ პირობებს და ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს მობინადრეებსა და პარკირებული ავტომობილების მფლობელებს შორის

- თბილისის ტერიტორიაზე შემომავალი და ტრანზიტით გამავალი სამარშრუტო ავტობუსები და მიკროავტობუსები ახორციელებენ გაჩერებას და დგომას ქალაქის სამარშრუტო ავტობუსების გაჩერებებზე და მგზავრების უკანონო ჩასხდომებს, რითაც ერთის მხრივ ფერხდება ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილება და ხდება დადგენილი დროის გრაფიკიდან ამოვარდნა და მეორეს მხრივ ადგილი აქვს ქალაქის მგზავრთა არალეგალური გადაყვანით შემოსავლების მიღებას

- თვითნებურად მოწყობილი პარკირების ადგილები განსაკუთრებით ხშირია ქალაქში არსებული კომერციული ობიექტების მიმდებარედ. ამ ობიექტების ვიზიტორ მომხმარებელთა ავტომობილების უკანონო ექსკლუზიური პარკირება წარმოშობს პარკირების ადგილების დეფიციტს, აფერხებს მოძრაობას და ქმნის პირობებს საცობებისათვის, რის გამოც ხშირია კონფლიქტები აღნიშნული ობიექტების პერსონალსა და პარკირების მსურველ ავტომფლობელებს შორის

- ტროტუარებზე მდგომი ავტომობილები აფერხებენ ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას და აზიანებენ ტროტუარის საფარს, რომელიც არ არის გათვალისწინებული ავტომობილების პარკირებისათვის

(მათ შორის განსაკუთრებით დიდი გაბარიტის და მასის მქონე ჯიპებისათვის), რაც ქმნის კონფლიქტებს ავტომობილების მძღოლებს და ფეხითმოსიარულეთა შორის.

პარკირებასთან დაკავშირებული ზემოთ ჩამოთვლილი კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრისათვის პარკირების სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს პარკირების სისტემაში არსებული ხარვეზების შედეგად ქალაქში წარმოქმნილი ყველა არსებული და პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

II. ᲥᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ

ავტომობილის მფლობელს, პარკირების ოპერატორსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ დღეისათვის არ არ არის შემუშავებული საქართველოს ქალაქებში და მათ შორის, ქალაქ თბილისში პარკირების განვითარების სტრატეგია და მასზე დაფუძნებული კანონმდებლობა.

თბილისში პარკირების საკანონმდებლო რეგულირება დღეისათვის ხორციელდება საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ მუხლი 37-ით (გაჩერება და დგომა), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 1252 (დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა) და მუხლი 125.8 -ებით (სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა), ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება N9–48-ით „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“ და „ქალაქ თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მათვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ შპს „სი-ტი პარკთან“ დადებული ხელშეკრულების # 1-17804 საფუძველზე.

არცერთი აღნიშნული კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პარკირების თანამედროვე სისტემის არსებობისათვის ისეთი აუცილებელი ელემენტები, როგორებიცაა პარკირების გეოსივრცული ანალიზი, პარკირების ბალანსი, პარკირების ეფექტიანობა და მასზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პარკირების მოთხოვნა-მიწოდება, პარკირების ტარიფები, პარკირების მოდელირება, პარკირების განხორციელების არჩევანი, პარკირების ზონირება და პარკირების განაწილება ზონების სახეების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის და დანიშნულების მიხედვით პარკირების წესები, ისეთი ტერმინების განმარტება, როგორებიცაა „პარკირება საზოგადოებრივ გზაზე“ (on-street parking), „პარკირება საზოგადოებრივი გზის მიღმა“(off-street parking), „კერძო პარკირება“ და „საზოგადოებრივი პარკირება“, პარკირების ისეთი სტანდარტები, როგორებიცაა პარკირების ადგილების მოწყობის შესაძლებლობა ორმხრივი და ცალმხრივი მოძრაობის ქუჩების ზომების მიხედვით, პარკირების ადგილების ზომები ღია და დახურული ავტოსადგომებისათვის და სხვა

პარკირების არსებული კანონმდებლობით ასევე არ გაითვალისწინება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებული პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობის, სტრატეგიების და მეთოდების გამოყენების წესები და პრინციპები. კერძოდ, მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა სტაციონალური და ავტომატური სადგომების მოწყობის წესი, „ვალეტ პარკინგი“, „ზიარი პარკირება“ (Share Parking), “გააჩერე და წადი“-ს (Park-and-ride) სტრატეგიები, პარკირება სპეციალური ღონისძიებების დროს, ადგილობრივი მაცხოვრებლების პარკირების ნებართვების დაწესება, ქუჩების დასუფთავების დროს პარკირების გარკვეული პერიოდით შეზღუდვები, პარკირების ხანგრძლივობის შეზღუდვა ან აკრძალვა, „მიტოვებული ავტომობილების“ პარკირების რეგულირება, ავტომობილის დატვირთვა-განტვირთვისათვის, მსუბუქი ავტომობილ-ტაქსის, ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ავტომობილების დგომა-გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილების გამოყოფის წესი.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების, სტრატეგიების, ტერმინოლოგიის და სტანდარტების ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში აუცილებელია ქალაქ თბილისის პარკირების სისტემის სრულყოფით დაინტერესებული ყველა მხარისათვის.

- 2015 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის ახალი რედაქცია, რომლის თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება არასწორად პარკირებული ავტომობილის დაცულ სადგომზე გადაყვანა „თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების აკრძალული ადგილიდან გაყვანაზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალება აფერხებს მოძრაობას, ქმნის საავარიო სიტუაციას ან საცობს“. აღნიშნული მუხლის ადმინისტრირებისას ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები სამართალდამრღვევსა და პარკირების ოპერატორს შორის იმის გამო, რომ საქართველოს არცერთ კანონმდებლობაში არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული ცნებების -“მოძრაობის შეფერხება“, „საცობი“ , „საავარიო სიტუაცია“, დეტალური განმარტება

- ქალაქში პარკირების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ მოსახლეობის, კერძო და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის პარკირების ადგილების მოწყობის მოთხოვნაზე ხშირად ხდება უარის თქმა იმ არგუმენტაციით, რომ კონკრეტულ გზის მონაკვეთზე არსებობს „მოძრაობის დიდი ინტენსივობა“, რაც განმცხადებლისათვის არადამაჯერებელი არგუმენტია. საქართველოს კანონმდებლობით “მოძრაობის ინტენსივობის” განმარტებისას ჯერჯერობით ხდება საბჭოთა ე.წ “სნიპ”-ებში(სასტ) ჩადებული ნორმებით ხელმძღვანელობა, რომლითაც არ არის დღევანდელი პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული და დაზუსტებული მაქსიმალური სატრანსპორტო და ფეხითმოსიარულეთა ნაკადი(ინტენსივობა), რისი გადაჭარბების შემთხვევაშიც არ უნდა იყოს დასაშვები დამატებითი პარკირების

ადგილების მოწყობა (დამატება), ან პირიქით მიზანშეწონილია არსებული პარკირების ადგილების შემცირება ან გაუქმება კონკრეტულ ქუჩაზე და ტროტუარზე.

- თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე და ტროტუარებზე გამოიყენება ზოგიერთი საგზაო ნიშანი, რომელსაც საგზაო მოძრაობის მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მაგალითად, პარკირების ადგილებზე დამოტაჟებული დაფები "ექვემდებარება ევაკუაციას", „ვალეტ პარკინგი", „დგომა აკრძალულია ორგანიზაციის თანამშრომელთა ავტომობილების გარდა"

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" მიხედვით პარკირების წესების დარღვევისათვის გამოწერილი საჯარიმო ქვითარი ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ მას აქვს დამრღვევის ხელმოწერა. ამავე კანონით განსაზღვრულია პარკირების წესების დარღვევისათვის საჯარიმო სანქცია მხოლოდ 10 ლარის ოდენობით, ხოლო გამოწერილი საჯარიმო ქვითრების ხანდაზმულობის ვადაა 6 თვე. ამ ნორმებიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტომობილის მფლობელის მიერ ხდება როგორც დგომის წესების დარღვევა, ასევე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების იგნორირება.

პარკირების წესების დარღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ავტომობილის ევაკუაციის და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისათვის თბილისის გზებზე პარკირების მართვაზე პასუხისმგებელი ოპერატორის მიერ დაწესებული თანხა შედგენს 60 ლარს, რომელიც კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც მიმდინარე ხარჯი, თუმცა მისი დიდი ნაწილი ფაქტიურად წარმოადგენს კომპანიის შემოსავალს, ვინაიდან მარტივი გაანგარიშებითაც ცხადია, რომ ქალაქის ნებისმიერი ადგილიდან დღეისათვის არსებულ სამივე საჯარიმო სადგომებამდე ავტომობილის გადაყვანის ხარჯი ევაკუატორით 60 ლარზე გაცილებით ნაკლებია

იმის მიუხედავად, რომ დღეისათვის მოქმედი მშენებლობის სტანდარტების მიხედვით გათვალისწინებულია პარკირების მინიმალური ადგილები მშენებლობის ნებართვის აღებისას, არ არსებობს ზუსტად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომელიც აწესებს სხვადასხვა ტიპის შენობისათვის (მხოლოდ საცხოვრებელი, საცხოვრებელი და სავაჭრო, საცხოვრებელი და საოფისე დანიშნულებების, და სხვა) პარკირების ადგილების მინიმალური რაოდენობის დიფერენცირებულ განსაზღვრას

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით საცხოვრებელ ზონებში გათვალისწინებულია ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე. ამასთან, გარდა საცხოვრებელისა, არ არის გათვალისწინებული სხვა ფუნქციის შენობა–ნაგებობების მიმართ ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის მოთხოვნა და არ არის დიფერენცირებული ფუნქციური ზონების მიხედვით.

პარკირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები ადასტურებს, რომ აუცილებელია ქალაქის გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიხედვით, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისი პარკირების სისტემის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უნდა გახდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ პარკირების მართვის განხორციელებისათვის ქალაქის სატრანსპორტო სისტემის დაგეგმვის პროცესში. ამასთან, უნდა განისაზღვროს საშუალო პერიოდი, რომლის დასრულებისას აუცილებელია ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ პარკირების მიღებული სტრატეგიის პერიოდული გადახედვა და აუცილებლობის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა ქალაქში პარკირების კუთხით შექმნილი მდგომარეობისა და მოსალოდნელი გამოწვევების გათვალისწინებით პარკირების ყოველწლიურ გეგმებში (იხილე ქვემოთ) შესატანი ცვლილებების მიხედვით.

პარკირების განვითარების სტრატეგიის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს პარკირების მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბება მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში და ქალაქის ხელმძღვანელობისა და პარკირების ოპერატორის მიერ პარკირების მართვის განხორციელების კოორდინირებული ხელშეწყობა.

საქართველოს კანონმდებლობაში აუცილებელია აისახოს საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობის წესი, სტრატეგიები, მეთოდები და სახეები ქ თბილისის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან პირველ რიგში, უნდა მოხდეს პარკირების მოქმედ ოპერატორთან (შპს „სი-ტი პარკთან") დადებულ ხელშეკრულებაში ქ.თბილისში პარკირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული, ფინანსური და სამართლებრივი ხარვეზების ანალიზი და მათი გამოსწორების წინადადებების წარმოდგენა

აუცილებელია გადამოწმდეს და შესწავლილ იქნეს, არის თუ არა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული კერძო კომპანიისათვის ავტომფლობელთა მიერ საზოგადოებრივი ადგილებით უკანონო სარგებლობისათვის საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების უფლების და საჯარიმო სანქციებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილის გადაცემის პრაქტიკა, რაც დღეისათვის დაშვებულია თბილისის მერიასა და შპს „სი-ტი პარკთან" დადებული ხელშეკრულებით.

პარკირების მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს დასაშვებ ნორმებს და ზღვრებს, თუ დღეღამის რომელ პერიოდში და რა მაქსიმალური ხანგრძლივობით შეუძლია პარკირება კონკრეტულ ავტომობილს ცალკეულ ტერიტორიაზე. ამასთან ზოგიერთ შემთხვევებში და ადგილებში კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების ექსკლუზიური ან პრიორიტეტული უფლებით სარგებლობას ავტომფლობელთა სპეციალური კატეგორიებისათვის (პარკირების მიმდებარედ მუდმივად მცხოვრებლები, სპეც სამსახურები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სხვა) .

საცხოვრებელი, საოფისე და სხვა დანიშნულების შენობაში მცხოვრებთა რაოდენობის, ოჯახების რაოდენობის, ფართობის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმებიდან უნდა შეირჩეს ყველაზე მისაღები, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს ავტოსადგომების ადგილების რაოდენობა სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების შენობისათვის. ასევე, კანონმდებლობით

უნდა განისაზღვროს ქუჩის მინიმალური დასაშვები სიგანეები, ორმხრივი მოძრაობისას ქუჩაზე პარკირების მოწყობის დაშვებისათვის და ცალმხრივი მოძრაობისას ქუჩის ერთ და ორივე მხარეს პარკირების განთავსებისათვის. პარკირების სტანდარტებში უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე პარკირების მეთოდის და ადგილის ზომების დიფერენცირება ცალკე საშუალო და დიდი გაბარიტის ავტომობილებისათვის, სამარშრუტო მიკროავტობუსებისათვის, სატვირთო ავტომობილისათვის(საზღვარგარეთის ზოგ ქალაქში სატვირთო ავტომობილის პარკირების ადგილის ზომები შეადგენს 3,75-7მ), დიდი გაბარიტის სამგზავრო ავტობუსებისათვის.

აუცილებელია ქალაქის ტერიტორიაზე ტრანზიტით მოძრავი ტრანსპორტის დარღვევით გაჩერებების და მგზავრთა ჩასხდომების ადგილების იდენტიფიცირება და ამ სახის ტრანსპორტის დგომა-გაჩერებისათვის სპეციალური ნორმების და შეზღუდვების განსაზღვრა.

III. ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

ქალაქში თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი პარკირების სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია პარკირების სფეროში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის გარეშე.

პარკირების სისტემის არსებული მდგომარეობის ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ ძირითად შეკითხვებზე:

- არის თუ არა ქალაქის ტერიტორიაზე საკმარისი (ან ცალკეულ ადგილებზე ზედმეტი) რაოდენობის პარკირების ადგილები?

- რა ოპტიმალური რაოდენობის პარკირების ადგილებია საჭირო ქალაქის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების შემთხვევაში

- რამდენად შეესაბამება პარკირების ადგილების განსაზღვრული რაოდენობა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით შემუშავებულ სატრანსპორტო მასტერ-პლანს

პარკირების სრულყოფილი ანალიზი პირველ რიგში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული პარკირების ადგილების მოთხოვნა-მიწოდების ანალიზს, რაც საბოლოოდ უნდა იყოს ქალაქის პარკირების სისტემის გაუმჯობესებისათვის ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი და შემადგენელი ნაწილი

ქალაქში პარკირების ადგილების მოთხოვნა-მიწოდების მიმოხილვის მიზანია პარკირების არსებული ადგილების მიწოდების განსაზღვრა და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება პარკირების მიწოდება პარკირების საჭირო მოთხოვნას.

ამასთან, პარკირების ადგილების რაოდენობის ზრდა თანამედროვე ეტაპზე არ შეიძლება ჩაითვალოს პარკირების სისტემის განვითარების სრულყოფილ მაჩვენებლად, ვინაიდან პარკირების ზედმეტი ადგილების რაოდენობა ისევე საზიანოა, როგორც არასაკმარისი ადგილების რაოდენობა

პარკირების მოთხოვნის განსაზღვრა

თბილისის პარკირების სისტემის პრობლემათა შორის აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებობს მთელი რიგი ადგილები, რომლებზეც მოწყობილი პარკირების ადგილების რაოდენობა ან ნაკლებია პარკირების ადგილებში მოთხოვნაზე, ან პირიქით ბევრად მეტია, ვიდრე ამ ადგილებში არსებული პარკირების მოთხოვნის მოცულობა.

პარკირების მოთხოვნის განსაზღვრის მთავარი ამოცანაა ქალაქის ტერიტორიის ცალკეულ ადგილებზე პარკირების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა

პარკირების მოთხოვნის ძირითადი მახასიათებლებია პარკირების ადგილებამდე მგზავრობის დანიშნულება, პარკირების ხანგრძლივობა, პარკირების დღიური ბრუნვა პარკირების ერთ ადგილზე, პარკირების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე ფეხით სიარულის მანძილი მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით, პარკირების ადგილზე ავტომობილების აკუმულაცია(დაგროვება) დღის ცალკეული პერიოდების მიხედვით და სხვა მაჩვენებლები.

პარკირების სისტემის გაუმჯობესების რომელიმე ღონისძიების დაწყებამდე აუცილებელია პარკირების ადგილების არსებული რაოდენობების, მისი გამოყენების დონის და პარკირების მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება. იმის გამო რომ პარკირების ხანგრძლივობა არის სხვადასხვა ავტომფლობელთა კატეგორიების მიხედვით, აუცილებელია პარკირების სტატისტიკური ანალიზის განხორციელება, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს პარკირების მოთხოვნა-მიწოდების პერიოდული კვლევა

პარკირების სტატისტიკური ანალიზი მოიცავს შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშებას ქალაქის ტერიტორიის ცალკეული ადგილებისათვის:

პარკირების აკუმულაცია (Parking accumulation) განისაზღვრება პარკირებული ავტომობილების რაოდენობით დროის მოცემულ მომენტში. პარკირების აკუმულაცია შეიძლება გამოისახოს აკუმულაციის გრაფიკის საშუალებით

პარკირების მოცულობა (Parking volume) არის ავტომობილების მთლიანი რაოდენობა, რომელიც პარკირებულია დროის გარკვეულ ინტერვალში. ეს მაჩვენებელი არ ითვალისწინებს პარკირების ადგილებზე ავტომობილების განმეორებით პარკირებების რაოდენობას

პარკირების დატვირთვა (Parking Load) იანგარიშება, როგორც პარკირების ადგილებზე პარკირებული ავტომობილების რაოდენობისა და პარკირების დროის ინტერვალის ნამრავლი. ის გაიზომება ავტომობილ-საათებში.

პარკირების საშუალო ხანგრძლივობა (Average Parking Duration) - პარკირებული ავტომობილ-საათების შეფარდება პარკირებული ავტომობილების რაოდენობასთან

პარკირების ბრუნვა (Parking Turnover)-პარკირებული ავტომობილების რაოდენობა დროის გარკვეულ პერიოდში შეფარდებული პარკირების ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობასთან.

პარკირების ინდექსი (პარკირების დაკავების კოეფიციენტი ანუ პარკირების ეფექტიანობა) (Parking Index ანუ Parking Occupancy) განისაზღვრება პარკირების შევსებული ადგილების რაოდენობის შეფარდებით პარკირების საერთო რაოდენობასთან

დროის გარკვეულ პერიოდში. ეს კოეფიციენტი აფასებს, რამდენად ეფექტურად გამოიყენება პარკირების კონკრეტული სივრცე.

(დეტალურად ამ მაჩვენებლების გაანგარიშების შესახებ იხილე 10)

პარკირების მოთხოვნის ანალიზი პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს კვალიფიცირებული ტრანსპორტის კონსულტანტის, არქიტექტორის, ქალაქის დამგეგმავის ან ინჟინრის მიერ და დამტკიცდეს ქალაქგეგმარების სამსახურის ან სპეციალური ურბანული კომისიის მიერ. პარკირების მოთხოვნის ანალიზი უნდა მოიცავდეს პარკირების ადგილების დაკავების კოეფიციენტის მაჩვენებლებს(Parking Occupancy), დილის, საღამოს, პიკის საათების მიხედვით კვირის ცალკეული დღეებისათვის დიფერენცირებულად, პარკირების სიახლოვის და მოხერხებულობის მდგომარეობის ანალიზს, ანუ დისტანციას ორ მეზობელ სადგომს(ლოტს) შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობაზე პარკირების ადგილის გავლენას, პარკირების ფასიანი და უფასო ადგილების მიმოხილვას, პარკირების ადგილების დარეზერვების საჭიროებას, პარკირების ადგილების სიახლოვეს განთავსებულ სავაჭრო, კულტურული, დასასვენებელი ცენტრების არსებობის გავლენის ანალიზს და სხვა მახასიათებლებს

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ქალაქში პარკირების მოთხოვნის შესწავლის 3 ტიპი: მთლიანი შესწავლა, შეზღუდული შესწავლა და სპეციფიური ადგილების შესწავლა. მთლიანი შესწავლა მოიცავს მთლიანად ქალაქის ტერიტორიას, მაშინ როდესაც შეზღუდული შესწავლა მოიცავს შეზღუდულ გეოგრაფიულ ტერიტორიას. სპეციფიური ადგილების შესწავლა მოიცავს გეოგრაფიულად უფრო მცირე ადგილს, მაგრამ ანალიტიკურად მრავალფეროვან კვლევას

პარკირების მოთხოვნის მთლიანი შესწავლისას პარკირების მოსალოდნელი მოთხოვნა ფასდება პროგნოზირების მოდელით, რომელიც მოიცავს მოსახლეობის ზრდას, დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ტრენდებს და ადგილობრივი ტრანსპორტის სახეების გამოყენების ხარისხს. პარკირების საშუალებების მდგომარეობის შეფასებისას აუცილებლად ხდება მათი გამოყენების ხარისხის შესწავლა და პარკირების არსებულ და პროგნოზირებულ მიწოდებებს შორის არსებული სხვაობების იდენტიფიცირება. შეზღუდული შესწავლისას გამოიკვლევა მხოლოდ პარკირების მხოლოდ ერთი სახე და არ არსებობს პარკირების მოსალოდნელი მოთხოვნის გამოკვლევის საჭიროება. სპეციფიური ადგილების მოთხოვნის შესწავლა უმთავრესად ფოკუსირებულია ადგილებზე, რომლებზეც იგეგმება სააავადმყოფოების, კამპუსების, ჰიპერმარკეტების, სავაჭრო მოლების, საცხოვრებლების და ინდუსტრიული ცენტრების მშენებლობა ან არსებულის გაფართოვება. ამ ტიპის გამოყენების დროს დეტალურად შეისწავლება პარკირების არსებული საშუალებები და განისაზღვრება მოსალოდნელი მოთხოვნის პროგნოზი. ასევე, ამ დროს ყურადღება ექცევა პარკირებით მოსარგებლეთა სხვადასხვა ტიპებს .

პარკირების მოთხოვნის მხრივ ყველაზე მეტად დეფიციტური ზონების განსაზღვრისათვის საჭიროა განხორციელდეს ამ ზონების მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების მოცულობის ანალიზი დღის საათების და კვირის ცალკეული დღეების მიხედვით. თბილისის მთელ ტერიტორიაზე ცალკეული რაიონების და ქუჩების მიხედვით უნდა მოხდეს როგორც ზედმეტი, ასევე არასაკმარისი ადგილების იდენტიფიცირება

პარკირების მიწოდების განსაზღვრა

„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის“ მე-3-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობის მიერ პარკირების ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს ისეთი პირობების გათვალისწინებით, როგორებიცაა, ქალაქის განვითარების ინტერესები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, სატრანსპორტო ნაკადი, ეკოლოგიური მდგომარეობა, გზის გამტარუნარიანობა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, დედაქალაქის მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემა და საზოგადოების სხვა ინტერესები. ამასთან, არ არსებობს მეთოდოლოგია ან ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ზემოთაღნიშნული პირობების მიხედვით პარკირების ადგილების მიზანშეწონილი ლოკაციების და ოპტიმალური რაოდენობების განსაზღვრა.

დღეისათვის გამოკვეთილია შემდეგი ტენდენცია: ქალაქში არსებული ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება პარკირების მსურველთა რაოდენობა, მაგრამ ამასთან, გაცილებით ნაკლები ტემპით იზრდება პარკირების ადგილების რაოდენობა

ქალაქის ცალკეულ უბნებში არსებობს პარკირების ზედმეტი ადგილების რაოდენობა, რაც ისევე საზიანოა, როგორც არასაკმარისი ადგილების რაოდენობა, ვინაიდან როგორც პარკირების ადგილების დეფიციტის დროს ადგილების ძიებისას დახარჯული დრო, ასევე პარკირებული ავტომობილებით ზედმეტად გადატვირთული ქუჩები და ტროტუარები წარმოადგენენ მოძრაობის შეფერხებების და საცობების გამომწვევ მიზეზს

2007 წლიდან დღემდე ქ. თბილისის საკუთრებაში არსებულ ქუჩებზე და ტროტუარებზე არსებული პარკირების ადგილების რაოდენობა (დგომის პარალელური, 45 გრადუსიანი და მართობული მეთოდით) რომელიც დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით, წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სულ	16091	34410	36225	33501	33106	33111	33098
ქუჩაები	15089	32197	33949	31403	31231	31213	31528
ტროტუარები	1002	2213	2276	2098	1875	1898	1570
შშმპ გამოყოფილი სადგომი	102	107	314	308	314	328	348

შშმპ- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

აღნიშნულ მონაცემებსა და ცალკეულ ქუჩებზე და ტროტუარებზე არსებულ პარკირების ადგილების ფაქტიურ რაოდენობას შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები.

ამასთან, დღეისათვის არ არსებობს ოფიციალური მონაცემები პარკირების ადგილების შესახებ კერძო კომპანიების და საცხოვრებელი სახლების კუთვნილი ავტოსადგომების მიხედვით და პარკირების ადგილების საერთო რაოდენობის შესახებ თბილისის ცალკეული რაიონის მიხედვით.

დღეისათვის არ არსებობს და აუცილებელია დადგინდეს ასევე საზოგადოებრივი და კერძო პარკირების ადგილების რაოდენობებს შორის თანაფარდობა პარკირების მთლიან რაოდენობაში და ამ მაჩვენებლის დინამიკა დროის ცალკეული პერიოდისათვის. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან საზოგადოებრივი პარკირება უფრო მეტ საშუალებას იძლევა ე.წ „ზიარი პარკირების“ და პარკირების სხვა სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებისათვის და ამცირებს პარკირებისათვის საჭირო სივრცეების დამატებითი მშენებლობის საჭიროებას.

დაუზუსტებელი მონაცემებით, თბილისში ყოველდღიურად მოძრაობს დაახლოებით 500 000 ავტომობილი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საზოგადოებრივ გზებზე პარკირებისათვის გამოყოფილ ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულ ადგილებს.

ქალაქის ტერიტორიაზე პარკირების მიწოდების მთლიანი ფაქტიური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საჭიროა:

- დადგენილ იქნას ავტომობილის გადაადგილების და დგომის პერიოდების გაუთვალისწინებლად საჭირო ადგილების საერთო მაქსიმალური ფართობი დროის ნებისმიერ მომენტში ყველა ავტომობილის პარკირებისათვის, საშუალოდ ერთი ავტომობილის დგომის ადგილის ზომების და ავტომობილების რაოდენობის მიხედვით

- პარკირების დამატებითი ადგილების დასადგენად თბილისის ცალკეული რაიონების მიხედვით, საჭიროა შესწავლილ და დაზუსტებული იქნეს საერთო ფართობი რომელიც უჭირავს ფაქტიურად დღეისათვის საზოგადოებრივ ადგილებში, საკუთარ მფლობელობაში (საცხოვრებელი სახლების ეზოებში და სახლების ქვემოთ), კომპანიების, ორგანიზაციების და დაწესებულებების კუთვნილ ან სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომებს

- პარკირების მოთხოვნასა (პარკირების ადგილები და პარკირებისათვის გამოყოფილი ფართობი) და მიწოდებას შორის მოსალოდნელი ბალანსის დაზუსტებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ერთ ავტომობილზე ქალაქში საშუალოდ 4-6 საპარკინგე ადგილია საჭირო, კერძოდ სახლთან, სამსახურთან, სავაჭრო ცენტრთან, სხვადასხვა არარეგულარული დანიშნულების ობიექტთან (სამედიცინო, კულტურული, სახელმწიფო ორგანიზაცია და სხვა) . ამასთან, მდგრადი ურბანული განვითარების მისაღწევად აუცილებელია პარკირების მიწოდებას და და მოთხოვნას შორის თანაფარდობის პერიოდული კორექტირება

პარკირების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვისათვის საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია მოხდეს „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის“ მე-3-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით პარკირების ადგილების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მეთოდებიდან ყველაზე ხელსაყრელი მეთოდის შერჩევით უნდა ხორციელდებოდეს ქალაქის გზებზე არსებული პარკირების შესაძლებლობებსა (პარკირების ადგილებს) და პარკირებაზე გაცემული ნებართვების რაოდენობებს შორის შეუსაბამობის პერიოდული ანალიზი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პარკირების მარეგულირებელ კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს გზაზე და გზის მიღმა პარკირების მოწყობის პრინციპები. გზაზე და გზის მიღმა პარკირების არასწორმა და არათანაბარმა მოწყობამ შეიძლება გამოიწვიოს ავტომობილების დამატებითი ნაკადის გენერირება, რომელიც თავის მხრივ იწვევს საცობებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დისკომფორტის შექმნას, გზებზე და გზის მიღმა სივრცეებზე კონკურენციის წარმოქმნას, მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე.

გზაზე პარკირების მოწყობისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- არის თუ არა პარკირების მოწყობის საჭიროება კონკრეტულ ადგილზე;

- შეესაბამება თუ არა გზის პარამეტრები და გამტარუნარიანობა, რომ მოეწყოს პარკირება;

- ზრდის თუ არა პარკირების მოწყობა რისკს მოძრაობის უსაფრთხოებისათვის;

- პარკირების რომელი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული (პარალელური, მართობული, 45 გრადუსიანი), თითოეული მეთოდისათვის პარკირების ადგილის დადგენილი ზომების გათვალისწინებით.

გზის მიღმა პარკირების მოწყობისას გასათვალისწინებელია შემდეგი :

- გზის მიღმა მდებარე სივრცეზე ღია, დახურული, მიწისზედა და მიწისქვეშა მრავალსართულიანი სადგომების მოწყობისას ადვილად და დამოუკიდებლად შესვლის, გამოსვლის და სადგომის ტერიტორიაზე მანევრირების შესაძლებლობა;

- პარკირების ადგილების ეფექტური გამოყენება ;

- პარკირების საკმარისი, მაგრამ ამასთან გარკვეულ დონემდე შეზღუდული რაოდენობის არსებობა;

- პარკირების ცალკეული ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინება და მშენებლობის ნორმების დაცვა (მაგალითად, მიწისქვეშა მრავალსართულიანი ავტოსადგომებისათვის ლიფტის, ვენტილაციის, განათების, ავარიული სიგნალიზაციის და სხვა) .

გზაზე პარკირების ადგილებისათვის ავტომობილების პარამეტრების მიხედვით (სიგრძე 6 მ და სიგანე 2,5 მ) საჭიროა 15 მ2 მიწის ფართობი, რომელიც ამცირებს სატრანსპორტო ნაკადის ერთ ზოლს მისი ფაქტიური დაკავების გამო .

გზის მიღმა 45 ან 90 გრადუსიანი ღია პარკირება ჩვეულებრივ მოითხოვს 25-30 მ2 ფართობს, რომელიც მოიცავს ასევე გასასვლელებს ავტომობილებისათვის.

პარკირების მიწოდების თეორიული შესაძლებლობის (ადგილების მაქსიმალური რაოდენობის) შეფასება უნდა განხორციელდეს საველე სამუშაოების ჩატარების

შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული შეფასების შედეგები უნდა იქნეს შეტანილი პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელში, რომლის დანიშნულებაა კონკრეტულ ტერიტორიაზე პარკირების დეფიციტის/ზედმეტი ადგილების გამოვლენა მისი გამომწვევი ფაქტორების მიხედვით.

პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელის საშუალებით უნდა დადგინდეს ქალაქ თბილისში პარკინგის მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდის %-ული მაჩვენებელი მოსახლეობის ზრდის ტემპის, ცალკეულ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვის და ავტომობილების რაოდენობის ზრდის მაჩვენებლის მიხედვით (მოკლე საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში).

გზის მიღმა პარკირების დამატებითი ობიექტების მოწყობა უნდა მოხდეს პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელის საშუალებით გზაზე პარკირების ჭარბი მოთხოვნის ზონების დადგენის შემდეგ.

პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელის საფუძველზე შედგენილ პარკირების (GIS) ელექტრონულ რუკაზე უნდა აღინიშნოს ადგილები, სადაც არ არის საკმარისი რაოდენობით პარკირების სივრცე, და ასევე ცალკე აღინიშნოს ადგილები მომავალი გზის მიღმა პარკირების ობიექტის მოსაწყობად. პარკირების თეორიული შესაძლებლობების განსაზღვრისათვის გზაზე პარკირებისათვის და გზის მიღმა პარკირებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგია:

გზაზე პარკირების თეორიული შესაძლებლობები(პარკირების ადგილების მაქსიმალური რაოდენობა) უნდა განისაზღვროს ქუჩის მონაკვეთების, სადაც პარკირება დასაშვებია, ჯამური სიგრძის შეფარდებით 1 პარკირებული ავტომობილის საშუალო სიგრძეზე. ეს შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით (იხ 11) :

N ადგ=(L-(e*5 +Tc*30+i*l))/a

სადაც,

L - გზის სიგრძე;

e - სხვა გზასთან გადაკვეთათა რაოდენობა;

30 მ - ავტობუსის გაჩერების სიგრძე;

5 მ - სხვა გზასთან უახლოესი გადაკვეთიდან პარკირების ადგილამდე მინიმალური დასაშვები მანძილი საქართველოს კანონმდებლობით;

Tc - ავტობუსის გაჩერებათა რაოდენობა;

i - გზის გასწვრივ სივრცეთა რაოდენობა, გარდა ავტობუსის გაჩერებისა და სხვა გზასთან გადაკვეთისა, სადაც აკრძალულია პარკირება, ანუ წარმოადგენს 3.27 ნიშნის მოქმედების ზონას;

l - პარკირების აკრძალვის ზონის სიგრძე.

a - ავტომობილის საშუალო სიგრძე დგომის სხვადასხვა მეთოდების(პარალელური, 45 გრადუსიანი და 90 გრადუსიანი) გათვალისწინებით.

გზის მიღმა პარკირების თეორიული შესაძლებლობები(ადგილების მაქსიმალური რაოდენობა) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით :

N ადგ = (S-(∑ n1 (Li *li)) / (a+λ)

სადაც,

S – პარკირების ადგილების საერთო ფართობი;

Li - პარკირების ადგილების რიგებს შორის i - გასასვლელის სიგრძე (მეტრი);

li - პარკირების ადგილების რიგებს შორის i - გასასვლელის სიგანე (მეტრი);

n - პარკირების რიგებს შორის გასასვლელების რაოდენობა;

a - პარკირებული ავტომობილის მიერ დაკავებული საშუალო ფართობი (მ2);

λ - პარკირებული ავტომობილის ირგვლივ არსებული სივრცე, რომელიც აუცილებელია მანევრირებისათვის (დგომის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისას).

აღნიშნული ფორმულების საშუალებით პარკირების მიწოდების თეორიული შესაძლებლობის დადგენილ სიდიდეებს უნდა დაეფუძნოს პარკირების მიწოდების ფაქტიური შესაძლებლობა, რომლის განსაზღვრა უნდა მოხდეს არსებული საგზაო რეგულაციების გათვალისწინებით და მონაცემების შეგროვების გზით საველე სამუშაოების ჩატარების შედეგების საფუძველზე გზაზე და გზის მიღმა პარკირების პარკირების ადგილების მაქსიმალური რაოდენობების განსაზღვრის შემდეგ, რაც უნდა აისახოს პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელში

ქალაქის ცალკეული რაიონების მიხედვით გზებზე (ქუჩებზე და ტროტუარებზე) არსებული პარკირების ადგილების კორექტირების (გაზრდის ან შემცირების) საჭიროების დადგენის მიზნით უნდა მოხდეს მაკორექტირებელი ფაქტორების განსაზღვრა (მაგალითად, პარკირების ზონა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, სატრანსპორტო ნაკადი), რაც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პარკირების მოთხოვნა -მიწოდების მოდელში

ქალაქის ცალკეულ უბნებში გზებზე (ქუჩებზე და ტროტუარებზე) პარკირების ადგილების გაუქმების შემთხვევაში უნდა დადგინდეს რამდენი ალტერნატიული (გზის მიღმა) ადგილი იქნება მოსაძებნი და მოსაწყობი გაუქმებული ადგილების ახლოს მიმდებარე ტერიტორიებზე

ტროტუარებზე პარკირების რეგულირებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ტროტუარის ზომები, ფეხითმოსიარულეთა და სატრანსპორტო ნაკადის მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეირჩევა ისეთი ტროტუარები, სადაც ალტერნატიული გზის მიღმა პარკირების მოწყობამდე არ მოხდება ტროტუარებზე არსებული ადგილების გაუქმება

ტროტუარის, როგორც გზის ერთ-ერთი ტიპის მთავარი დანიშნულებაა ქვეითთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. აქედან გამომდინარე, მომავალში ტროტუარებზე უნდა განხორციელდეს პარკირების არსებული ადგილების სრული (ან უმეტესი ადგილების) გაუქმება. საწყის ეტაპზე, ალტერნატიული მრავალსართულიანი სადგომების მშენებლობების დასრულებამდე, პარკირების გაუქმება პირველ რიგში უნდა განხოციელდეს იმ ტროტუარებზე, სადაც პარკირებული და მანევრირების დროს ადგილზე შემავალი და გამომავალი ავტომობილი განსაკუთრებით აფერხებს ფეხითმოსიარულეთა მოძრაობას და სადაც არსებობს ფეხითმოსიარულეთა მოძრაობის

მაღალი ინტენსივობა (სკოლების, უნივერსიტეტების, საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტის გაჩერების მიმდებარე ტროტუარებზე)

IV. ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ, ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲓᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ (ArcGis) ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირ შემთხვევაში არის პარკირების შესახებ მომხმარებელთათვის არასრული და არაადექვატური ინფორმაციის მიწოდების შედეგი. აღნიშნული ინფორმაცია განსაკუთრებით საჭირო ხდება პარკირების დეფიციტის პერიოდებში, როდესაც დიდია ქალაქის ცალკეულ უბნებზე მოძრაობის შეფერხებების და საცობების წარმოშობის ალბათობა. ქალაქში პარკირების ორგანიზებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო დაწესებულებების და კერძო სამართლის სუბიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირების ადგილების მოწყობის, ან არსებული პარკირების ადგილების გაუქმების საჭიროებას, აგრეთვე პარკირების ადგილების სარგებლობის სხვადასხვა ფორმითგადაცემის,არსებულისაგზაონიშნებისდასაგზაო მონიშვნების კორექტირების მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა სამართლებრივ საკითხებთან ერთად, მოითხოვს პარკირების ორგანიზების და საგზაო ნიშნების ცვლილებების განხორციელების ადგილების ფიზიკურ დათვალიერებას მათი მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით. ტრანსპორტის სამსახურში, ასევე მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში (მაგალითად მერიის ქონების მართვის სააგენტო, კეთილმოწყობის სამსახური და სხვა), კომპანია სი-ტი პარკში და საპატრულო პოლიციაში არსებულ როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ რუქებზე არ არის სრულად დატანილი პარკირების ყველა ნიშანი, ფაქტიურად არსებული საგზაო მონიშვნები და საგზაო ნიშნები.

დღეისათვის არსებული მონაცემები პარკირების(კერძო და საზოგადოებრივი) შესახებ არასრულია და არ ხდება სივრცითი კოორდინატების მიხედვით მისი რეგისტრირება საჯარო რეესტრში. ამის გამო ხშირად ქალაქის მთავრობის მიერ დამტკიცებულ პარკირების არსებულ ადგილებს და კერძო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებს შორის ხდება გადაფარვები, რაც არ არის დაფიქსირებული არც დოკუმენტალურად და არც სპეციალურ რუკებზე

როგორც ცნობილია, პარკირება დაკავშირებულია ავტომობილების გადაადგილებასთან და შენახვასთან სივრცეში. აქედან გამომდინარე, პარკირების სრულყოფილი ანალიზი უნდა მოიცავდეს სივრცული სისტემების გამოყენებას. ArcGIS-ის გამოყენება საშუალებას იძლევა განხორციელდეს პარკირებასთან დაკავშირებული შეგროვებული და შენახული ინფორმაციის დამუშავება, ინტეგრირება და ილუსტრაცია პარკირების ელექტრონული რუკების სახით, რაც აუცილებელია პარკირების სისტემაში განხორციელებული პოლიტიკის გავლენის სრულყოფილი და ობიექტური ანალიზისათვის

აქედან გამომდინარე საჭიროა განისაზღვროს სივრცულად წარმოდგენილი პარკირების მონაცემების ორგანიზებისა და ანალიზისათვის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის(ArcGIS) პროგრამის გამოყენების შესაძლებლობა და შესაბამისად პარკირების საზოგადოებრივი და კერძო ადგილების დაგეგმვის, წარმოდგენის ფორმის, დამტკიცების და საჯარო რეგისტრაციის პროცედურა. უნდა დადგინდეს იმ აუცილებელი ინფორმაციის ნუსხა და ფორმატი, რაც საჭიროა პარკინგის პოტენციური მომხმარებლებისათვის. მაგალითად პარკირების ადგილების ხელმისაწვდომი რაოდენობის, ფასების, პარკირების რეგულაციების და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა როგორც ქალაქში რეგულარულად მოძრავი, ასევე შემომავალი ტურისტული ავტომობილების მძღოლებისათვის. უნდა განისაზღვროს პარკირების ადგილების მიმდებარედ არსებული ობიექტების(სახელმწიფო დაწესებულება, კერძოკომპანია,საცხოვრებელისახლი)შესახებარსებული სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების ფორმები, მაგალითად პარკირების ნიშნების რუქების, ბროშურების, ვებგვერდების და სხვა ელექტრონული გაიდლაინების სისტემების საჭირო რაოდენობა და ხელმისაწვდომი სახეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს სატრანსპორტო ნაკადების მკვეთრი და გაუთვალისწინებელი ცვლილებისას პარკირების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიწოდების ფორმები.

ArcGIS პროგრამა შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ქალაქ თბილისში პარკირების ადგილების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრა, პარკირების სხვადასხვა სტრატეგიის და მეთოდის სიმულირება, პარკირების პრობლემური ადგილების შეფასება და პარკირების პერსპექტიური რაოდენობის განსაზღვრა

ზემოაღნიშნულის მისაღწევად ArcGIS ის პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელში უნდა გაერთიანდეს პარკირების მიწოდების განმსაზღვრელი ცვლადები - პარკირების ტარიფები, პარკირების ადგილების რაოდენობა და ადგილმდებარეობა და პარკირების მოთხოვნის განმსაზღვრელი ცვლადები - პარკირების ადგილების მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადები პიკის საათებში, პიკის გარდა და დასვენების დღეების საათებში, სატრანსპორტო მობილობა მგზავრობათა კატეგორიების (შრომითი, კულტურული და სხვა დანიშნულების) მიხედვით, პარკირების ადგილების დაკავების კოეფიციენტი, პარკირების ყველაზე დიდი მოთხოვნა, პარკირების ადგილებზე დღეში შემოსული ავტომობილების საერთო და საშუალო რაოდენობები, პარკირების ხანგრძლივობის საშუალო და მედიანური დონეები.

პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელით მიღწეული შედეგი უნდა მოიცავდეს ArcGIS-ის პროგრამის საშუალებით პარკირების ადგილების ბალანსის შესწავლის ანგარიშს ქალაქის ტერიტორიაზე დროის ცალკეული პერიოდების მიხედვით . კერძოდ:

პარკირების ეფექტიანობაზე ტარიფების და პარკირების ადგილების მიწოდების გავლენის სხვადასხვა სცენარებს

პარკირების ადგილების დაკავებულობის

კოეფიციენტების შესწავლას და მისი მიმდინარე და პერსპექტიულ ანალიზს.

ArcGIS-ის პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელი საშუალებას იძლევა შეფასდეს პარკირების სისტემის ეფექტიანობა პარკირების მთლიანი ბალანსის და ზონური ბალანსის განსაზღვრის საფუძველზე . მთლიანი ბალანსი გულისხმობს მთლიანად ქალაქის მასშტაბით პარკირების ადგილების მიწოდებას და მოთხოვნას შორის თანაფარდობის დაბალანსებას. ზონური ბალანსი არის ბალანსი ქალაქში არსებული პარკირების ზონების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანია ვინაიდან მთლიანი ბალანსი შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგრამ მისი განაწილება პარკირების ზონებს შორის იყოს დარღვეული პარკირების ადგილების არათანაბარი განაწილების გამო ქალაქის ტერიტორიაზე

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების მოწყობის გათვალისწინება წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიის ზონირების პროცესის უმთავრეს შემადგენელ კომპონენტს. პარკირების მოთხოვნილებები ფასდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის განვითარების დაპარკირებისშესაძლებლობებისსხვადასხვადონით,რაც ასახული უნდა იყოს პარკირების ზონებში. დღეისათვის ქ თბილისში პარკირების არსებული და პერსპექტიული შესაძლებლობები და აუცილებელი შეზღუდვები არასაკმარისადაა ასახული არსებულ კანონმდებლობაში. კერძოდ, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N#4-13 გადაწყვეტილებით„ ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ უფლებრივი ზონირების განხორციელების მიზნით დედაქალაქის ტერიტორიის არსებულ ზოგად ფუნქციურ ზონებში სატრანსპორტო ზონა 1 ითვალისწინებს საერთო სარგებლობის მიწისქვეშა და დროებით მიწისზედა ავტოსადგომებს, ხოლო სატრანსპორტო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 3 მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომებს.

ამასთან, დღეისათვის არც ერთ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებას არ გააჩნია ზემოთაღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებული „სატრანსპორტო ზონების“ მიხედვით შედგენილი ელექტრონული რუკა, სადაც სრულყოფილად უნდა იყოს დატანილი არსებული და საპროექტო (პერსპექტიული) ავტოსადგომები მათი მისამართების, პარკირების ადგილების, დგომის მეთოდების, კუთვნილების და სხვა ატრიბუტების მიხედვით.

პარკირების ზონირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა პირველ რიგში იმ პრინციპების და კრიტერიუმების შემუშავება, რომლებითაც მოხდება თბილისის ტერიტორიის პარკირების ზონებად დაყოფა. პარკირების ზონების განსაზღვრისას შეიძლება გამოყენებული იქნეს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ზონები დაიყოფა პარკირების სახეების მიხედვით და სატრანსპორტო მიმოსვლის დანიშნულების მიხედვით:

პარკირების ზონების განსაზღვრის კრიტერიუმები პარკირების სახეების მიხედვით

გზის გარეთ კერძო პარკირება

გზის გარეთ საზოგადოებრივი პარკირება (მოკლევადიანი, გრძელვადიანი)

ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ კონტროლირებადი (ფასიანი) გზაზე პარკირება.

ქალაქის ხელმძვანელობის მიერ არაკონტროლირებადი (უფასო) გზაზე პარკირება

პარკირების ზონების განსაზღვრის კრიტერიუმები სატრანსპორტო მიმოსვლის დანიშნულების მიხედვით:

ქალაქის ცენტრალური ადგილები სადაც დაშვებულია მხოლოდ ფასიანი პარკირება

ქალაქის ადგილები სადაც აკრძალულია პარკირება(საცობების პოტენციური წარმოქმნის, Park and Ride-ს ზონები, რეკრეაციული ადგილები და სხვა)

რკინიგზის და აეროპორტის მიმდებარე ადგილების, სავაჭრო ცენტრების და ბიზნესის მიზიდულობის ადგილები

საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული შერეული (ფასიანი, უფასო) პარკირების ადგილები

აღნიშნულ კრიტერიუმებთან, ერთად პარკირების ზონების განსაზღვრა უნდა მოხდეს სატრანსპორტო ნაკადის მოცულობის ანალიზის საფუძველზე დილის, საღამოს, სამუშაო, არასამუშაო და პიკის საათების მიხედვით

პარკირების ზონებად დაყოფა უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს, რომლის თანახმად პარკირების ადგილის მოძებნის დრო ზონის ფარგლებში იყოს ოპტიმალური

პარკირების ზონირებისათვის უნდა იქნეს შესწავლილი ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საზოგადოებრივი პარკირების მიწოდების (პარკირების ადგილების რაოდენობა), პარკირების დატვირთვის(დაკავების) კოეფიციენტი, პარკირების დეფიციტი/ნამეტის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, დღის, პიკის და საღამოს საათებში ქალაქის ცენტრალური რაიონების და პერიფერიების მიხედვით, რომლებიც დატანილი უნდა იქნას განსხვავებული ფერებით და აღნიშვნებით ArcGIS პროგრამაში შედგენილ პარკირების ელექტრონულ (ინტერაქტიულ)რუკაზე

პარკირების ელექტრონულ რუკაზე აღნიშნული უნდა იქნას ასევე განსხვავებული ფერებით თბილისის ცენტრში არსებული პარკირების ზონები შემდეგი დიფერენციაციით:

ა) სადაც დასაშვებია მხოლოდ ფასიანი პარკირების ადგილების მოწყობა

ბ) სადაც დასაშვებია უფასო პარკირების ადგილების მოწყობა

გ) დასაშვებია პარკირების შერეული(როგორც ფასიანი, ისე უფასო) სისტემის გამოყენება

დ) სადაც აკრძალულია პარკირება

ე) სადაც არსებობს საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული შერეული (ფასიანი და ნებართვის მფლობელთათვის უფასო) პარკირების ადგილები

V. მრავალსართულიანი მიწისქვეშა და მიწისზედა სტაციონალური და მექანიკური ავტოსადგომების სახეების შერჩევის და მშენებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა

ქალაქში პარკირების დეფიციტის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მრავალსართულიანი მიწისქვეშა და მიწისზედა სტაციონალური და მექანიკური სადგომების მშენებლობა

მრავალსართულიანი ავტოსადგომების

მშენებლობის ადგილების შერჩევისას და ადგილების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრისას უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ავტოსადგომებში ადგილების მინიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს დიფერენცირებულად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, საცხოვრებელი, საოფისე, საცალო ვაჭრობის ცენტრის, სასტუმრო, კაფე-რესტორანის, სასაფლაო, სამედიცინო ფუნქციური დანიშნულებების და ცენტრალური, შუალედური და პერიფერიული ზონების მიხედვით

უნდა შეირჩეს ტერიტორიები, სადაც არსებობს ხშირი სატრანსპორტო შეფერხებები, პარკირების წესების დარღვევით მდგომი ავტომობილები და არალეგალური პარკირების ადგილები, ანუ არსებობს რეალური მოთხოვნა პარკირების ადგილებში

უნდა შეირჩეს ტერიტორიები, სადაც არსებობს ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმის მიხედვით განსაზღვრული განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივები

ავტოსადგომების მშენებლობა გათვლილი უნდა იყოს პროგნოზზე, რომლის თანახმად საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში აშენებულ სადგომზე მანევრირება არ გამოიწვევს მოძრაობის შეფერხებებს და არ დადგება მისი გაუქმების საჭიროება.

მიწისქვეშა სადგომების მშენებლობისას პირველ რიგში უნდა განიხილებოდეს მიწისქვეშა კომუნიკაციების სხვაგან გადატანის როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური შესაძლებლობა შესაძლებლობა

მიწისზედა სადგომების მშენებლობისას და ფუნქციონირებისას არქიტექტურული იერსახის გათვალისწინება

სადგომზე ავტომობილების შესვლისას და გამოსვლისას შეუფერხებელი და მარტივი მანევრირების არსებობის გათვალისწინება

მშენებლობის, საექსპლუატაციო ხარჯების გაანგარიშება და პარკირების საფასურის დადგენა

მრავალსართულიანი მიწისქვეშა და მიწისზედა სტაციონალური სადგომების მშენებლობისას უნდა მოხდეს ტექნიკური პარამეტრების ნუსხის და მათი ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა:

ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის მინიმალური სიგრძე და სიგანე (დგომის პარალელური, მართობული და 45 გრადუსიანი მეთოდების მიხედვით)

ავტოსადგომის სავალი ნაწილის მინიმალური სიგანე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და სხვადასხვა ფუნქციის მქონე ობიექტისათვის

ავტოსადგომის მინიმალური თავისუფალი სიმაღლე ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე

ავტოსადგომის ნებისმიერი დახურული და ღია მისასვლელი ნაწილის ან პანდუსის და დონეებს შორის დამაკავშირებელი მრუდწირული მოხაზულობის პანდუსის მაქსიმალური ქანობი(%)

დონეებს შორის დამაკავშირებელი მრუდწირული მოხაზულობის პანდუსის მოწყობის შემთხვევაში მისი შიდა რადიუსის მინიმალური სიდიდე და სავალი ნაწილის მინიმალური სიგანე და დონეებს შორის დამაკავშირებელი ორმხრივი მრუდწირული მოხაზულობის პანდუსის მოწყობის შემთხვევაში სავალი ნაწილის მინიმალური სიგანე

პანდუსის ან ნებისმიერი შესასვლელ/გასასვლელის გასწვრივ საფეხმავლო გზის/ ტროტუარის მინიმალური სიგანე

დახურული ავტოსადგომებიდან ფეხმავალთა საევაკუაციო გამოსასვლელებს შორის მაქსიმალური მანძილი

დახურულ ავტოსადგომებში კიბის უჯრედის და ლიფტის ჰოლში შესასვლელში გამოყოფილი ტამბურის შიდა გაბარიტები სიგრძე/სიგანე

სტაციონალური მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს მშენებლობაში ჩადებული ინვესტიციის დაფარვის და პერსპექტივაში ქალაქის განვითარების გეგმაში შესაძლო ცვლილებების გამო ამ ტიპის ავტოსადგომის საჭიროების შემცირების რისკი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტაციონალური მრავალსართულიანი ავტოსადგომების პარალელურად პარკირების სისტემის მოწყობაზე და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ უნდა იქნეს განხილული მექანიკური ე.წ „ჭკვიანი პარკირების“ სისტემების (Smart Parking) და ნახევრადმექანიკური მრავალდონიანი ავტოსადგომების მოწყობის შესაძლებლობა ქალაქის ცალკეულ ადგილებში, და ამისათვის შესაბამისი ინვესტიციების განსაზღვრა და წყაროების მოძიება

მექანიკური ავტოსადგომების მშენებლობის და ტერიტორიების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მისი უპირატესობები ასევე გარკვეული ნაკლოვანებები

მექანიკური ავტოსადგომების მშენებლობის მთავარ უპირატესობებს სტაციონალურ ავტოსადგომებთან შედარებით წარმოადგენს

მათი მობილობა და მოქნილობა, მცირე კაპიტალური დანახარჯი და პერსპექტივაში ავტოსადგომის გაუქმების (დემონტაჟის) მარტივი შესაძლებლობა

დაახლოებით 35-50% და მეტი ფართობის ეკონომია პარკირების ტრადიციულ სისტემებთან შედარებით

მომგებიანობა - ავტომობილ ადგილების გაცილებით დიდი რაოდენობის რეალიზაციის გამო ერთი და იგივე განაშენიანების ფართობზე ტრადიციულ სისტემასთან შედარებით

უსაფრთხოება - გამორიცხულია სისტემაში არასანქციონირებული დაშვება და დამოუკიდებელი გადაადგილება პარკინგში, ვინაიდან პარკირების/ ავტომობილის გამოყვანის პროცესი ხორციელდება მძღოლის მონაწილეობის გარეშე

დროის ეკონომია - ავტომობილის პარკირების და გამოყვანის პროცესი გრძელდება დაახლოებით 50-90 წამი

დაბალი ენერგომოხმარება- ერთი ციკლი (პარკირება-ავტომობილის გამოყვანა) მოიხმარს დაახლოებით 1 კვტს

ხმაურის დაბალი დონე- 30 დბ ზე ნაკლები (ხმაურის დასაშვები ნორმატიული დონეა 60 დბ)

ეკოლოგიურობა - გამორიცხულია მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა და დაბინძურება

ნებისმიერ პროექტთან ადაპტაციის უნარი - მოწყობილობების მრავალფეროვნების გამო

ამასთან, ზემოაღნიშნული მახასიათებლები პარკირების სისტემის ტიპების და მწარმოებლების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან

მექანიკური ავტოსადგომების ნაკლოვანებებია ცენტრალურ ადგილებში ქუჩების მიმდებარედ მშენებლობისას ქალაქის არქიტექტურასთან შესაბამისობის პრობლემა, შედარებით დიდი საექსპლუატაციო ხარჯები, ტექნიკურ და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და კონსტრუქციის დაზიანების შემთხვევაში ავტომობილების გამოყვანის შეფერხება გარკვეული დროით

აღნიშნული უპირატესობების და ნაკლოვანებების გათვალისწინებით, პარკირების მართვაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა უნდა განახორციელოს მექანიკური ავტოსადგომების ტიპების და არსებული მოდელების მიმოხილვა სხვადასხვა ქვეყნების(მაგალითად , აშშ, გერმანია, სინგაპური, თურქეთი, ჩინეთი, იაპონია და სხვა) გამოცდილების, მათი შეძენის და მონტაჟის ღირებულების, ენერგოეფექტურობის, სისწრაფის და უსაფრთხოების მაჩვენებლების მიხედვით და მათგან თბილისის პირობებისათვის შესაბამისი ტიპის შერჩევა და მექანიკური ავტოსადგომების განთავსების პოტენციური ტერიტორიების შერჩევა

პარკირების სისტემები, რომლებშიც გამოიყენება მექანიზირებული, რობოტიზირებული მოწყობილობები იყოფიან შემდეგ სახეებად:

მრავალიარუსიანი ავტომატიზირებული პარკინგები

მრავალიარუსიანი ნახევრადავტომატიზირებული (მექანიზირებული) პარკინგები

მათ შორის განსხვავება მდგომარეობს პარკირების ადგილზე შესვლის და პარკირებიდან გამოსვლის ავტომატიზაციის პროცესის ხარისხში. მრავალიარუსიან ავტომატიზირებულ პარკინგებში მძღოლი გადმოდის ავტომობილიდან და ავტომობილის პარკირება ხდება მთლიანად ავტომატიზირებულ რეჟიმში, სპეციალური რობოტიზირებული ტრანსპორტიორების საშუალებით

მრავალიარუსიანი ავტომატიზირებული პარკირების სისტემები იყოფიან შემდეგ ტიპებად(იხ 18) :

კოშკური ტიპის- მისი მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია ჩქაროსნული ამწის ორივე მხარეს განთავსებულ პალეტზე (პოდდონზე) მოთავსებული ავტომობილების აწევაში. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპაქტურ პარკირების საშუალებას, რომელიც იკავებს მხოლოდ სამი პარკირებული ავტომობილის ფართობს(50 კვმ), ხოლო ავტომობილ-ადგილების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 70 ავტომობილს. ავტომობილების პარკირების ადგილების შეზღუდვა დამოკიდებულია ტერიტორიის განაშენიანების დასაშვებ ნორმატიულ სიმაღლეზე.

კონვეიერული, ანუ კასეტური სახის - ამ სისტემის მექანიზმების მუშაობა მსგავსია კონვეიერის მუშაობის,სადაც ხდება ყველა დონის პალეტის ჰორიზონტალური გადაადგილება. ორივე მხარეს მოთავსებულია ამწეები (ვერტიკალური გადაადგილებისათვის). ეს სისტემა რეკომენდებულია მცირე და საშუალო ფართობებისათვის, განსაკუთრებით სიგანეში შეზღუდვის შემთხვევაში

რობოტიზებული სახის- მისი მუშაობის პრინციპი დამყარებულია ვერტიკალურად მოძრავ ამწეებზე და ჰორიზონტალურად გადაადგილებულ რობოტ-ტრანსპორტიორებზე, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დონეებზე ერთდროულად. ეს სისტემა იდეალურია საშუალო და დიდი ფართობებისათვის

მრავალდონიან ნახევრადავტომატიზირებულ პარკინგში მძღოლი შედის არა მხოლოდ მიმღებ განყოფილებაში, არამედ იმყოფება უშუალოდ პალეტზე მდგომ ავტომობილში. პარკირების სისტემა გადაადგილებს ავტომობილიან პალეტს და უთავისუფლებს ცარიელ პალეტს ადგილს ახალი ავტომობილის პარკირებისათვის, ან ახორციელებს ავტომობილების ტრანსპორტირებას პარკირების სისტემიდან. პალეტების გადაადგილების ვარიანტების მიხედვით, ასეთი პარკირების სისტემები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- როტორული, ანუ კარუსელის ტიპის- პარკირების მექანიზმი, რომელიც მუშაობს დიდი კარუსელის პრინციპით, სადაც ლოგიკური მართვის კონტროლიორი დამოუკიდებლად ირჩევს ავტომობილის ადგილზე მიტანის ოპტიმალურ გზას მექანიზმის ან ერთ ან მეორე მხარეს დატრიალებით

- პაზლის ტიპის - მისი მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია პალეტების მონაცვლეობით ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გადაადგილებაზე განთავისუფლებული ადგილისაკენ

გზის მიღმა პარკირების ადგილებამდე ფეხით სიარულის მისაღები მაქსიმალური მანძილების განსაზღვრა

გზის მიღმა პარკირების ადგილების მოწყობისას სხვა ფაქტორებთან და კრიტერიუმებთან ერთად აუცილებელია პარკირების ადგილებიდან სხვადასხვა მოსარგებლეთა მიერ სხვადასხვა საჭიროებისათვის დანიშნულების საბოლოო ადგილებამდე ფეხით სიარულის მაქსიმალურად დასაშვები მანძილების გათვალისწინება. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გამოყენებული გზის მიღმა პარკირების ადგილებამდე ფეხით სიარულის მისაღები მაქსიმალური მანძილები (იხ 13)ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სადგომების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

მიმდებარე (30 მეტრამდე)	მოკლე მანძილი (250 მეტრამდე)	საშუალო მანძილი (400 მეტრამდე)	გრძელი მანძილი (500 მტრამდე)
შეზღუდული შესაძლებლობის პირები, გადაუდებელი სამსახურები, დატვირთვა და განტვირთვა, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მდებარე მარკეტები	ბაკალეა, პროფესიული მომსახურება, სამედიცინო კლინიკები, ადგილობრივი მცხოვრებლები	საერთო საცალო სავაჭრო ობიექტები, რესტორნების მომუშავეები, გასართობი ცენტრები, რელიგიური ორგანიზაციები	აეროპორტის პარკირება, სპორტული და კულტურული დონისძიებები, პარკირება გადატვირთული მოძრაობის შემთხვევაში

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და პერსპექტიული პარკირების ადგილების მიხედვით უნდა განხორციელდეს დანიშნულების ადგილიდან პარკირების ადგილებამდე ფეხით სიარულის მისაღები

მანძილების დაცულობის შეფასება და გათვალისწინება და აღნიშნული კრიტერიუმების დაცვის შესაბამის რეგულაციაში ასახვა.

VI. მსოფლიო პრაქტიკაში არსებული პარკირების რეჟიმების და სტრატეგიების სახეები

თბილისში არსებული პარკირების სისტემა დაფუძნებულია მხოლოდ პარკირების ტრადიციულ ხერხებზე და არ ითვალისწინებს ქალაქში არსებული პარკირებისსაშუალებათა გამოყენებისშესაძლებლობების გაზრდას მსოფლიო პრაქტიკაში არსებული პარკირების რეჟიმების და სტრატეგიის სახეების შერჩევის და გამოყენებით. იმისათვის რომ გაუმჯობესდეს არსებული პარკირების სისტემის ეფექტიანობა, საჭიროა პარკირების მსოფლიო გამოცდილებების კვლევა და მათგან საუკეთესო პრაქტიკის შერჩევა ქ თბილისის სპეციფიკის გათვალისწინებით

პარკირების საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა გულისხმობს პარკირების მოცულობის გაზრდას მიწის დამატებითი ფართობის გამოყენების გარეშე. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია რამოდენიმე საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილი სტრატეგიის, რეჟიმის და მეთოდის გამოყენებით.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული პარკირების სტრატეგიები იყოფა ორ ჯგუფად: სატარიფო და არასატარიფო სტრატეგიებად

- სატარიფო სტრატეგიები მოიცავს შემდეგ სახეებს :

დროის მიხედვით ცვალებადი სატარიფო განაკვეთების დაწესების სტრატეგია

აღნიშნული სტრატეგიის მიზანია დროის მიხედვით ცვალებადი სატარიფო განაკვეთების გამოყენებით მგზავრობის სახის (საზოგადოებრივი ტრანსპორტის არჩევით) არჩევანზე ზემოქმედება და მგზავრობათა დიდი რაოდენობის მოცილება ტრანსპორტით გადატვირთული ადგილიდან. ამ სტრატეგიის გამოყენებისას გასათვალისწინებელია იმის ალბათობაც, რომ მაღალმა პარკირების ფასებმა შეიძლება შეიძლება გამოიწვიოს კერძო ტრანსპორტით მგზავრობათა გადანაცვლება ალტერნატიული ადგილისაკენ, და არა მგზავრობის ტრანსპორტის სახის ცვლილება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებით

გზებზე არსებულ პარკირების ადგილებზე დროის მიხედვით ცვალებადი ფასების დაწესებით ხდება პარკირების პიკური მოთხოვნის პერიოდში პარკირების ადგილის გამოყენების დროის მინიმუმამდე დაყვანა. ამ სტრატეგიის გამოყენებისას ქალაქის განსაკუთრებით გადატვირთულ გზებზე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ პარკირების ფასი მიახლოებით ორჯერ უფრო მეტი იყოს, ვიდრე ნაკლებად მოსახერხებელ პარკირების ადგილზე დაწესებული ფასი. ამ სტრატეგიის გამოყენებისას ცვალებადი ფასები უნდა იქნეს დაწესებული დიფერენცირებულად დღის, პიკის და ღამის საათების მიხედვით, ხოლო საფასურის გადახდის საშუალებად როგორც წესი, გამოიყენება პარკირების ადგილებზე დამონტაჟებული პარკომეტრები

პარკირების ადგილებზე ფასების დაწესება პარკირების ადგილების დაკავების მაჩვენებლის მიხედვით

გზებზე და გზის გარეთ ფასების კოორდინირებული დაწესების სტრატეგია

(ბოლო ორი სტრატეგიის არსი განხილულია ქვემოთ)

- არასატარიფო სტრატეგიები მოიცავს შემდეგ სახეებს:

სადღესასწაულო, სარიტუალო ან სხვა სპეციალური ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო პარკირების დამატებითი ან ალტერნატიული ადგილების რაოდენობის განსაზღვრა „პარკირების გაზრდილი მოთხოვნის გეგმის“(overflow parking plan) სტრატეგიის გამოყენებით. აღნიშნული სტრატეგიის დანიშნულებაა ეკლესიებთან შაბათ-კვირას რიტუალების დროს წარმოქმნილი პარკირების გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ამ სტრატეგიის გამოყენებისას აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს მისი გამოყენების სავარაუდო ადგილები და ფორმები სპეციალური ღონისძიებების მოწყობის დროს (ღონისძიების მომწყობი ორგანიზაციის, ეკლესიის ან ქალაქის ბიუჯეტიდან ახლოს მიმდებარე ჰიპერმარკეტისათვის ან სხვა ორგანიზაციისათვის ცერემონიის დროს მის კუთვნილ ადგილებზე დგომისათვის საფასურის გადახდით ან უფასოდ)

პარკირების მინიმალური ან მაქსიმალური მოთხოვნების გამოყენება (Minimum or Maximum Parking Requirement):

არსებული სამშენებლო კოდექსით და ქალაქის ზონირების რეგულაციებით ხორციელდება პარკირების რაოდენობის რეგლამენტაცია, რომლის დაცვაც საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს სამშენებლო კომპანიების ან შენობებისმფლობელებისმიერ.როგორცწესიპარკირების მოთხოვნები დადგენილია როგორც თანაფარდობა პარკირების ადგილების საჭირო რაოდენობისა შენობის ფართობის კვადრატულ მეტრზე, ბინის ერთეულზე ან შენობის გამოყენების ინტენსიურობის სხვა რომელიმე ერთეულზე, გამოყენების სახის გათვალისწინებით. სამშენებლო ნორმები როგორც წესი განსაზღვრავს პარკირების საჭირო ფართობის (ან ადგილების რაოდენობის) მინიმუმს, მაგრამ ასევე საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ადგენდეს პარკირების ადგილების(ფართობის) მაქსიმალურ ოდენობასაც, რათა არ მოხდეს ზედმეტი პარკირების ადგილებისკენ დამატებითი სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა, რაც შეიძლება გახდეს საცობების საგზაო შეფერხებების წარმოქმნის დამატებითი მიზეზი.

აქედან გამომდინარე, პარკირების მოწყობისას უნდა იქნეს განხილული პარკირების როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური მოთხოვნების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა კონკრეტული რაიონების, ზონების და შენობების მიხედვით

ქალაქში სამშენებლო საქმიანობით დაკავებული დეველოპერული კომპანიებისათვის პარკირების ერთჯერადი გადასახადის დაწესება, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი ხმარდება გზის გარეთ საზოგადოებრივი პარკირების მშენებლობას და მოწყობას

ზიარი პარკირების (Shared Parking) სტრატეგიის გამოყენებით პარკირების ადგილების გამოყენების ხარისხის გაზრდა და პარკირების საჭირო ადგილების

მნიშვნელოვანი შემცირება

ქალაქში არსებული პარკირების ადგილების დაკავების (დატვირთულობის) დონის და პარკირების ხანგრძლივობის იდენტიფიკაციასთან ერთად პარკირების მიმოხილვა უნდა მოიცავდეს იმ ადგილების შესწავლას, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული დროის ცალკეულ პერიოდებში და შეიძლება „გაზიარებული“ იქნან მათი ფაქტიური მფლობელების მიერ სხვა ავტომფლობელებზე პარკირების მიზნით (საფასურის გადახდით ან უფასოდ), ზიარი პარკირების სტრატეგიის გამოყენებით

ზიარი პარკირების გამოყენების პირდაპირი ეფექტი არის სხვაობა ზიარი პარკირების სტრატეგიის გამოყენებამდე პარკირების საჭირო ადგილების რაოდენობასა და ზიარი პარკირების სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში პარკირების საჭირო ადგილების რაოდენობას შორის

ამასთან, აუცილებელია განისაზღვროს ზიარი პარკირების სტრატეგიის გამოყენების ვარიანტებისგან (გზაზე, გზის გარეთ, ფასიანი, უფასო) მისაღები ორმხრივი(როგორც ავტომობილის მფლობელების, ასევე პარკირების ადგილების მფლობელების სარგებელი) ეფექტი თბილისის ტერიტორიის ცალკეული ადგილების მიხედვით

ასევე, უნდა განისაზღვროს პარკირების ადგილების(ობიექტების ჩათვლით) რაოდენობა ქალაქის ცალკეული ტერიტორიების მიხედვით, რომლებზეც შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველაზე უფრო დეფიციტურ(პიკურ) პერიოდებში ზიარი პარკირების სტრატეგია

ვალეტ პარკინგის (Valet Parking) მეთოდის გამოყენება - ანუ პარკინგის მომსახურება, რომლის შეთავაზება ხდება ვიზიტორებისთვის როგორც დამატებითი ფასიანი მომსახურება რესტორნების, მარკეტების და ბიზნესის სხვა წარმომადგენლების მიერ. „„თვითპარკირებისგან“ განსხვავებით, როდესაც ავტომფლობელს თვითონ უხდება ავტომობილის პარკირება, ვალეტ პარკინგის შეთავაზებისას პარკირებას ახორციელებს სპეციალური მოსამსახურე ე.წ „ვალეტი“ . ვალეტ პარკინგის მომსახურებისთვის შეიძლება დაწესდეს საფასური ან განხორციელდეს უფასოდ

ვალეტ პარკინგის მეთოდის გამოყენების დროს უნდა განისაზღვროს :

ა) ადგილები, სადაც არსებობს მოთხოვნა და ობიექტების დაინტერესება(რესტორნები, სასტუმროები, და სხვა) პარკირების ადგილებში და მოძრაობის უსაფრთხოების გათვალისწინებით შესაძლებელია ვალეტ პარკინგის გაჩერებების მოწყობა

ბ) პარკირების ღია და დახურული ადგილები,სადაც მოხდება ვალეტ-პარკინგის წესით ავტომობილების გადაყვანა და განთავსება

გ) ვალეტ პარკინგის მომსახურების ფასები და ვალეტ-პარკინგის გაჩერებებზე ავტომობილის დგომის მაქსიმალური დრო (მაგალითად 5 წუთი) და სანქციების ოდენობა ვალეტპარკინგის წესების დარღვევისათვის(მაგალითად ჩვეულებრივი პარკირების ადგილებად გამოყენება).

პარკირების პერიოდული შეზღუდვების დაწესება ქუჩების დასუფთავებისას - სპეციალური რეგულაციის შემოღება, რომელიც ზღუდავს პარკირებას კონკრეტულ ქუჩაზე კვირაში ერთი დღის განმავლობაში დასუფთავების შეუფერხებელი განხორციელებისათვის

იმისათვის, რომ არ მოხდეს საცობის დამატებითი ადგილების წარმოშობა, საჭიროა წინასწარ დადგინდეს ქუჩების დასუფთავებისას პარკირების პერიოდული შეზღუდვების დაწესების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები ქალაქის ცალკეულ ტერიტორიებზე

პარკინგის მოთხოვნილების შესამცირებლად მობილურობის მენეჯმენტის ხერხის გამოყენება „გააჩერე და წადი (Park and Ride)“ სტრატეგიის საშუალებით- აღნიშნული სტრატეგია გამოიყენება ავტობუსების და ქალაქის სხვა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან, ასევე ქალაქის ცენტრალური ზონების დაწყების დასრულების წერტილებში და საშუალებას აძლევს მგზავრებს მგზავრობის სახის ცვლილება განახორციელონ კერძო ავტომობილის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების საშუალებით.

აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებით ერთის მხრივ იზრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა, ხოლო მეორეს მხრივ მცირდება პარკირების ადგილების მოთხოვნილება და იზრდება მიწის გამოყენების ეფექტიანობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ამასთან, ამ სტრატეგიის გამოყენებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადასაწყვეტ საკითხს წარმოადგენს სტრატეგიის დაწყების და დასრულების წერტილების დადგენის, ამ წერტილების კერძო ავტომობილების პარკირების ზონებით უზრუნველყოფის და მოქმედების მიზანშეწონილი სივრცეების განსაზღვრა ქ თბილისის ტერიტორიის ცალკეულ უბნებში. ამასთან, იქედან გამომდინარე, რომ პარკინგის ზოგიერთი ადგილისკენ მოძრაობა რეგულარულად ქმნის დამატებით სატრანსპორტო ნაკადს, დასაანგარიშებელია, რამდენით შემცირდება კონკრეტული ადგილების მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი, თუ შემცირდება მობილურობა და პარკირების ხელმისაწვდომობა ასეთ ადგილებში

მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა სტაციონალური და მექანიკური სადგომების მოწყობა (განხილული იყო ზემოთ)

ინსტიტუციონალური პარკირება (Institution-al Parking) - პარკირების ამ სტრატეგიის მიხედვით საშუალო სკოლებმა და უნივერსიტეტებმა შეიძლება გადაახდევინონ სტუდენტებს დამატებითი საფასური თავიანთ ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირებისათვის, რაც გაზრდის მოძრაობის უსაფრთხოებას და შეამცირებს ამ ორგანიზაციების მიმდებარედ პარკირების წესების დარღვევის და მოძრაობის შეფერხებების შემთხვევებს. აღნიშნული საფასურიდან მიღებული შემოსავლებით შესაძლებელია სხვადასხვა საჯარო სერვისების, მაგალითად მიმდებარე გზების დასუფთავების, შენობებზე ვანდალური ნახატების და რეკლამების მოცილების, გამწვანების, ხმაურის შემცირების და მიმდებარე ტროტუარების რემონტის სამუშაოების დაფინანსება

გზაზე პარკირების სპეციალური ნებართვების დაწესება გზის მიმდებარედ მცხოვრებლებისათვის (On-

street Residential Neihboghood Parking)

ქალაქის ცენტრალური ქუჩების მიმდებარედ მცხოვრებლები შეიძლება განიცდიდნენ პარკირების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას დიდი სატრანსპორტო ნაკადის გამო. აღნიშნული მოთხოვნის დეფიციტის მართვა შესაძლებელია პარკირების ნებართვების გაცემით ამ კატეგორიის მცხოვრებლებზე და ფასიანი პარკირების დაწესებით არამცხოვრებლებისათვის დაახლოებით 15% იანი თავისუფალი ადგილების შენარჩუნებით. პარკირებიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება გადაეცეს მცხოვრებლებს როგორც პირდაპირ, ასევე მიმდებარე ქუჩების და სხვა საგზაო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გარემონტების სახით

პერიფერიული პარკირების ადგილების მოწყობა (Peripheral Parking lots)

პარკირების ადგილები, რომლებიც მდებარეობენ ცენტრალური რაიონების ფარგლებს გარეთ იწოდებიან პერიფერიულ პარკირებად. პერიფერიული პარკირების ძირითადი მიზანია მოძრაობის ნაკადის მოცილება ქალაქის ცენტრალური ადგილებიდან, სადაც შეზღუდულია პარკირების ადგილების რაოდენობა, ან შეიძლება წარმოიქმნას სატრანსპორტო შეფერხება და საცობი. როგორც სხვა სტრატეგიებს, ასევე პერიფერიულ პარკირებას შეუძლია შეცვალოს ავტოტრანსპორტის მფლობელთა არა მგზავრობის მიმართულება, არამედ მისი გადაწყვეტილება, როდესაც მაგალითად საჭირო ხდება სადგურთან მანქანით მისვლით ან გრძელვადიანი სამუშაოს შესრულებით გამოწვეული პარკირების განხორციელება

პერიფერიული პარკირების ადგილების მოწყობისას წინასწარ უნდა განისაზღვროს ქალაქის აქტივობის ძირითადი ცენტრებიდან თავიანთი ძირითადი დანიშნულების ადგილებამდე ფეხით სიარულის მსურველთა საშუალო მაქსიმალური მანძილი

პარკირების ფასის განცალკევების მეთოდი (Unbundle Parking)

საცხოვრებელი სახლების შეძენისას ან მშენებლობისას ერთ-ერთი მოთხოვნაა პარკირების საკმარისი ადგილების არსებობა. უმეტეს შემთხვევაში ბინის და პარკირების ფასები არ არის გამოყოფილი ერთმანეთისაგან, რაც ბინის შეძენას ხდის უფრო ძვირს, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც არ ჰყავს, ან ჰყავს მხოლოდ ერთი ავტომობილი.

პარკირების ფასების განცალკევების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ბინის საფასური გადაიხდება ცალკე და პარკირების ადგილის მოძიება ხდება მყიდველის მიერ ან საცხოვრებელ სახლში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მეთოდის გამოყენების ეკონომიკური სარგებელია საცხოვრებელი ბინის საფასურის შემცირების შესაძლებლობა, ავტომფლობელთა მიერ ავტომობილის სისტემატური გამოყენების შემცირება და მგზავრობის ალტერნატიული სახეების(მაგალითად საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტის) გამოყენება პარკირების ადგილის საცხოვრებლიდან მოცილების გამო

ზემოთ ჩამოთვლილი პარკირების სტრატეგიების, რეჟიმების, ხერხების და მეთოდების იდენტიფიცირება და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა უნდა განხორციელდეს თბილისის ტერიტორიაზე არსებულ პარკირების ცალკეული ადგილების მიხედვით.

VII. ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

პარკირების სისტემის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში უნდა იყოს განსაზღვრული პარკირების მართვის ცნება :

პარკირების მართვა არის სხვადასხვა პოლიტიკის, სტრატეგიების, რეჟიმების და პროგრამული აპლიკაციების ერთობლიობა, რომელთა განხორციელების და გამოყენების შედეგად ხდება პარკირების რესურსების ეფექტიანი გამოყენება

პარკირების მართვა ასევე გულისხმობს პარკირების მართვის ორგანოს და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრას, პარკირების ეფექტური მართვისათვის პარკირების სფეროში დასაქმებული სპეციალისტების სერტიფიცირებას და შერჩევას, პარკირების ადგილების ექსკლუზიური ან რამოდენიმე ოპერატორისათვის უფლების გადაცემას და გადაცემის პერიოდის განსაზღვრას.

პარკირების სისტემის მართვა უნდა ხორციელდებოდეს პარკირების სფეროს სპეციალისტის -პარკირების კოორდინატორის მიერ. პარკირების კოორდინატორის კვალიფიკაცია ითვალისწინებს პარკირების საუკეთესო პრაქტიკის ცოდნას და პარკირების ეფექტური სისტემის დანერგვას. პარკირების კოორდინატორის ფუნქციებში შედის:

პარკირების შესახებ ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი და ინტერპრეტაცია

პარკირების მოწყობილობების პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა

პარკირების საფასურის გადახდის და პარკირების შემოსავლების კონტროლი და პარკირების საფასურის გადახდის სისტემის ვანდალიზმისაგან დაცვა

პარკირების მართვის უფლების მქონე ოპერატორთან (ოპერატორებთან) კოორდინაცია

პარკირების შესახებ ანგარიშის (პარკირების წლიური გეგმის)ჩაბარება ქალაქის მერიის პასუხისმგებელი ორგანოებისათვის

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ქალაქის პარკირების სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი საჯარო სტრუქტურის (სამსახურის) ჩამოყალიბების პრინციპები. უნდა იქნეს შესწავლილი, რამდენად მიზანშეწონილია ამ სამსახურმა იფუნქციონიროს დამოუკიდებლად, ან მერიის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში. ასევე, უნდა განისაზღვროს იმ საკითხთა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტაზეც იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული დაწესებულება. მათ შორის, შეიძლება ამ საკითხებში შეტანილ იქნას პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება, პარკირების მოთხოვნის და მიწოდების მოცულობების შესწავლა და ანალიზი; ქალაქის მასშტაბით პარკირების წლიური გეგმის (იხ ქვემოთ) დოკუმენტის შემუშავება და პარკირების ადგილების პერიოდული(მათ შორის ოპერატიული) ცვლილების ორგანიზება, პარკირების სატარიფო სისტემის სრულყოფა, პარკირების სამართალდარღვევების პრევენცია, ადმინისტრირება და მონიტორინგი, კოორდინაცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან.

პარკირების მართვის მნიშვნელოვან ელემენტს მიეკუთვნება ასევე ქალაქში გზებზე და გზების

მიღმა არსებული პარკირების ადგილების მართვის უფლების ექსკლუზიურად ერთ ან რამოდენიმე ოპერატორზე გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხი, გადაცემის პერიოდის, სამართლებრივი და ფინანსური პირობების სწორი განსაზღვრა, პარკირების სფეროს სპეციალისტების შერჩევის პრინციპების განსაზღვრა, მათი სერტიფიცირების ორგანიზების წესების დადგენა, პარკირების კოორდინატორების რაოდენობის განაწილება პარკირების ზონების მიხედვით. პარკირების ოპერატორისათვის მართვის ექსკლუზიური უფლებით პარკირების ადგილების გადაცემის პერიოდი დამოკიდებული უნდა იყოს ოპერატორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციების მოცულობაზე.

VIII. პარკირების მართვის წლიური გეგმა (PMP)-ქალაქის პარკირების სისტემის მართვის შემადგენელი ელემენტი

პარკირება წარმოადგენს მთლიანი სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს სატრანსპორტო სისტემის დაგეგმვისას

ქ.თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაში ჩადებული უნდა იყოს სატრანსპორტო სისტემის და მათ შორის პარკირების სისტემის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივები. ამასთან, პარკირება უნდა განიხილებოდეს, როგორც ბიზნესის ნაწილი და შესაბამისად მისი დაგეგმვის და მოწყობის საკითხი უნდა წყდებოდეს ბიზნესის მიერ საქმიანობის დაწყებისთანავე.

იქედან გამომდინარე, რომ პარკირების ორგანიზების დაგეგმვა წარმოადგენს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, იმისათვის, რომ ზედმეტმა ან დეფიციტურმა პარკირების ადგილებმა არ შექმნას ქალაქში მიმდინარე წლის განმავლობაში სატრანსპორტო შეფერხებების და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა დეველოპერებმა, სახელმწიფო ორგანიზაციებმა და ბიზნეს სუბიექტებმა წლის დაწყებამდე გარკვეული პერიოდით ადრე უნდა წარმოადგინონ პარკირების მართვის წლიური ინდივიდუალური გეგმა (PMP)

ქალაქის პარკირების განვითარების სტრატეგიასა და ქალაქში არსებულ ცალკეული ობიექტის მიერ შემუშავებულ პარკირების მართვის წლიურ გეგმებს შორის უნდა არსებობდეს ორგანული კავშირი. განსხვავება ამ ორ დოკუმენტში არსებულ პარკირების ადგილების რაოდენობებს და ლოკაციებს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს ქალაქის განვითარების მიმდინარე გეგმაში შესული ობიექტური ცვლილებებით და დასაბუთებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ქალაქის საკანონმდებლო ორგანოს ურბანულ კომისიაში

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს პარკირების გეგმის შემუშავებაზე და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და დადგინდეს პარკირების მართვის მიმდინარე (წლიური) გეგმის, როგორც ურბანული განვითარების სტრატეგიის რეალიზებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტის შედგენილობის, ფორმატის, მისი მომზადების, დამტკიცების და კორექტირების პერიოდულობის და წარდგენის მოთხოვნის აუცილებლობის წესი მთლიანი ქალაქისათვის, პარკირების ზონების მიხედვით, ორგანიზაციების, დაწესებულებებისათვის, კერძო სამართლის სუბიექტებისათვის

IX. პარკირებასა და საცობებს შორის კავშირის კვლევის ინტეგრირებული მოდელი

დღეისათვის, როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მიზეზების კვლევა და ანალიზი, როგორიცაა პარკირების სისტემის მოუწესრიგობით გამოწვეული საცობები, შეფერხებები და საავარიო სიტუაციები, CO2 გამონაბოლქვის ზრდით გამოწვეული ზიანის მოცულობის განსაზღვრა

სხვადასხვა კვლევებიდან მიღებული მონაცემებით ქალაქში მოძრავი ავტომობილების საშუალოდ დაახლოებით 30% ეძებს პარკირების ადგილებს. საჭიროა საცობების პროგნოზირების ინტეგრირებული მოდელის შემუშავების საფუძველზე და მოძრაობის სიმულაციური მოდელირებით განისაზღვროს აღნიშნული მონაცემი თბილისში საცობებით გადატვირთული ადგილების მიხედვით, რაც აუცილებელია პარკირების გაუმართაობით გამოწვეული საგზაო შეფერხებისა და საცობების წარმოქმნის დადგენისათვის.

საცობების პროგნოზირების ინტეგრირებული მოდელის საშუალებით მოხდება საცობზე პარკირების სისტემის გავლენის ხარისხის განსაზღვრა და დადგინდება კავშირი ცალკეული ტერიტორიების მიხედვით პარკირების ადგილების დეფიციტს/ ზედმეტ რაოდენობასა და საცობების წარმოქმნას შორის

საცობის ხანგრძლივობის ფუნქციაში დამოუკიდებელ ცვლადებად წარმოდგენილი უნდა იყოს პარკირების დეფიციტი, პარკირების ზედმეტი ადგილები, პარკირების ადგილებზე დაწესებული ფასები, წესების დარღვევით და პარკირების არასწორად დაწესებული მეთოდით პარკირებული ავტომობილების რაოდენობა, პარკირების ზონა, სატრანსპორტო ნაკადი, გზის პარამეტრები, გზის მიღმა პარკირების ადგილების რაოდენობა და ფასები.

X. პარკირების სისტემაში არსებული სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობა

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება N9–48-ის მუხლი 8-ის მე 7-ე პუნქტის მიხედვით, პარკირებისათვის საფასური შეიძლება დიფერენცირებული იყოს პარკირების ადგილის მდებარეობის, პარკირების ადგილების სპეციალიზაციის, მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს, ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობის, დღის მონაკვეთში პარკირების, ავტოსატრანსპორტო საშუალების დროის გარკვეული მონაკვეთის (დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი) განმავლობაში პარკირების უფლების და კვირის დღეებში პარკირების მიხედვით. დღეისათვის ფაქტიურად არ ხდება ამ საკანონმდებლო ნორმის გამოყენება და ამავე რეგულაციის მუხლი 8-ის (პარკირების საფასური) მიხედვით ქალაქ თბილისში პარკირება დაიშვება თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფასიან პარკირების ადგილებზე, ხოლო პარკირების საფასურის ოდენობა დადგენილია წლის, 6 თვის და

1 კვირის მიხედვით. აღნიშნული საფასური არ არის დიფერენცირებული პარკინგის ადგილების მდებარეობის (ცენტრალური რაიონები და პერიფერიები) მიხედვით და ხშირ შემთხვევაში ბევრად ნაკლებია პარკირების ადგილის დაკავების ფაქტიურ ხანგრძლივობის შესაბამის ფასზე

თბილისის ტერიტორიაზე არსებულ და ქალაქის საკუთრებაში მყოფ საზოგადოებრივი პარკირების ადგილებზე (შპს საქართველოს რკინიგზის, სპორტის სასახლის, ბაზრობების და აეროპორტის მიმდებარედ) დადგენილია ინდივიდუალური ტარიფები, რომელთა გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლის კონტროლი და რეგლამენტაცია (ტარიფის ზედა ზღვრის დადგენა) თვითმმართველი ორგანოს მიერ არ ხორციელდება

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქალაქის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ცალკეულ ადგილებზე, სადაც არის განსაკუთრებული მოთხოვნა პარკირების ადგილებზე, ხდება პარკირების საფასურის არალეგალური აკრეფა, რაც უმეტეს შემთხვევებში რჩება შესაბამისი რეაგირების გარეშე (ე.წ „სტაიანშიკები“, უკანონოდ გახსნილი ფასიანი სადგომები და პარკირების თვითნებური შეზღუდვები)

დღეისათვის თბილისში საზოგადოებრივი პარკირების ადგილებზე დადგენილი დაბალი ფასების, ან უფასო პარკირების გამო მრავალსართულიანი სადგომების მშენებლობის მსურველ პოტენციურ ინვესტორს პარკირების პროგნოზირებული მოთხოვნის განსაზღვრისას შეიძლება წარმოეშვას შემდეგი კითხვა: რატომ უნდა გადაიხადოს ავტომფლობელმა მის სადგომზე 3 ლარიანი საფასური, როდესაც ქუჩების და ტროტუარების უმეტეს ნაწილზე დგომა მას უჯდება დღეში 15 თეთრზე ნაკლები. აღნიშნული არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უკვე მოქმედი მიწისქვეშა სადგომების ადგილები გამოუყენებელია მაშინ, როდესაც ამ სადგომების მიმდებარე ქუჩები და ტროტუარები გადატვირთულია პარკირებული ავტომობილებით

საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებით პარკირების ეფექტური სატარიფო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს როგორც უნიფიცირებულ ასევე დიფერენცირებული საფასურის გადახდას და უნდა დაეფუძნოს საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებს:

პარკირების საფასური უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მაგრამ არა ერთნაირი ქალაქის ტერიტორიების მიხედვით

ცალკეულ ტერიტორიებზე პარკირების საფასური დაწესებული უნდა იყოს დროის მონაკვეთის და ქუჩაზე მოძრაობის ინტენსივობის მიხედვით

ქალაქის ცენტრში პარკირება უნდა იყოს შეზღუდული პარკირების გაზრდილი ფასის ან პარკირების ადგილების შემცირების შედეგად

ქალაქის ცენტრში გზებზე პარკირების საფასური უნდა იყოს მეტი გზის მიღმა პარკირების საფასურზე

პარკინგის ტარიფები უნდა შეესაბამებოდეს პარკინგის ადგილების გამოყენების ხარისხს და პარკინგის ტერიტორიის მიმდებარე ობიექტების რაოდენობას

ნეგატიური ეფექტი, რომელიც გამოწვეულია რეალურზე დაბალი ან ან უფასო პარკირების ადგილების არსებობით შეიძლება გამოსწორდეს როდესაც გზაზე პარკირების ფასი იქნება დაახლოებით იგივე ან მეტი გზის მიღმა პარკირების ფასზე

საერთაშორისო პრაქტიკით ცნობილია, რომ როდესაც ქალაქში არსებულ გზებზე პარკირება არის უფასო (ან მცირე), მაგრამ ყველა ადგილი არის დაკავებული, ავტომობილის მფლობელი მოძრაობს, რომ იპოვოს პარკირების ადგილი, რომელიც თავისუფალია ან თავისუფლდება პარკირებიდან გამოსული სხვა ავტომობილის მიერ. გზის მიღმა პარკირება არის შედარებით მოუხერხებელი დამატებით გასავლელი მანძილის გამო და ამასთან დაკავებულობის მხრივ ხელმისაწვდომი, მაგრამ ავტომობილის მფლობელმა უნდა გადაიხადოს საბაზრო ფასი გზებს მიღმა ადგილზე პარკირებისათვის.

ქალაქში მოძრავ ავტომობილების მფლობელებს პარკირების არსებული სისტემის და გადატვირთული გზების პირობებში უჭირთ სწრაფად მიიღონ ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი: გააგრძელონ პარკირების ძებნა გზებზე , თუ განახორციელონ პარკირება გზებს მიღმა

როდესაც გზებს მიღმა პარკირება არის ძვირი, მძღოლთა დიდი ნაწილი ეძებს გზებზე პარკირების ადგილს, რაც არის ბუნებრივი პასუხი გზის გარეთ პარკირების მაღალ ფასებზე. ანუ გზებზე პარკირებაზე შემცირებული ფასების დაწესებით იქმნება ადგილების ძებნის ეკონომიკური საფუძველი.

პარკირების ფასების დადგენის ეფექტური სტრატეგიაა გზებზე და გზების მიღმა პარკირების ფასების ისეთი კოორდინაცია, როდესაც ნაცვლად იმისა რომ გააგრძელოს გზებზე პარკირების ადგილების ძებნა, პარკირების ადგილის მაძიებელს ექნება გზების მიღმა არსებულ ღია და დახურულ სადგომებზე ავტომობილის პარკირების სურვილი

უნდა გაანალიზდეს გზებზე და გზის გარეთ პარკირებაზე დღეისათვის არსებული ფასწარმოქმნის სისტემის ეფექტურობა. ამისათვის ქ. თბილისის ცენტრალურ გზებზე და გზის გარეთ (ღია და დახურულ კერძო ადგილებზე) პარკირების ადგილებზე არსებული ფასების შედარებით უნდა დადგინდეს, საშუალოდ მინიმუმ რამდენით მეტი უნდა იყოს გზებზე პარკირების ფასი გზის გარეშე პარკირების ფასთან შედარებით, რომ შემცირებული იქნეს გზებზე პარკირების ადგილების ძებნის ზემოაღნიშნული ეკონომიკური საფუძველი და შემცირებული იქნეს ამ ძებნის შედეგად გამოწვეული საგზაო შეფერხებები

სხვადასხვა მეთოდებით მძღოლების გამოკითხვის საფუძველზე საჭიროა ჩატარდეს ანალიზი, რომლის საფუძველზეც იქნება შესწავლილი ავტომობილის მძღოლთა გადაწყვეტილების მიღების მონაცემები მოძებნონ უფასო ან შედარებით დაბალფასიანი პარკირების ადგილები, ან აირჩიონ გზის გარეთ ფასიანი პარკირების ადგილი

პარკირების სისტემის მართვასთან და პარკირების საფასურის დადგენასთან დაკავშირებით მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ პარკირების ადგილის იდეალური დაკავებულობის ხარისხი ქალაქის ცენტრალურ რაიონებში განიხილება დაახლოებით 85%-ის დონეზე, ანუ როდესაც პარკირების ადგილების საერთო რაოდენობის 15% არის თავისუფალი, იგულისხმება რომ პარკირების საფასური დაწესებულია სწორად. თუ დაკავებულობის (შევსების) ხარისხი მეტია

85%-ზე, მაშინ პარკირება მიიჩნევა გადატვირულად და მიზანშეწონილია პარკირების საფასურის გაზრდა. თუ პარკირების ადგილის დაკავებულობის(შევსების) დონე ნაკლებია 85%-ზე, მაშინ პარკირების ადგილების გამოყენება არ ხდება საკმარისად და ფასი უნდა შემცირდეს ან საერთოდ დაწესდეს უფასო პარკირება (იხ 8)

პარკირების ადგილებზე ფასების დაწესება ამცირებს პარკირების მაქსიმალურ დროს, თუმცა ეს არ ხდება ერთნაირად პარკირების ადგილების გამომყენებელთა ყველა ჯგუფისათვის (ადგილობრივი მცხოვრებლები, შემთხვევითი ვიზიტორები და ქალაქგარეთ მცხოვრებლები), რაც გამოწვეულია პარკირების სხვადასხვა ელასტიურობის დონით. ამიტომ, პარკირების ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით საჭიროა შემდეგი ძირითადი საკითხების გადაწყვეტა:

უნდა დადგინდეს პარკირების ფასწარმოქმნის გავლენა პარკირების ადგილების დაკავებულობის დონეზე სხვადასხვა დანიშნულების მგზავრობებისათვის დროის ცალკეული პერიოდებისათვის და აღნიშნულის საფუძველზე განისაზღვროს პარკირების მოთხოვნის ელასტიურობა პარკირების ზონების (ცალკეულ ქუჩებზე და ტრანსპორტის მაქსიმალური მიზიდულობის ადგილებში) და ადგილობრივი მცხოვრებლების, შემთხვევითი ვიზიტორების და ქალაქგარეთ მცხოვრებლების მიხედვით .

საჭიროა გზებზე პარკირების ფასწარმოქმნის მოდელის შექმნა, რომელიც უნდა მოიცავდეს ფასზე გავლენის მქონე ისეთ ცვლადებს, როგორიცაა პარკირების ზონა, გზაზე პარკირების ადგილების რაოდენობა, გზის გარეთ პარკირების ადგილის ფასი და რაოდენობა, გზაზე პარკირების საშუალო ხანგრძლივობა, გზაზე პარკირების ადგილის ძებნის საშუალო ხანგრძლივობა, გზებზე პარკირების ადგილის ძებნისას დახარჯული საწვავი, პარკირებული ავტომობილის გაბარიტები(ტიპი),

გზებზე პარკირების ფასწარმოქმნის მოდელის საშუალებით განხორციელდება გზებზე პარკირების ნორმალურზე ნაკლებად დადგენილი ფასების და გზების გარეთ პარკირებაზე გადამეტებული ფასების არსებობის ფაქტების პროგნოზირება და იდენტიფიცირება, რაც იწვევს ერთის მხრივ, გზებს გარეთა პარკირების ადგილების დაუტვირთაობას, ხოლო მეორეს მხრივ პარკირების მიზნით გადაადგილებების სიხშირის ზრდას.

გზებზე პარკირების ფასწარმოქმნის მოდელის საშუალებით მოხდება გზებზე არსებული პარკირების ადგილებზე ფასების კორექტირება პარკირების დაკავების კოეფიციენტის, სატრანსპორტო ნაკადის, მიმდებარე გზის მიღმა პარკირების ადგილებზე არსებული ფასების, პარკირების ზონების ფაქტორების მიხედვით. იმ ადგილებზე სადაც დაკავების კოეფიციენტი იქნება მეტი 85% ზე მოხდება პარკირების ფასების შემცირება, ხოლო სადაც დაკავების კოეფიციენტი მეტია 85% ზე მოხდება პარკირების ფასების გაზრდა, და შესაბამისად სადაც დაკავების კოეფიციენტი საშუალოდ ტოლია 85%-ის პარკირების ფასები დარჩება უცვლელი.

გზებზე პარკირების ფასწარმოქმნის მოდელის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული პრინციპი, რომ გზებზე პარკირების ოპტიმალური ფასი ტოლი ან მეტია გზებს გარეთ პარკირების ოპტიმალური რაოდენობით მიწოდების ზღვრული დანახარჯის

პარკირების ქალაქის ტერიტორიის ცალკეული უბნების მიხედვით უნდა განისაზღვროს პარკირების ადგილები, სადაც უნდა მოხდეს, მხოლოდ ფასიანი პარკირების ადგილების მოწყობა, უფასო პარკირების ადგილების მოწყობა და პარკირების შერეული(როგორც ფასიანი, ისე უფასო) სისტემის გამოყენება (უფორ დეტალურად იხილეთ ზემოთ)

ქალაქის ცენტრალურ რაიონებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული პარკირების ადგილების და პარკირების საფასურის ცვლილების რამოდენიმე სცენარი და მოხდეს ამ სცენარებიდან ყველაზე ეფექტიანის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება. მაგალითად, სცენარის გამოყენების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პარკინგის ტარიფის 20%-იან გაზრდას და პარკირების ადგილების 20%-იან შემცირებას ცენტრალურ ადგილებში, უნდა დადგინდეს პარკინგის მოთხოვნის (დეფიციტის) ცვლილების და საცობების გაზრდის (შემცირების) მოსალოდნელი დონე

პარკირების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ აუცილებელია შესწავლილ იქნეს პარკირების ადგილების საფასურის განსაზღვრის შესაძლებლობა შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- პარკირების ადგილმდებარეობა (გზაზე, გზის გარეთ, ქუჩაზე, ტროტუარზე, მიწისზედა და მიწისქვეშა სადგომები, ცენტრალური და გარეუბნები)
- პარკირების ხანგრძლივობა
- დღის ცალკეული პერიოდი(პიკის და არაპიკის საათები, საღამოს და დილის საათები)
- სამუშაო და დასვენების დღეები
- პარკირების ადგილების დაკავებულობის დონე დღის ცალკეული პერიოდების და ქალაქის ტერიტორიების მიხედვით (განსაკუთრებით პიკურ პერიოდებში ცენტრალურ ადგილებში).

ასევე, პარკირების მართვაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით დიფერენცირებული საფასურის სისტემის გამოყენების უპირატესობების ანალიზი მისი შედარება საფასურის გადახდის დღეისათვის არსებულ სისტემასთან.

პარკირების მომსახურეობის ფასწარმოქმნის სისტემის ეფექტურობისათვის, აუცილებელია, როგორც საზოგადოებრივ გზებზე და გზებს მიღმა, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული პარკირების ადგილების ერთიან საპარკინგე სისტემაში მოქცევა და ინტეგრაციის პრინციპების დადგენა. ამისათვის პირველ რიგში პარკირების მართვაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ უნდა ხორციელდებოდეს ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო ობიექტების ტერიტორიაზე არსებული პარკირების ადგილების რაოდენობის, მათი დაკავების დონის და დადგენილი ფასების ინდენტიფიცირება და ანალიზი ღია ტიპის სადგომების, დახურული მიწისზედა სადგომების და დახურული მიწისქვეშა სადგომების მიხედვით.

XI. პარკირების საფასურის გაზახდის სისტემის სრულყოფა

ქალაქის ხელმძღვანელობასა და პარკირების

ექსკლუზიურ მართვაზე პასუხისმგებელ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტში გათვალისწინებული იყო პარკირების საფასურის გადახდის სამი მეთოდი: მობილური ბარათების საშუალებით, გადასაფხეკი ბარათებით და პარკირების ცალკეულ ზონებში დასამონტაჟებლად განსაზღვრული პარკომეტრებით.

დღეისათვის მსუბუქი პარკირების ინდივიდუალური საფასურის გადახდა ხორციელდება ე.წ პეიბოქსების საშუალებით და არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გამოყენებულ გადახდის ხერხებს. პარკირების საფასურის გადახდა ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მის ფილიალში ან სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით, ხოლო ორგანიზაციების მიერ შპს "სი-ტი პარკ"-ის სპეციალურ ანგარიშზე.

პარკირების საფასურის სხვა ალტერნატიული ტექნიკური საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის საკითხები, მათ შორის პარკომეტრების საშუალებით პარკირების საფასურის გადახდის გამოყენების მიზანშეწონილობა თბილისის ტერიტორიებზე შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ ისეთი საკითხების გადაწყვეტის შემდეგ, როგორიცაა პარკირების მოთხოვნა-მიწოდების შესწავლა, პარკირების ზონების განსაზღვრა და პარკირების ფასების ერთიანი ან დიფერენცირებული სისტემის გამოყენების შესაძლო ადგილების იდენტიფიცირება.

პარკომეტრების შერჩევისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, როგორიცაა პარკომეტრის ფასი, რომელიმე ფორმით გადახდის შესაძლებლობა (ნებისმიერი სახის მონეტა, ან პლასტიკური ბარათი), პარკომეტრში დამონტაჟებული უსაფრთხოების (ვანდალიზმის საწინააღმდეგო) სისტემა, პარკომეტრის მიერ მომსახურე ადგილების რაოდენობა, პარკირების შედეგად დაგროვებული თანხის ინკასატორის მიერ აკრეფის სისწრაფე (თანხის მოცულობა), პარკომეტრის მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობის განხორციელების სიმარტივე

XII. პარკირების სფეროდან მიღებული შემოსავლების განაწილების და გამოყენების პრინციპების განსაზღვრა

პარკირების სისტემის მართვის ერთ-ერთ ელემენტს, პარკირების სფეროდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასა და კონტროლთან ერთად წარმოადგენს მისი სწორი განაწილება ქალაქის ბიუჯეტსა და პარკირების ოპერატორს(ოპერატორებს) შორის და გამოყენება ქალაქის განვითარების სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

არსებული კანონმდებლობით ქალაქ თბილისში არსებული საზოგადოებრივი პარკირების ადგილებიდან მიღებულ შემოსავალში შედის პარკირების დადგენილი საფასურიდან მიღებული თანხები და პარკირების წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმებიდან მიღებული თანხები.

თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად, ქ. თბილისის მერიას უნდა მიეღო პარკირების შემოსავლების 60% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი (ისეთი მომსახურება, რაც არ არის აღნიშნული ხელშეკრულებაში), ხოლო შპს „სი-ტი პარკს" – პარკირების შემოსავლის 40% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი.

ხელშეკრულების მიხედვით „დამატებით მომსახურებად" არ ითვლება და არ აძლევს ქ.თბილისის მერიას შემოსავლის მიღების უფლებას ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლების ბლოკირება, ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა(60 ლარი) .

ხელშეკრულების ცვლილების და პარკირების საათობრივი ტარიფის(რომლის სიდიდე პარკირების სხვადასხვა ზონისათვის დაწესებული იყო დიფერენცირებულად და შეადგენდა 20 თეთრს, 50 თეთრს და 1 ლარს)გაუქმების და პარკირების პარკირების წლიური(50 ლარი), 6 თვის(25 ლარი) და 1-კვირისათვის(4 ლარი) გათვალისწინებული საფასურების შემოღების შემდეგ „სი-ტი პარკს" მიეცა უფლება მიეღო ე.წ.„მინიმალური წლიური თანხა", საიდანაც მას უნდა დაეფინანსებინა საოპერაციო ხარჯები. ეს თანხა, ცვლილების თანახმად, შეადგენდა 2.500.000 ლარს დღგ-ს გარეშე.

ამასთან ხელშეკრულების ბოლო ცვლილებით განისაზღვრა რომ კომპანია" სი-ტი პარკი" მიიღებდა 3 ლარს პარკირების ყოველი ჯარიმიდან, ხოლო ის თანხა რაც დარჩებოდა სი-ტი პარკის მიერ საკუთარი მინიმალური წლიური თანხის მიღების შემდეგ კვლავ 40/60%-ით გადანაწილდებოდა სი-ტი პარკსა და თბილისის მერიას შორის, რაც ფინანსურად საკმაოდ არასახარბიელოა ქალაქისათვის

პარკირების ოპერატორს არსებული ხელშეკრულებით არ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს პარკირების სისტემის პერიოდული კვლევა, მოაწყოს პარკირების ალტერნატიულ მრავალსართულიან ავტოსადგომები და გააუმჯობესოს პარკირების ინფრასტრუქტურა გარდა პარკირების ნიშნების და მონიშვნების დაყენებისა და 3 ფასიანი ავტოსადგომის მოწყობისა. ამასთან, საქართველოს და თვითმმართველობის საბიუჯეტო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული პარკირების სფეროდან ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებული თანხების მიზნობრივი მიმართვა.

თბილისის ტერიტორიაზე ქალაქის საკუთრებაში არსებულ ქუჩებზე და ტროტუარებზე არსებულ ადგილებზე მოწყობილი პარკირების საფასურიდან და პარკირების წესების დარღვევაზე გადახდილი ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ანალიზი 2011-2014 წლებში წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახ ით.

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს რომ ქალაქ თბილისში პარკირების სფეროს მართვიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ 4 წელიწადში შეადგენს 32,9 მილიონ ლარს. ამ თანხის მხოლოდ ნაწილის პარკირების სფეროს გაუმჯობესებაზე მიმართვის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა პარკირების დეფიციტის გარკვეული აღმოფხვრა ქალაქის ცალკეულ ადგილებში. მაგალითად, 200 ავტომობილისათვის (1ავტომობილისათვის 25მ2) განსაზღვრული მრავალსართულიანი სტაციონალური ავტოსადგომის მშენებლობის ღირებულება დღეისათვის არსებული ფასებით შეადგენს დაახლოებით 1 მილიონ დოლარს.

პარკირებიდან მიღებული შემოსავლების განაწილება

(ლარი)

წელი	არკირების გადასახადი		არკირების ჯარიმები		სულ
	შპს „სი-თი? პარკია“ წილი	თბილისის მერიის წილი	შპს „სი-თი? პარკია“ წილი	თბილისის მერიის წილი	
2011	2,727,723	962,114	1,749,930	1,412,687	6,852,454
2012	2,721,658	1,267,417	2,426,861	2,244,289	8,660,225
2013	2,826,802	1,406,741	2,364,287	2.203,694	8,801,434
2014	2,747,098	1,536,034	2,230,135	2,217,191	8,730,458

წყარო: შპს. „ერნსტ ენდ იანგი“ საქართველოს სამართლებრივი და ფინანსური ანალიზი „სი-ტი პარკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. 2015 წელი

ქალაქის ბიუჯეტსა და პარკირების ექსკლუზიურ მართვაზე პასუხისმგებელ კომპანიას შორის უნდა ხდებოდეს კომპანიის მიერ ქალაქში პარკირების სისტემის მოწესრიგებისათვის განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის, ოპერირების ხარჯების და გატარებული ღონისძიებების შესაბამისად.

პარკირების სისტემის გაუმჯობესებისათვის ფინანსური წყაროების მოძიების აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს პრინციპები და მექანიზმი, რომლის თანახმად უნდა განხორციელდეს პარკირების საფასურის მობილიზებიდან, პარკირების წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმებიდან და ზემოთჩამოთვლილი პარკირების სტრატეგიების გამოყენებიდან მიღებული შემოსავლებით ქალაქის პარკირების სისტემის, პარკირების ინოვაციების, სატრანსპორტო ინფასტრუქტურის განვითარების დაფინანსება, ქუჩების დასუფთავების, ქუჩების მიმდებარე ტერიტორიების გამწვანების, ტროტუარების სარემონტო სამუშაოების, საავტომობილო მოძრაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის შემცირების ღონისძიებების, შენობებზე ვანდალური წარწერების პერიოდული წაშლის დაფინანსება

XIII. პარკირების გადასახადის უკანონო შებრუნების და პარკირების თვითნებური შეზღუდვის პრობლემის გადაჭრის ღონისძიებები

„ქალაქ თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ შპს სი-ტი პარკთან დადებული ხელშეკრულების # 1-17804 მიხედვით, კომპანია სი-ტი პარკს მინიჭებული აქვს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გზის ყველა დასაშვებ ადგილზე პარკირების ორგანიზების ექსკლუზიური უფლება. ფაქტიურად, ქალაქის ტერიტორიაზე მთელ რიგ არსებულ ადგილებზე ხდება ამ ნორმის დარღვევა. სი-ტი პარკისათვის ექსკლუზიური მართვის უფლებით გადაცემულ და მათ მიერ მონიშნულ პარკირების ადგილებზე ოპერირებენ კერძო ფირმები ან „ ე.წ სტაიანშიკები“. ზოგ ფირმას აღნიშნული ტერიტორიები გადაცემული აქვთ იჯარის სხვადასხვა ფორმით, შემოფარგლული აქვთ პარკირების ტერიტორია და დადგენილი აქვთ პარკირების ინდივიდუალური გადასახადი, რომელიც შედგება სადგომზე შესვლის და დგომის საფასურისაგან (მაგალითად, 2 ან 3 ლარი სადგომზე შესვლისათვის და 1 ლარი დგომის ყოველი საათისათვის). აღნიშნული გადასახადის დამატებითი გადახდა უხდებათ ავტომობილის მფლობელებს, რომლებსაც უკვე გადახდილი აქვთ "სი-ტი პარკის" მიერ დადგენილი გადასახადი და სარგებლობენ აღნიშნული პარკირების ადგილებით. ამასთან, ასეთი ტიპის ადგილების მფლობელები ამ დამატებითი საფასურის სანაცვლოდ პარკირებასთან დაკავშირებულ არანაირ დამატებით მომსახურებას არ უწევენ მომხმარებლებს. ამ ფაქტებით ირღვევა როგორც ავტომფლობელთა უფლებები, ასევე პარკირების ოპერატორის მიერ აღნიშნული ტერიტორიის ექსკლუზიური მართვის უფლება. აღნიშნული ფაქტიურად წარმოადგენს საზოგადოებრივი ადგილებით, მათ შორის პარკირების ადგილებით სარგებლობის თვითნებურ შეზღუდვას, რომლისთვისაც „ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის“ 152 2 მუხლით (საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა) გათვალისწინებულია სანქცია ფიზიკური პირებისათვის 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის– 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 20 დღის ვადაში, იწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას – 4000 ლარის ოდენობით. აღნიშნული სანქციების გამოყენება დღეისათვის ფაქტიურად არ ხორციელდება. ამასთან, კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული ასეთი დარღვევის ადმინისტრირებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანო

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას პარკირების გადასახადის უკანონო აკრეფის ფაქტები, საჭიროა პირველ რიგში კანონმდებლობით განისაზღვროს მის პრევენციაზე, აღრიცხვაზე (პარკირების უკანონო ადგილების ლოკაციები, რაოდენობა და დადგენილი უკანონო გადასახადის განაკვეთები) და აღკვეთაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ორგანო

პარკირების მართვაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ ცალკე უნდა ხორციელდებოდეს ე.წ „სტაიანშიკების“ რაოდენობის და მათ მიერ აკრეფილი უკანონო გადასახდის აღრიცხვა ქალაქის ტერიტორიების მიხედვით. ამასთან, „სტაიანშიკების“ სავარაუდოდ საკმაოდ სოლიდური ფაქტიური რაოდენობიდან გამომდინარე, მათთან დაკავშირებით საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებისას, საჭიროა შემდეგი არჩევანის გაკეთება:

- სტაიანშიკების მომსახურებაზე უარის თქმა (განსაკუთრებით, იმ ადგილებზე სადაც ადგილი აქვს პარკირების თვითნებურ შეზღუდვას და გამომძალვას), მათი ფუნქციონირების აღკვეთა და შესაბამისი სანქციების ამოქმედება

- ქალაქის განსაკუთრებით ძნელად მანევრირებად მონაკვეთებზე, სადაც ავტომობილების პარკირების ადგილებზე შესვლამ და გამოსვლამ შეიძლება შეაფერხოს მოძრაობა ან შექმნას საავარიო სიტუაცია „სტაიანშიკების“ საქმიანობის ლეგალიზება, მათ მიერ აკრეფილი შემოსავლის კონტროლი, მასზე როგორც ეკონომიკურ საქმიანობაზე გარკვეული გადასახადის დაწესება და მისი ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვა

ასევე, შესაძლებელია პარკირების ცალკეულ ადგილზე პარკომეტრების შესაძლო გამოყენებისას „სტაიანშიკების“ გარკვეული ნაწილისათვის საფასურის გადახდის კონტროლის და პარკომეტრებზე ვანდალიზმისაგან დაცვის პასუხისმგებლობის ოფიციალურად დაკისრება.

XIV. პარკირების განვითარების ინდიკატორების განსაზღვრა

პარკირების განვითარების მოკლე (ყოველწლიური), საშუალოვადიანი (1-5 წელი) და გრძელვადიანი (5-10 წელი) პერსპექტივების შეფასებისათვის საჭიროა შესაბამისი ინდიკატორების ნუსხის განსაზღვრა და მათი პერიოდული მონიტორინგის განხორციელება პარკირების სფეროს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ.

პარკირების სისტემის მოკლე, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების ინდიკატორებია:

პარკირების სფეროში განხორციელებული კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები

პარკირების სფეროდან მიღებული შემოსავლები, მათ შორის პარკირების ოპერატორის კუთვნილი და ადგილობრივი ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები

პარკირების ადგილების რაოდენობა ქ თბილისის რაიონების და პარკირების ზონების მიხედვით, მათ შორის გზაზე (ქუჩა, ტროტუარი) და გზის მიღმა (ღია , დახურული) ,

შშმ პირთათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა რაიონების და პარკირების ზონების მიხედვით

პარკირების საზოგადოებრივ და კერძო ადგილების რაოდენობებს შორის თანაფარდობის დინამიკა

კერძო მფლობელობაში არსებული პარკირების ადგილების რაოდენობა, მათ შორის ბიზნესის და საცხოვრებელი სახლების კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ადგილები

პარკირების(გარდა კერძო საკუთრებაში არსებულისა) მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებზე არსებული ადგილების რაოდენობა

პარკირების ბალანსი (ზედმეტობა/ დეფიციტი) ქ თბილისის რაიონების და პარკირების ზონების მიხედვით

პარკირების ეფექტიანობის მაჩვენებელი (Parking Occupancy) რაიონების, პარკირების ზონების, საზოგადოებრივი და კერძო პარკირების (მათ შორის იჯარით გადაცემული) ადგილების მიხედვით

პარკირების სისტემის მოწესრიგების შედეგად შემცირებული ხარჯები პარკირების ადგილის ძებნაზე დახარჯული დროის შემცირების და პარკირებაზე დახარჯული საწვავის ეკონომიის შედეგად

გზებზე გამოთავისუფლებული პარკირების საგზაო სივრცეების ფართობი და პარკირების ადგილების რაოდენობა:

- პარკირების სტრატეგიების და მეთოდების გამოყენების შედეგად ქალაქის რაიონების მიხედვით

- მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომების გამოყენების შედეგად

- ავტომფლობელთა მიერ პარკირების წესების დარღვევის რაოდენობა

- არალეგალური პარკირების ადგილების რაოდენობა

დასკვნა

ქალაქის პარკირების სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

ქალაქის განვითარების მოთხოვნების შესაბამისი პარკირების პოლიტიკის განსაზღვრა და პარკირების ადგილებით მოსარგებლეთა ცალკეული სახეების მიერ მისი განხორციელების ობიექტური აღქმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა

ქალაქის კერძო ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახის არჩევაზე, მგზავრობის ქცევასა და მთლიან სატრანსპორტო ნაკადზე პარკირების გავლენის შესწავლა და ანალიზი

ქალაქის ტერიტორიაზე პარკირების დეფიციტის (ან საკმარისზე მეტი ადგილების) ანალიზისა და პარკირების ადგილებით მოსარგებლეთა რაოდენობის, მათი ძირითადი ჯგუფების და პარკირების ადგილების გამოყენების სიხშირის და პარკირების ადგილების მოთხოვნის ზრდის პერსპექტიული მოცულობის განსაზღვრის საფუძველზე პარკირების ადგილების მოთხოვნის განსაზღვრა

პარკირების სახეების, მეთოდების, პარკირების ოპტიმალური რეჟიმების და სტრატეგიების შერჩევის, სახელმწიფო დაწესებულებების და ბიზნესის ფუნქციონირების ობიექტების სიახლოვეს და საცხოვრებელი ადგილების მიმდებარე ტერიტორიებზე პარკირების ადგილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრის საფუძველზე პარკირების ადგილების მიწოდების განსაზღვრა

პარკირების ეფექტური და ხელმისაწვდომი სატარიფო პოლიტიკის შერჩევა, რომელიც მოიცავს როგორც ფასიანი, ასევე უფასო პარკირების ადგილების (დიფერენცირებულ) მოწყობას ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ გზებზე სატარიფო რეგულირების სხვადასხვა მიზანშეწონილი სცენარების გამოყენებით

პარკირების ოპერირებიდან მიღებული შემოსავლების გადახდის, აკრეფის (მობილიზების) და აღრიცხვის ხერხების (ტექნიკური საშუალებების), შემოსავლების განაწილების და გამოყენების სრულყოფილი წესის განსაზღვრა

თბილისში არსებული არალეგალური პარკირების ანალიზი, მისი პრევენციის და აღმოფხვრის მიმართულებები

პარკირების ხარისხის კონტროლის და პარკირების წესების დარღვევის იდენტიფიცირების და აღმოფხვრის ეფექტური სისტემის შემუშავება

განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი პარკირების მართვის სისტემის საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი და ქ თბილისის სპეციფიკასთან მაქსიმალურად შესაბამისი ვარიანტის შერჩევა.

ჭკვიანი პარკირების (Smart Parking) სისტემის და პარკირების პროგრამული აპლიკაციების გამოყენება

პარკირების მოთხოვნა-მიწოდების მოდელის შემუშავება, რომლის დანიშნულებაა კონკრეტულ ტერიტორიაზე პარკირების დეფიციტის/ ზედმეტი ადგილების გამოვლენა მისი გამომწვევი ფაქტორების მიხედვით, რომელიც დატანილი იქნება პარკირების ელექტრონულ რუქაზე

გზებზე პარკირების ფასწარმოქმნის მოდელის შემუშავება, რომლის საშუალებით მოხდება გზებზე არსებული პარკირების ადგილებზე ფასების კორექტირება პარკირების დაკავების კოეფიციენტის, სატრანსპორტო ნაკადის, მიმდებარე გზის მიღმა პარკირების ადგილებზე არსებული ფასების, პარკირების ზონების მიხედვით.

საცობების პროგნოზირების ინტეგრირებული მოდელის შემუშავება, რომელიც გამოავლენს საცობზე პარკირების სისტემის გავლენის ხარისხს.

შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირებისათვის პარკირების სისტემის განვითარება და მისი შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო მოთხოვნებთან, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შშმ პარკირების მოწმობის მიღების და განახლების პროცესის გამარტივება ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, პარკირების ოპერატორის, საქართველოს შრომისა, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნით და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შედეგად.

პარკირების სისტემის მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში განვითარების ინდიკატორების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
3. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება N9–48-ით „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“;
4. „ქალაქ თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მათვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ შპს „სი-ტი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება # 1-17804;
5. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N#4-13 გადაწყვეტილება„ ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“;
6. Parking Strategies to Support Livable Communities. Chicago Metropolitan Agency for Planning (CMAP) April 2012;
7. Todd Litman. Parking Pricing Implementation Guidelines. Victoria Transport Policy Institute. 2015;
8. Donald Shoup. The High Cost of Free Parking, Updated Edition. 2011;
9. Donald C. Shoup. The Trouble With Minimum Parking Requirements. Transportation Research Part A. Vol. 33 (1999);
10. Prof. Tom V. Mathew. Parking Studies. Lecture notes in Traffic Engineering and Management. August, 2014;
11. Abdoulaye Diallo. Catherine Morency. Nicolas Saunier. Methodology of parking analysis. 2012;
12. Parking System Technical Manual. Parking and Snow Management District Feasibility Study www.townofmammothlakes.ca.gov/DocumentCenter/View/4519 ;
13. Shared Parking. Sharing Parking Facilities Among Multiple Users. TDM Encyclopedia. Victoria Transport Policy Institute. Updated 21 December 2015;
14. Chong Liu. Huapu Lu. Study on A parking Planning Method Based on GIS: A Case Analysis. Eastern Asia Society for Transportation Studies, Vol. 5, pp. 900 - 906, 2005;
15. http://www.parking.org/ - პარკინგის საერთაშორისო ინსტიტუტის ვებგვერდი;
16. http://www.parkingreform.org/ ;
17. http://www.shoupdogg.com/ პროფესორ დონალდ შოუპის ვებგვერდი;
18. http://automatedparking.com/system-types/ ;
19. http://ct-park.ge/parking/- შპს „ სი-ტი პარკის“ ვებგვერდი.

Tbilisi Parking System Development Perspectives

George Esakia
Ph.D. in Economics

Abstract: In this paper the necessity and importance of the studying on the problem of parking in Tbilisi city is analyzed first, then the ways of its solution and perspectives of parking system development is provided.

This paper explains the role and importance of parking in the development of the city, describes the cause of conflict situation in relation to parking, the problems with current parking planning practices, the deficiencies of parking regulations, the methods of study parking supply-demand, the ways of implementation of effective tariff policy on parking, the importance and possibilities of using different payment system, the ways of allocation of parking revenues, the methods of prevention and elimination of illegal parking, presents criteria and parameters of construction and functioning of multi-storey parking in the city, provides analysis of the possibility of using ArcGIS for the provision of accessible information on parking places, principles and importance of parking zoning, examines best practices of developed countries on various parking management strategies that result in more efficient use of existed land In the city, presents the short, medium and long-term indicators of parking development

The recommendations presented in the paper will enable the city transportation service and parking specialists to better prepare, plan and manage parking issues facing the city.

რეგიონული ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში აჭარის რეგიონის მაგალითზე

დავით ჩერქეზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი
dcherkezishvili@gmail.com
dcherkezishvili@eeu.edu.ge
591 00 70 50

სტატიაში – „რეგიონული ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში აჭარის რეგიონის მაგალითზე“ გაანალიზებულია 2011-2014 წლებში აჭარაში ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები – საწარმოთა რიცხვი, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, დასაქმება და გამოტანილია დასკვნა, რომ ბიზნესი კი ვითარდება, მაგრამ არა რესურსების პროპორციულად.

რეგიონს ბიზნესის ზრდის მეტი შესაძლებლობა აქვს. განსაკუთრებით ეს ითქმის ტურისტულ ბიზნესზე.

სტატიაში ნათქვამია, რომ ეს სფერო თვითდინებით ვერ განვითარდება. მისი დაჩქარებული განვითარება მოითხოვს მთავრობის მხრიდან როგორც მეთოდურ, ისე ფინანსურ ხელშეწყობას. ტურიზმის განვითარებისთვის აჭარაში საკმაოდ დიდი რესურსი არსებობს.

აუცილებელია გონივრული და გეგმაზომიერი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, სათანადო დაფინანსება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და კადრების მოსამზადებლად. რეგიონი და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება თუ სათანადოდ ვერ განვითარდა მცირე და საშუალო ბიზნესი.

საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსთვის, სადაც ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი [1, გვ. 3].

იმ ათი პუნქტიდან, რომელთა შესრულება საქართველოს მთავრობამ ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა, ერთ-ერთი არის საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა-შენარჩუნება. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ეს 10 პუნქტი უნდა შესრულებულიყო, უკვე გავიდა. ჩვენ დავინტერესდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე შეიქმნა თუ არა სასურველი და მეწარმეთა მასტიმულირებელი ბიზნესგარემო და როგორ აისახა იგი ბიზნესის განვითარებაზე.

1. ბიზნესის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობია 2.9 ათასი კვ. კმ, მოსახლეობის რაოდენობა კი 400 ათასს აღემატება.

აჭარა თავისი ბუნებრივი რესურსებით – ნოყიერი მიწა, სუბტროპიკული ჰავა, ზომიერი ზამთარი და თბილი ზაფხული, ტყის მასივები, ენდემური მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო, წიაღისეული, ბუნების უნიკალური ძეგლები და ა. შ., ბიზნესის მრავალფეროვანი სახეების განვითარების შესაძლებლობას იძლევა [2, გვ. 412].

საქართველოს რეგიონები ბიზნესის განვითარების დონის მიხედვით რეგიონებს შემდეგ ეტაპებად ყოფენ [3, გვ. 75]:

- ათვისების ეტაპზე მყოფი;
- ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე მყოფი;
- სოციალიზაციის ეტაპზე მყოფი;
- კომპლექსური განვითარების ეტაპზე მყოფი.

საქართველოს რეგიონებს, მათ შორის აჭარასაც, თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, ცალსახად რომელიმე ერთ სტადიას ვერ მივაკუთვნებთ. აჭარის რეგიონს მართალია აქვს ათვისების და ინდუსტრიული განვითარების ეტაპის ელემენტები (მაგალითად,

აჭარის მთიანეთის მოსახლეობა რომ უპირატესად ეწევა ნატურალურ მეურნეობას და ამავე დროს, გვხვდება მექანიზებული გადამამუშავებელი საწარმოები), მაგრამ ჩვენი აზრით, ძირითადად ეს რეგიონი მაინც განვითარების სოციალიზაციის სტადიაზეა. ეს დასტურდება იმით, რომ მისი ეკონომიკის განვითარებაში სულ უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობს მესამე და მეოთხე სფეროს დარგები (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურება, მეცნიე რება, განათლება და სხვ.).

აჭარაში ბიზნესის განვითარებას ვახასიათებთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: საწარმოთა რაოდენობა, პროდუქციის (მომსახურების) გამოშვება, ბრუნვა, შექმნილი დამატებული ღირებულება და დასაქმება. 2011-2014 წლებში ამ მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს (ცხრილი 1), რომ რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი გაზრ დილია 87.2%-ით, პროდუქციის გამოშვება 81.6%-ით, ბრუნვა 78%-ით, დამატებული ღირებულება 80.7%-ით, ხოლო დასაქმება მხოლოდ 36.7%-ით. მაშასადამე, ყველაზე მეტად გაზრდილია რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი, ყველაზე მცირედ კი დასაქმებულთა რიცხვი. ჩვენი აზრით, ყველა რეგისტრირებული საწარმო რომ პრაქტიკულად ამოქმედებულიყო, მაშინ დასაქმებაც თუ პრიდაპირ პროპორციულად არა, მაინც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. როგორც ჩანს, ეს არ მოხდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ რამდენი საწარმოც არის დარეგისტრირებული (2014 წელს – 45232), თითქმის იმდენივეა დასაქმებულიც (2014 წელს – 54655 კაცი).

ცხრილი 1

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები [4, 5]

№	2011 წელს		2014 წელს		დინამიკა 2014წ. %-ად 2011 წელთან
1	რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი	24161	რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი	45232	187.2
2	პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	1125.2	პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	2043.4	171.6
3	ბრუნვა (მლნ ლარი)	1928.8	ბრუნვა (მლნ ლარი)	3424.1	178.0
4	დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	514.2	დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	929.3	180.7
5	დასაქმება (კაცი)	39975	დასაქმება (კაცი)	54655	136.7

ეს ყველაფერი იმას გვიდასტურებს, რომ აჭარის რეგიონში ჯერ-ჯერობით ვერ შეიქმნა ისეთი ბიზნესგარემო, რომ არა მხოლოდ დარეგისტრირებული საწარმოები ამუშავდეს, არამედ გაიხსნას ახალი და ახალი.

2. აჭარაში ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები

ყველა სახის ბიზნესს ინვესტიცია სჭირდება, მაგრამ ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. ტურიზმი არის ისეთი ბიზნესი, რომელსაც ყველაზე ნაკლები ინვესტიცია სჭირდება. ასეთ დროს, აჭარას აქვს ყველა სახეობის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა. აჭარის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი შიდა ტურიზმთან ერთად განავითაროს საერთაშორისო ტურიზმიც და იგი აქციოს შემოსავლების მიღების სტაბილურ წყაროდ.

აჭარას, მისი განუმეორებელი ლანდშაფტით, ფლორითა და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით, სუბტროპიკული და დეკორატიული მცენარეების დიდი ნაირსახეობით, ზღვისპირა და მთის კურორტებით, სუბტროპიკული კლიმატითა და თბილი შავი ზღვის სამკურნალო თვისებებით, შეუძლია დააინტერესოს უცხოელი ტურისტები. აჭარის რეგიონის ჰავის სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ მცირე მოცულობის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სხვადასხვა კლიმატური პირობების დიდი მრავალფეროვნება: ზღვის სანაპირო ზოლი ხასიათდება ტენიანი ჰავით, თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, მთიანი მხარე კი – ცივი ზამთრით და გრილი ზაფხულით. მრავალფეროვანია მცენარეული საფარიც, რომელიც ყველგან ულამაზეს ლანდშაფტებს ქმნის [6, გვ. 801].

სწორედ ასეთი ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, აჭარის რეგიონში წარმატებით შეიძლება განვითარდეს: წყლის ტურიზმი (ზღვაზე, მდინარეებზე, ტბებზე); აგროტურიზმი (სასოფლო დასახლებებში ოჯახებში ცხოვრება,მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება); სამთო ტურიზმი (ალპინისტური ლაშქრობები

მთებში, კლდეებზე ცოცვა და სხვა); სამონადირეო ტურიზმი და თევზაობა, საქმიანი ტურიზმი, ბალნეოლოგიური ტურიზმი, სამეცნიერო ტურიზმი და სხვა.

აჭარაში ტურიზმის განვითარების პროცესი არ შეიძლება უსისტემოდ წარიმართოს. საჭიროა შესწავლილი იქნეს რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები მთის და ბარის რაიონების მიხედვით, განისაზღვროს ტურისტული პრიორიტეტები, მათი დაფინანსების წყაროები, გამტარუნარიანობა და სხვა. ამას კერძო ტურისტული ფირმები ვერ გააკეთებენ. ეს აჭარის რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გააკეთოს.

იმის მიუხედავად, რომ დღეს აჭარის რეგიონში ტურიზმის სფეროში ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურების დაბალი ხარისხი და სხვა), ტურისტთა მომსახურების რიცხვი მაინც იზრდება. თუ 2006 წელს აჭარაში დაისვენა 250 000 ტურისტმა, 2012 წელს დაისვენა 1319513 ტურისტმა, ანუ 5-ჯერ მეტმა [6, გვ. 814]. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ რეგიონის მთავრობა ტურიზმში არსებულ პრობლემებს დროულად და მთლიანად გადაწყვეტს, მაშინ აჭარა უფრო მეტი ტურისტისთვის იქნება მიმზიდველი.

საქართველოს ხილვით აღფრთოვანებულს, მრავლისმნახველ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ფრანჩესკო ფრანჯიალოს უთქვამს: „მე ვნახე საქართველო და დავრწმუნდი, რომ ეს საოცარი პატარა ქვეყანა „განწირულია“ დიდი ტურიზმისთვის“.

ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით,, რომ ტურიზმი მთლიანად საქართველოს და მათ შორის აჭარის მომავალია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარების ანალიზით ის საერთო დასკვნა კეთდება, რომ რეგიონში ბიზნესი ვითარდება, მაგრამ ზრდის შესაძ ლებლობა ანუ რესურსი, არის უფრო მეტი. ტურიზმის განვითარებისთვის აჭარაში საკმაოდ დიდი რესურსი არსებობს. საჭიროა მხოლოდ მოხდეს პრიორიტეტების გამოყოფა და სათანადო დაფინანსება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და კადრების მოსამზადებლად. ეს ფუნქცია აჭარის მთავრობამ უნდა აიღოს თავის თავზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“ – მოდერნიზაციისა და დასაქმებისთვის, 2011-2015, თბ., 2011.
2. მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი, თბ., 2011.
3. ჩიკვაიძე ნ., ჭედია თ., ტერიტორია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ობიექტი, ჟ. „ეკონომისტი“, №7, 2009.
4. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2012.
5. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
6. ქათამაძე დ., ქათამაძე გ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი.

The development of the business condition in Georgia in the example of Adjara Region

David Cherkezishvili
Doctoral Student
Of Georgian Technical University

In the article - “The development of the business condition in Georgia in the example of Adjara Region” - it is analyzed the indicators of the business development in Adjara, 2011-2014-the number of enterprises, turnover, production, the added value and employment. It is concluded that business is developed but not in the proportion of the resources.

Regional business has a much more opportunity to be grown, especially this deals with business tourism.

In the article it is mentioned that this field is not capable of being developed with only taking courses itself. Its fast-growing development requires both methodological and financial promotion from the government.

კიდევ ერთხელ ენთროპიის და სინერგეტიკის შესახებ

ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ნათელ ხსოვნას

ბაბრძელება

ირმა მახარაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დღეს ბიზნეს-პროცესებში ენტროპიასა და სინერგეტიკას. მკვლევარები ფოკუსირებულნი არიან თეორიულ-მეთოდოლოგიურ პროგნოსტიკური ფუნქციის პოტენციალზე. თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი მართვის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი ფართოდაა მიღებული, როგორც რეგიონული ეკონომიკური ზრდის ძლიერი სტიმულატორი. რეგიონული ეკონომიკური დინამიკის შესაბამისად, შესაძლოა ეკონომიკური კონიუნქტურის განვითარების ტენდენციების პროგნოზირება.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის ანალიზს ეფექტიან მართვასთან ტანდემში, ძალუძთ მაკროეკონომიკური წონასწორობის ობიექტური მახასიათებლების ამოხსნა. ეკონომიკური წესები (ბაზარზე ტრანსფორმაციული ეკონომიკის ფორმირებაც კი) არაა ეფექტიანი მართვის კონცეფციის რეალიზაციისათვის.

ჩვენს კვლევაში მივისწრაფოდით, გადაგვეჭრა ლოგიკურად დაკავშირებული ამოცანები. ამოცანათა გადაჭრის გზები კი შესაბამისობაში იმყოფება რეგიონის ეკონომიკურ სისტემასთან.

საქართველოს სინამდვილეში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ე. წ. გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, აშკარაა ენთროპიის ზრდის უწესრიგობათა დამანგრეველი შედეგები მთელს ეკონომიკაში და რეგიონებში. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, შემდგომ პერიოდში ნეგენთროპიული ფაქტორების მოქმედების კვალობაზე, ენთროპიის ზრდის გარკვეული გამოვლინება რეგიონების ეკონომიკაში ადვილად შესამჩნევია. ის გამოიხატება უმუშევრობის მეტისმეტად მაღალი დონით, სამუშაო ძალისა და არააქტიური მოსახლეობის რეგიონებიდან გადინებით, მათ შორის საზღვარგარეთ, ინფლაციური პროცესის ზიანით, სიღარიბის მეტისმეტად მაღალი მასშტაბებით, რაც ძალიან ნელა მცირდება.

ამ სიტუაციაში მწვავედ დგას გაურკვევლობათა, ალბათურ მდგომარეობათა, არაორგანიზებულობის, უწესრიგობათა, რისკების, ენთროპიის შემცირების პრობლემა. მის გადაწყვეტაში ნეგენთროპიული ფაქტორების, ინფორმაციული რესურსების, განსაკუთრებით ინოვაციური ცოდნის, მეცნიერების მიღწევების, საყოველთაო განათლების ამაღლების საკითხი მთავრობის რეგიონულ და ფირმების (საწარმოთა) დონეზე. მაშინ იქნება წარმატებული, როცა შემაფერხებელი ფაქტორების, დამრთგუნავი ენთროპიისა, ერთი მხრივ, და ნეგენთროპიის, მეორე მხრივ, ბალანსი ჩამოყალიბდება განვითარების პროცესის ხელშემწყობ პირობად.

მეცნიერება და პრაქტიკა ადასტურებს, რომ გაფართოებული თერმოდინამიკის (ენთროპიის) თეორიის ფართო შინაარსით გააზრება და მისი დებულებების გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების წარმართვისათვის გვევლინება ორგანიზებულობის მაღალი დონის, საქმიანობის ეფექტიანობის გადიდების მნიშვნელოვან წყაროდ. ეს თეორია მკვიდრად იკავებს ადგილს თანამედროვე მენეჯმენტის, გადაწყვეტილებათა მიღების მეცნიერულ საფუძვლებსა და პრაქტიკაში.

ორგანიზებულობის, წესრიგის, ე.ი ნეგენთროპიის ფაქტორებმა უნდა უზრუნველყოს ენთროპიის, დამანგრეველი და განვითარების შემზღუდველი ძალების (რომლებიც უხვადაა სინამდვილეში) შებოჭვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც მეცნიერება და პრაქტიკა ცხადყოფს, სრული წესრიგი და ორგანიზებულობა, გაურკვევლობათა, რისკების გამორიცხვა რეალობაში მიუღწეველია, რამდენადაც არსებობს ინფორმაციის დეფიციტი და სხვა მიზეზები,

რომლებიც მათ წინ ეღობება. აქედან გამომდინარე, საკითხი დგას ენთროპიისა და ნეგეთროპიის ოპტიმალური ბალანსის შესახებ. ეს, თავის მხრივ, ესადაგება საზოგადოების მიერ განვითარების პოტენციალის რაც შეიძლება სრულად ამოქმედების პრობლემას ქვეყნის, რეგიონების, თუ საწარმოთა დონეზე. სინამდვილე რთული ფენომენია. მას ახასიათებს როგორც წესრიგის, განვითარების, ისე ქაოსის, რეგრესის მომენტები.

ქაოსის, უწესრიგობის (ისინი ამა თუ იმ ზომით ყოველთვისაა სისტემაში) შემცირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროცესების, სისტემების მართვის (თვითმართვის) სრულყოფა, თვითორგანიზების უნარის ზრდა. ამისთვის აუცილებელია სისტემა იყოს რაც შეიძლება ღია, ჩაკეტილ სისტემაში ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება და მით უფრო, რაც უფრო ჩაკეტილია ის. ღია სისტემა მართვადია, თუკი არსებობს მართვის (თვითმართვის) კავშირების არხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მასზე მმართველობითი ზემოქმედება, რათა მისი ქცევა წარვმართოთ. რთული სისტემების მართვადობის მისაღწევად უნდა მოვახდინოთ სისტემის ენთროპიის ლიკვიდაცია მმართველ სისტემაში იმავე ზომით ნეგენთროპიის შეყვანით.

პრაქტიკულად დგას ობიექტურ პირობათა და სისტემის, ობიექტური მექანიზმისა და სუბიექტურ ფაქტორთა ყველაზე ხელსაყრელი თანაფარდობის საკითხი. ფუნდამენტური გაგებით, თუ აღმოიფხვრება ენთროპიის ზომაგადასული ზრდის გამოვლინება, სისტემა იმუშავებს ნორმალურად, ადამიანთა ინტერესების შესაბამისად. ბუნების მიმართ ადამიანის მხრივ ეს შესაძლებლობა შეზღუდულია.

ფაქტობრივად, შეხედულება ენთროპიის ფატალური შედეგების, სამყაროს, საზოგადოების დაღუპვის გარდაუვალობის შესახებ არ მართლდება. განვითარების პროგრესის ძალები აქტიურად და შთამბეჭდავად მოქმედებენ რეგრესის, დეგრადაციის ძალების წინააღმდეგ.

პროფე. გიორგი მალაშხია დიდ მნიშვნელობას ამ მხრივ ანიჭებს დოვლათის შექმნის, სოციუმის სფეროთა განვითარების პოტენციალის ამსახველი, მის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი ცნების - სოციალური ენერგიის შესაბამის წყაროთა მოქმედებას. ესაა რესურსთა ნაკრები, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს სწორედ ნეგენთროპიულ ფაქტორებს, პირველ რიგში, ისეთ ძალებს, რომელთაც განსაკუთრებული თვისებები ახასიათებთ (დაუხარჯაობა, უცვეთობა გამოყენების პროცესში), სრული თუ ნაწილობრივი მუქთი (უსასყიდლო) ხასიათი. ამას მიეკუთვნება ბუნების შექცევადი პროცესები, თავისი წარმოშობით განახლებადი რესურსები, ინფორმაციული ხასიათის საზოგადოებრივი რესურსები - ცოდნა, გამოცდილება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეები, გამოგონებები, აღმოჩენები და ა. შ. მათი დიდი ნაწილი გადმოეცემა საზოგადოებას წინა თაობებისაგან საზღაურის გადახდის გარეშე. ყველა ამ რესურსის თვისებაა, მათზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით მეტი წვლილი დოვლათის შექმნაში. აქ შეიძლება დავინახოთ ანტიენთროპიული, ე. ი. განვითარების წყაროთა უხვი ნაკადები. ეკონომიკური წესრიგი, მეტათეორიის თვალსაზრისით, წარმოადგენს სოციალური ენერგიის ზრდისა და გამოყენების ეფექტიანობის გადიდების, დანაკარგების შემცირების ფუნდამენტურ პირობას. ამიტომ, ნათლად უნდა იყოს გარკვეული მისი აუცილებლობისა და შესაძლებლობის, მექანიზმის, ზომის, ფუნდამენტური და კონკრეტული ასპექტები. ამის საფუძველზე კონკრეტული მიზნების განხორციელებისთვის შეიძლება წარიმართოს პრაქტიკული მუშაობა.

განვითარების, ნეგენთროპიის წყაროებიდან გამომდინარეობს რესურსებისა და შესაძლებლობათა გამოყენების პოტენციალი. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქმიანობის წარმართვა, გაძღოლა, მენეჯმენტი, გადაწყვეტილებათა მიღება. გადაწყვეტილებებში თავს იყრის იმ ფაქტორების ძალები, რომლებიც ამცირებენ ენთროპიას, აძლიერებენ საქმიანობის ეფექტიანობის პოტენციალს, ზრდიან უწესრიგობის, ნგრევითი ძალებისადმი წინააღმდეგობას. ეს საზოგადოებრივ სტრუქტურებს, მათ შორის ფირმებს, რეგიონებს კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობებს უქმნის.

რეგიონების, ისევე როგორც ქვეყნის, ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ერთეულები, სუბიექტები. ამ სისტემებისათვის დამახასიათებელი ენთროპიული თვისებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ანტიენთროპიული ფაქტორი, როგორიცაა მენეჯმენტი. ენთროპიის შემცირების აუცილებლობიდან გამომდინარე, მართვის სრულყოფა ზოგადი თერმოდინამიკური, ანუ ფუნდამენტური საფუძვლების მიხედვით, გამოიხატება სწორედ ენთროპიისა და ნეგენთროპიის ოპტიმალური ბალანსის ჩამოყალიბებით, რამდენადაც ენთროპია და ნეგენთროპია არსებობს წყვილად, მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა შეუძლებელია, რაც ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონებითაა განსაზღვრული. ამოცანა

მდგომარეობს სისტემის ენთროპიის შემცირებაში და ნეგენთროპიის წილის გადიდებაში. ამ ამოცანის შესრულებაში მართვას, მენეჯმენტს, გადაწყვეტილების მიღებას ანტიენთროპიული ფაქტორის, ე.ი განვითარების, რეგრესისა და დეგრადაციის საწინააღმდეგო ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ენთროპიის თეორიის დებულებები საფუძვლად უნდა ედოს თანამედროვე მენეჯერულ საქმიანობას, გადაწყვეტილების მიღებას, რის გარეშე ისინი მიიღებს გაურკვევლ შინაარსსა და მათი ეფექტიანობა არ იქნება სასურველი ან შესაძლოა სრულიად უარყოფითი შედეგის, დეზორგანიზაციის, კრახის, წარუმატებლობის მიზეზი გახდეს. ენთროპიული და ნეგენთროპიული ბალანსის დაცვის გარეშე საქმიანობა, როგორც ეს ნათელია გადმოცემული მსჯელობებიდან, განწირულია არაკონკურენტუნარიანობისა და არაეფექტიანობისათვის.

ნათქვამიდან გამომდინარე, ენთროპიის, თერმოდინამიკური ეკონომიკის თეორია თანამედროვე ბიზნესის, მენეჯმენტის ფუნდამენტის აუცილებელ ნაწილად გვევლინება.

ეკონომიკური ზრდის ტრადიციული რესურსების კლებადი შესაძლებლობები უკავშირდება როგორც მათი გამოყენების ფიზიკურ შესაძლებლობებს და ზღვართან მიახლოებას, ისე დაქვეითებულ ეფექტიანობას, ერთდროულად, ბუნებათდაცვის ღონისძიებებზე დანახარჯების გაზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის მოდელში წამყვანი უნდა გახდეს ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური პროცესების სისტემა, რომლებიც სინერგეტიკული მიდგომით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური სისტემების მთავარ კომპონენტებად გვევლინება ტექნოლოგიური, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-ორგანიზაციული, მმართველობითი, ასევე კოგნიტური სიახლეები, რომლებიც სათანადო დოზით ასახულია სამეცნიერო ნაშრომებსა და გამოგონებებში, ნოუ-ჰაუსა და სხვადასხვა მატერიალურ წყაროში. ისინი აღმოცენდება კვლავწარმოებითი ციკლის ყოველ სტადიაზე, ინოვაციები ურთიერთისაგან განსხვავდება ტექნოლოგიებით, წარმოშობა-წარმომავლობით, დანიშნულებით, სიახლის ხარისხით, საგნობრივ-შინაარსობრივი სტრუქტურით, ეკონომიკურ პროცესებზე გავრცელებისა და ზემოქმედების დონით.

ზემოთ ჩვენ განზოგადებულად წარმოვადგინეთ ინოვაციური შინაარსის შემცველი მიდგომები, რომლებიც არა რაღაც სიახლის დანერგვის ერთჯერადი აქტია, არამედ დამუშავების, დანერგვის, შეჯერება-ათვისების, წარმოების, დიფუზიისა და სიახლეთა კომერციალიზაციის ღონიძიებათა მიზანმიმართული სისტემაა. ინოვაციური მიდგომა უნდა განვიხილოთ როგორც სიახლეთა შექმნის, შემოქმედების სიღმისეული პროცესი, როგორც ინოვაციური ალტერნატივის მაქსიმალურად რეალიზების, ინოვაციურ მოთხოვნათა და სამეწარმეო ძალისხმევისა და ღონისძიებების პერმანენტული პროცესი.

ინოვაციური ეფექტის სტრუქტურის სირთულე, თავის მხრივ, გამოვლინდება ორი ძირითადი ფორმით. ამასთანავე, ცხადია, ასეთი ეფექტის შემცველი ცალკეული კომპონენტები ყოველთვის არ შეიძლება გაიზომოს ერთნაირ უნივერსალურ ერთეულებში (მაგალითად, თუნდაც ღირებულებითში), რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მიღებული ცალკეული შეფასებების ინტეგრირება (იხ. ნახაზი 3). მეორე მხრივ, ანალოგიური ინტეგრაციის განხორციელების პროცედურები მოითხოვს ეფექტის ცალკეული კომპონენტების შედარებითი მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასებების არსებობას, რომლებიც შეიძლება ჩვენ მიერ მხოლოდ სუბიექტურად განისაზღვროს.



ნახაზი 3. ინოვაციური საქმიანობის შედეგად მომტანი ეფექტის ტიპების სქემა



ნახაზი 4. ინოვაციური საქმიანობის ეფექტები

ზემოთ წარმოდგენილი სქემა წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის ეფექტების კლასიფიკაციას. ორგანიზაციულ-მმართველობით ინოვაციებს (რამდენადაც დაკავშირებულია მარკეტინგის სისტემის მიერ მართვის ოპტიმალური ორგანიზაციის პროცესებთან) მხოლოდ ამ კუთხით - მარკეტინგული საქმიანობის სივრცეში განვიხილავთ. მარკეტინგის ინოვაციური მოდელის აგება, არსებული შედეგების გათვალისწინებით, ისე მეცნიერულ პოსტულატებზე დაყრდნობით, ორგანიზაციისა და თვითორგანიზაციის კანონებზე დამყარებით, რაციონალურ შედეგს იძლევა.

მარკეტინგის სისტემის მართვისას მეცნიერული მიდგომებით, მით უფრო სინერგიზმისა და სინერგეტიკული იდეების მომარჯვებით ვეზიარებით ახალ ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა მეშვეობით ვიღებთ არსებითად სრულიად ახალ ჯგუფს. სინერგეტიკული იდეების გამოყენება გვეხმარება მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე შევიცნოთ და გავიაზროთ მნიშვნელოვანი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება მოვახდინოთ სახსრების დანახარჯების დაზოგვა-მინიმიზაცია.

სინერგია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებასა და მიღწევას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტური ჯამურობა. სინერგია ეკონომიკაში ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობებს, რომლებიც წარმოიშობა ერთიანი, ერთობლივი ხელმძღვანელობით ორი ან მეტი საწარმოოს შეერთება-თავმოყრით. ამ დროს იმატებს და მაღლდება ეფექტურობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების ზრდით, წარმოების დანახარჯების შემცირებით: ამრიგად, პრობლემების გასამკლავებლად ერთობლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით.

სინერგეტიკული ეფექტი საწარმოს დონეზე შეიძლება შეფასდეს:

- საწარმოს მუშაობის შედეგების მიხედვით;
- დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით;
- ორგანიზაციის პერსონალისა და ნოვატორ-ინოვატორების არაწინააღმდეგობრივი ურთიერთმოქმედებით;
- მართვის წესებითა და მარკეტინგის ვარიაციული სახესხვაობით;
- პიროვნული და პროფესიულ-პროფესიონალური განვითარების სრულყოფით.

საყურადღებოა, რომ სინერგეტიკის კატეგორიული აპარატი მოიცავს ისეთ გაგებას, როგორიც არის ატრაქტორი, ასევე ბიფურკაცია, ფლუქტუაცია, ფრაქტალურობა, დისიპათიური სტრუქტურები და თვითორგანიზება.

კრიტიკულ სიტუაციაში კრიტიკული წერტილოვანი მოვლენების შედეგად სისტემის მოქნილობა ფერხდება - არამყარი და არამდგრადი ხდება, წარმოიშვება საშიში სიმპტომები - სისტემის სხვა ხარისხში გადასვლის შესაძლებლობები, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ბიფურკაციის წერტილების სახელწოდებით არის ცნობილი. თვითორგანიზებადი სისტემის წინაშე

ზემოხსენებული ბიფურკაციის წერტილებში თავს იჩენს განვითარების გზების ვარიაციული სიმრავლე. ამ დროს, იმ ჩარჩოში, რომელიც იქნა არჩეული, ვითარება ყველაზე უფრო ოპტიმალურია, რადგან ბიფურკაციის შემდეგ სისტემა შემდგომ წერტილამდე წინსვლით განაგრძობს განვითარებას.

ცხადია, არასიმყარისა და არამდგრადობის მდგომარეობა, თავის მხრივ, წარმოშობს სისტემის ქცევის ახალ ტიპს. აქ ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფლუქტუაციები, რომლებიც გარდაუვლად წარმოიქმნება იმ სისტემაში, რომელიც თავისუფლების მრავალი ხარისხით გამოირჩევა, მაგრამ ერთდროულად ისინი წარმოადგენენ შემთხვევით მოვლენებს. მათ შესწევთ ახალი წესრიგის წარმოშობა-აღმოცენების ძალა. ხდება აღმოცენება ახალი მაკროსტრუქტურისა. სწორედ მათ მოცულობასა და მიმართულებაზეა დამოკიდებული არასიმყარის ვითარებიდან სისტემა, რომლის გამოყენებით გამოვა შესაძლო ტრაექტორიებიდან. ფლუქტუაციები შესაძლებელია გაძლიერდეს სრულიად შემთხვევითი გარე ზემოქმედებით, რომლებიც, რაღაცნაირად, თითქოს სისტემას შემდგომი განვითარების ტრაექტორიის არჩევისაკენ მიმართავს. ღია არაწრფივ გრემოში მცირეოდენმა ზემოქმედებამ, ფლუქტუაციამ, შემთხვევითობამ, შესაძლოა არსებით შედეგებამდე მიგვიყვანოს. მცირედი ფლუქტუაცია მოსალოდნელია გადაიზარდოს მაკროსტრუქტურაში. ფლუქტუაცია სისტემას აიძულებს, აირჩიოს ის გეზი და განშტოება, რომლის მიხედვითაც მოხდება სისტემის შემდგომი განვითარება.

ფლუქტუაციისა და ბიფურკაციის მოვლენები მჭიდროდაა დაკავშირებული დისიპათიური სტრუქტურების გაგებასთან. როგორც ცნობილია, ყველა სისტემა შეიცავს ქვესისტემებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფლუქტუაციურ მდგომარეობაში იმყოფება. ზოგჯერ ცალკეული ფლუქტუაცია ან ფლუქტუაციების კომბინაცია დადებითი უკუკავშირის შედეგად, შესაძლოა იმდენად გაძლიერდეს, რომ მანამდე არსებულმა ორგანიზებამ ვერც კი გაძლოს და დაიშალოს. ამ გარდამტეხ მომენტში შეუძლებელია წინასწარ განვჭვრიტოთ და გამოვიცნოთ, როგორი მიმართულებით წარიმართება შემდგომი განვითარება: სისტემის მდგომარეობა მაშინ გახდება ქაოსური, თუ ის გადავა მოწესრიგებულობისა ან ორგანიზაციის ახალ, უფრო დიფერენცირებულ და უფრო მაღალ დონეზე, რომელსაც ი. პრიგოჟინი (ცნობილი ბელგიელი მეცნიერი, სამეცნიერო მიმოქცევაში ტერმინ სინერგეტიკის შემომტან-დამნერგავი) ,,დისიპათიურ სტრუქტურას" უწოდებს. ამრიგად, დისიპათიური სტრუქტურები არის უფრო მაღალი სირთულის წარმონაქმნი, ვიდრე მისი დაშლილ-დანგრეული წინამორბედნი.

კიდევ ერთი ნეოლოგიზმი, ტერმინი ,,ფრაქტალი" შემოღებულ იქნა 1975 წელს ბ. მანდელბროტოს მიერ, ხოლო მისივე 1983 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ,,ბუნების ფრაქტალური გეომეტრია" გამოყენებული ტერმინი - ფრაქტალურობა ანუ ფრაქტალობის გაგება, არა მხოლოდ სწავლულთა, არამედ ფართო საზოგადოების კუთვნილებაც გახდა (მათთვის, ვინც კი ამ მეცნიერებასთან რაიმე სიახლოვით გამოირჩევა).

ბ. მანდელბროტოს მიხედვით, ფრაქტალი შედგება განსხვავებული მოცულობის (სიდიდის) და ორიენტაციის გეომეტრიული ფრაგმენტებისაგან, რომლებიც ერთდროულად, ფორმის მიხედვით, ერთმანეთის ანალოგიურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრაქტალური სტრუქტურები ფლობენ გეომეტრიული რეგულირების თვისებას, რომელიც თავისი მასშტაბურობითა და მსგავსი კრიტერიუმებით ინვარიანტულია.

სინერგეტიკაში გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ატრაქტორის გაგებას, რომელიც სინონიმია სიტყვა ,,მიზნისა", როგორც „საბოლოო მდგომარეობის" გამომხატველისა. აღნიშნულ დეფინიციაში გულისხმობენ ,,სისტემის შედარებით მყარ ვითარებას", რომელიც თავისკენ იზიდავს სისტემის ტრაექტორიების მთელ სიმრავლეს, რომლებსაც სხვადასხვა საწყისი პირობა აქვთ. თუ არამყარი, არამდგრადი სისტემა მოხვდება გარკვეული ატრაქტორის მიზიდულობის არეში, სისტემა გარდაუვლად გადაიხრება მდგრადი მდგომარეობის განვითარებისაკენ და შეუძლია ამ მდგომარეობაში დაჰყოს მანამ, სანამ რაიმე მიზეზით კვლავ არ დაუბრუნდება არამყარ მდგომარეობას.

სინერგეტიკის საგნის სპეციფიკა ისაა, რომ იგი წრფივი აზროვნების თვალთახედვით, ღია სისტემებში შეისწავლის თვითორგანიზაციის პროცესებს. ამ შემთხვევაში გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს რთულად ორგანიზებული არათანაბარი სისტემები, რომლებიც ისწრაფიან ქაოსიდან წესრიგიანობისაკენ და პირიქით - გადადიან სხვადასხვა სტადიაში. თვითორგანიზება არის მოწესრიგებულობის, ურთიერთობების, ურთიერთკავშირებისა და შეზღუდულობათა თვითნებურად წარმოშობილი პროცესი, რაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვაში. თვითორგანიზების პროცესის მსვლელობისას სისტემამ შეიძლება შეიძინოს ნიშანდობლივი თვისებები, რომლებსაც მის შემადგენელ ელემენტთაგან არ ფლობს არც ერთი. ამიტომაც მკვლევრები სინერგეტიკას, როგორც ასეთს - თავისთავად მიიჩნევენ, რასაც ჩვენც ვიზიარებთ,

მეტიც: იგი არის მეცნიერება ახალი თვისებების წარმოჩენის შესახებ. ცხადია, სინერგეტიკა არ წარმოადგენს მთლიან, სრულიად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო დარგს. იგი იმყოფება ჩამოყალიბებისა და ინტენსიური განვითარების ეტაპზე, რადგანაც (როგორცახალი დამოუკიდებელი დისციპლინა ეკონომიკაში) დგამს ნაბიჯებს დისციპლინათშორისი გამოკვლევების გზაზე. ეს რომ ასეა, ამას ცხადყოფს განსხვავებულ სამეცნიერო სფეროთა წარმომადგენლების სწრაფვა სინერგეტიკისაკენ, მისი უფრო ღრმად წვდომის, შეცნობისა და გამოყენებისაკენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მარკეტინგის წარმომადგენლებზე. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მარკეტინგის საწყისი სპეციალიზაციის პოზიციებიდან განვიხილოთ, გავიაზროთ და შევაფასოთ სინერგეტიკის იდეები.

მარკეტინგის სისტემის მდგომარეობა შეიძლება დავინახოთ ორი სახით: უპირველესად, ეს არის:

1) რელაქსაციის უნარი;
2) ენთროპიის კონდენსაციის დონე.

სტაციონარული მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემისათვის აუცილებელია მუდმივი ენერგია, რომელიც აუცილებელია ნახტომების შემდეგ უწყვეტი მოწესრიგებისათვის. თუ სისტემა წრფივი და იტერატიულია, ის შეიძლება არსებობდეს განუწყვეტლივ, ანუ სიცოცხლისეული ციკლი პერმანენტულია. არაწრფივ სისტემაში რამდენიმე იტერატიულობის რაოდენობის შემდეგ იწყება შეუქცევადი პროცესები იმდენად, რამდენადაც იდეალური წრფივი სისტემები არ არსებობს, დისკრეტიულობა საბოლოოდ აუცილებლად წარმოჩინდება. პერმანენტობა და დისკრეტულობა აუცილებელი პირობებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის სასიცოცხლო ციკლს.

მარკეტინგის სისტემის არსი მოუწესრიგებლობიდან მუდმივი მოწესრიგებულობისაკენ გადასვლაში მდგომარეობს. ასე რომ, მარკეტინგის სისტემურობა მოწესრიგებულობაა. მოწესრიგების პროცესი გულისხმობს შესაძლებლობათა გარკვეულ დიაპაზონს, რომელიც განსაზღვრავს სისტემის მიზანს კონკრეტულ მომენტში. მოწესერიგებულობის დაწყების ძირითადი ნიშანია სისტემის ქცევაში ბიფურკაციების რიცხვის მზარდი გადიდება. მას სინერგეტიკის სისტემის მდგომარეობის რომელიმე ვექტორი განიხილავს, როგორც პარამეტრს, რომელიც ამ სისტემას ახასიათებს. ასეთი ვექტორების არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს სიმრავლით; ხოლო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს სისტემის ის ფუძემდებლური პარამეტრები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დაკვირვება. მდგომარეობის ვექტორს უპირისპირდება ენთროპიები, ორივე გაგება კაუზალურია.

სინერგეტიკული მიდგომა გულისხმობს იმანენტური (საგნის შინაგანი ბუნების) და ტრანსცენდენტური (კვლევის საზღვრებს მიღმა არსებული) მოვლენების ან მისი გამოვლინებების შესწავლას, რომლებიც სისტემაში ფლუქტუაციას იწვევენ. ისინი, თავის მხრივ, განიხილება როგორც ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგები _ როგორც ცვლილებების მიზეზები ან წანამძღვრები. ფლუქტუაციების მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური სისტემის რაღაც ფაქტორი, რომელმაც შეიძლება თავი არაცხადად იჩინოს. იგი ასევე არასააშკარაოდ ან მოულოდნელად გამოვლენილი, პერსპექტიულად მოახდენს დადებით ან უარყოფით გავლენას მთლიან სისტემაზე ან კიდევ მის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მაჩვენებელზე. ფლუქტუაციების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს დაუძლეველი ძალების მოქმედებების დაწყება.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგენთ სინერგეტიკული მიდგომის ძირითად შემადგენლებს. (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1.

სინერგეტიკული მიდგომის კომპონენტები

სინერგეტიკული მიდგომა		
ძირითადი გაგებები	პრინციპები	მეთოდები
•თვითორგანიზაცია •გახსნილობა •არახაზოვნება •არათანაბრადწონადობა •ბიფურკაცია •ატრაქტორი •ენთროპია	•სისტემათა არაწრფივობის და არათანაბრადწონადობის იდეის შესახებ •იდეა ქაოსის კონსტრუქციული როლის შესახებ •იდეა სიმყარისა და არასიმყარის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის მნიშვნელობის შესახებ •იდეა სრული და ზუსტი პროგნოზის შეუძლებლობის შესახებ •იდეა რეზონანსული ზემოქმედების შესახებ და სხვ.	•დიალოგი •სცენარული აზროვნების მეთოდი •ექსპერტული შეფასებების •ევრისტიკული •პრობლემურ-საძიებო

მარკეტინგის მხრივ მართვის სისტემის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინერგეტიკული მიდგომის ინოვაციური გამოყენება. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის, რომ მარკეტინგის განხრის მენეჯერი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყოს და იგი, როგორც არაერთი ეკონომიკური დისციპლინის მცოდნე, აღიჭურვოს ყველა მოწინავე იდეითა და მართვის მეთოდებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ თქვათ, უნდა შეისწავლოს, გამოიყენოს და დანერგოს პროგრესული ცოდნა და ინოვაციური ტექნოლოგიები. მეორე მხრივ, სისტემის ფუნქციონირების შესწავლა-დაკვირვებისას მან უნდა გააანალიზოს და შეაფასოს სისტემა. ერთდროულად უნდა გაითვალისწინოს და მოახდინოს იმ მდგომარეობების პროგნოზირება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა საწარმოს მთლიანი საქმიანობის შედეგებზე, რადგანაც შემაშფოთებელ სიტუაციებში სრულყოფილი ეკონომიკური სისტემები ფლობენ სიმყარეს და საწინააღმდეგო-საპირისპირო მოქმედების შესაძლებლობას. ეს იწვევს დინამიზმის რეჟიმის დარღვევას, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა უპასუხოს იმ პროცესების განვითარებით, რომლებიც მოწოდებული არიან ამ ზემოქმედებათა კომპენსაციაზე ან კიდევ მათ ნეიტრალიზებაზე.

სინერგეტიკა გულისხმობს რელაქციის სამყაროს არსებობას, ე.ი. ეკონომიკური სისტემის წონასწორობის მდგომარეობაში თანდათანობით შექცევით პროცესს. იმ ფაქტორთა მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს ეკონომიკური სისტემის წონასწორობის მდგომარეობის დარღვევა, ღიასისტემებში (მსგავსად ეკონომიკურისა) სისტემის სტაბილიზების პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვა სახეცვლილებით: მიუხედავად იმისა, სისტემა დაუბრუნდება თუ არა საწყის მდგომარეობას, მოხდება სისტემის დეგრადირება, თუკი სისტემა თვითორგანიზაციის ახალ დონეზე აღმოჩნდება. ბიფურკაციის წერტილში რომელიღაც დონეზე ხდება ეკონომიკური სისტემის განვითარების ვარიანტების მრავალმხრივი განტოტვა. წინასწარ განუჭვრეტელობა (მნიშვნელოვანი მაჩვენებლის ნორმალურ მდგომარეობაში დაუბრუნებლობის რისკი) პოსტბიფურკაციულ პერიოდში განსაკუთრებით დიდია იმდენად, რამდენადაც სისტემის რელაქსაციური სიმყარე ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

ნებისმიერი მრავალსაფეხურიანი ანუ მრავალდონიანი სტრუქტურა სინერგეტიკაში განიხილება გახსნილობის ან დახშულობის (ოზოლირებადობის), წრფივობის ან არაწრფივობის, სტაბილურობის ან არამყარობის, წესრიგის თუ ქაოსის, თვითორგანიზაციის გათვალისწინებით. ამის მსგავსად, მარკეტინგის სისტემა წარმოადგენს რთულ არაწრფივ, არაბრტყელ, მუდმივად განვითარებად სტრუქტურას, რომელშიც გაერთიანებულია მარკეტინგის განსხვავებული სახეები, მათი შეხამებით ვიღებთ სინერგეტიკულ ეფექტს. არაწრფივობა წარმოადგენს ღია სისტემის ფუნდამენტურ მახასიათებელს.

მარკეტინგის სისტემაში სინერგეტიკული ეფექტი სხვა არაფერია, თუ არა მისი ელემენტების ერთობლივი მოქმედების შედეგი, რომელსაც ცვლილებისაკენ მიჰყავს სისტემის ხარისხი, მისი განვითარების ტრაექტორია და ერთდროულად გვაქვს არამხოლოდ ეკონომიკური სისტემის ელემენტების ჯგუფური მოქმედების შედეგის მეტობა მათი ინდივიდუალური მოქმედების ჯამზე, რაც ახასიათებს სინერგეტიკული ეფექტის შესახებ გავრცელებული შეხედულების შეზღუდულობას. რთული სისტემების ქცევის შესწავლამ საბოლოოდ გაფანტა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითქოს არსებობდეს გარანტირებული წარმატების ერთადერთი გზა. ახალმა შეხედულებამ ორგანიზაციაზე, როგორც რთულ სისტემაზე, საშუალება მოგვცა, ყურადღება მიგვეპყრო მრავალ პირობაზე, რომლებიც წარმოადგენენ მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელს. მსოფლიო მნიშვნელობის საუკეთესო კომპანიების ხანგრძლივი წარმატებების მიზეზების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველ შესწავლილ ცნობილ კომპანიებს გარეგნულად, წარმატებისაკენ სრულიად განსხვავებული სავალი გზები ჰქონდათ, მაგრამ კომპანიების საქმიანობის სიღრმისეული მექანიზმები, ერთდროულად არატრადიციული და მსგავსია, მათ შორისაა შემდეგი:

- დავიწყოთ არა კარგი სასტარტო იდეით, არამედ კომპანია აიგოს სურვილისამებრ;
- ვიყოთ მზად, უარვყოთ ან განვავითაროთ ნებისმიერი იდეა, მაგრამ არ დავტოვოთ კომპანია;
- ძირითადი ყურადღება დავუთმოთ მოსაზრებებს ორგანიზაციული დიზაინის შესახებ. მუდამ გვახსოვდეს, რომ საქონელი და მომსახურება - ესაა შედეგი;
- ვიმოძრაოთ არც ისე დიდი ნაბიჯებით, რათა მოულოდნელად მოვიხელთოთ და გამოვიყენოთ ჩვენ მიერ გაცნობიერებული შესაძლებლობები;
- მოძრაობის მთავარი ორიენტირი იდეოლოგიაა, რომელიც ასახავს, რისთვის და რატომ არსებობს ორგანიზაცია;
- მთავარია არა ის, რისი მიღწევა სურს

ორგანიზაციას, არამედ როგორი უნდა გახდეს ის.

ზემოთმოყვანილი მითითებებისაგან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე მექანიზმი რთული სისტემების ნაწილია, რომელიც სწორი აღქმითა და გამოყენებით ვითარდება; ევოლუციური პროცესი შეიძლება გახდეს პროგრესის სტიმულირების ხელშემწყობი და მძლავრი იარაღი.

თვითორგანიზებადი სისტემების სიღრმისეული მექანიზმების შესწავლისას ჩვენმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ სისტემის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს: არაწრფივობა, გახსნილობა, კოჰერენტულობა (შეთანხმებული ურთიერთქმედება). თვითორგანიზების ხელოვნება არის ის, რომ შეათანხმოს ზემოთნახსენები სამივე თვისება. არასწორ და არამართებულ პროპორციებს შეუძლია სისტემა მოსპოს: ძალზე ძლიერი არაწრფივობისას მძლავრი რეზონანსი ანგრევს სისტემას, ხოლო უსაზღვრო ღიაობა სისტემას გახსნის და გაფანტავს მის გარემომცველ სივრცეში. არაწრფივობის შესუსტებისას იკარგება უკუკავშირი, ხოლო გახსნილობის მოსპობა ჩაკეტილ სისტემას უბიძგებს ენთროპიისაკენ.

სინერგეტიკამ ანუ თვითორგანიზაციის თეორიამ უკვე გამოიკვლია რთული სისტემების ევოლუციის საიდუმლოს ბუნება, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მართვისათვის მძლავრი ფუნდამენტის ფუნქცია, რომელიც შეცნობადობაზე, თვითორგანიზებდი ტენდენციების ამოქმედებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულია.

რთული სისტემების განვითარების სინერგეტიკული მოდელი გარეგნულად სრულიად ტრადიციულად გამოიყურება. ეს არის მოძრაობა მომავლისაკენ (ატრაქტორისაკენ), რომელსაც შეიძლება განვითარების ტრაექტორია ვუწოდოთ. ამასთანავე, სინერგეტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეაა ისიც, რომ თითოეულ რთულ სისტემას აქვს განვითარების შესაძლო გზების არეალი - განვითარების ატრაქტორების სპექტრი. მომავალი, როგორც ჩანს, იქმნება შესაძლებლობათა ის ველი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იქნება რეალიზებული. მართვის ამოცანა ისაა, რომ ობიექტი მოხვდეს ,,სასურველი" ატრაქტორების მიზიდვის სფეროში, ანუ, სხვაგვარად, აღმოჩნდეს ,,სასურველ" მომავალში.

სინერგეტიკული თეორიის მკვლევრები ერთხმად თანხმდებიან, რომ თეორიული თვალსაზრისით, ამოცანა ბევრად უფრო რთული და ძნელად გადასაწყვეტია, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. ყველაზე უფრო გავრცელებული შეცდომები აქ შეიძლება იყოს: მისწრაფება - მოხვდეს მომავლის, რაც ის არ არის შესაძლებლობათა სპექტრში, ან კიდევ უუნარობა _ დავინახოთ მომავალი, თუმცა ის უკვე არის შესაძლებლობათა სპექტრში მოხვედრილი. ამასთან, პირველი შემთხვევის დადგომა გულისხმობს მიზნის მიღწევას, თუნდაც თვით სამართავი სისტემის გარდაქმნის გზით. როგორც სისტემის გარდაქმნისა შედეგს, მართვას დასჭირდება დამატებითი დანახარჯებისა და ძალისხმევის განუწყვეტელი ნაკადი. სინერგეტიკის პრინციპების თანახმად, თუკი მმართველობითი მოქმედებები შეთანხმებული არ რის რთული სისტემის შინაგან ტენდენციებთან, მაშინ ისინი ვერ მიგვიყვანენ წარმატებასთან.

ჩვენი აზრით, მართვისადმი სინერგეტიკული მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი უნდა აშენო, საჭიროა კვლავ აშენო, მაგრამ ერთდროულად ორგანიზაციამ საკუთარი თავის კონსტრუირებაც უნდამოახდინოს.ესარისარსებულსინამდვილესთან განუწყვეტელი მცდელობა-ექსპერიმენტირება, შესაძლო სიტუაციების აზრობრივი ბრუნვა და სტრატეგიული მოქმედებების განხორციელება იმის მუდმივი მზაობით, რომ შეიცვალოს გზა შეცვლილი სიტუაციების შესაბამისად. მარკეტინგში ახალი მენეჯმენტის ამოცანაა, შევძლოთ პროგნოზირება; შესაძლოა კიდეც მოვახდინოთ მარკეტინგის სისტემის განვითარების მოდელირება-მოდერნიზება, გავაანალიზოთ ვითარება განვითარების შესაძლო ვარიაციებით _ სცენარებითა და ტენდენციების განხილვით, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა ხელსაყრელ მიმართულებათა კოორდინირებისათვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მართვის ტრადიციული სქემები ჩვეულებრივ ,,თანამშრომლობს" აღმოცენებული გარდაქმნების შედეგებთან. ინოვაციური ამოცანა ის არის, რომ შექმნას მართვის ის მეთოდები, რომლებიც მისადაგებული იქნება არა მხოლოდ გარდაქმნებთან, არამედ გარდაქმნების ტემპთანაც. ამისათვის კი საჭიროა შეიქმნას თვითცვალებადი სტრუქტურები, რომლებიც იმუშავებენ თვითცვალებადი წესებით და მასთან ერთად მოახდენენ შეთანხმებული ქცევის დემონსტრირებას. ერთდროულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმინდა ადამიანური ფაქტორი, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე, სოლიდარობაზე, თანადგომობასა და თანხმობაზე, ერთგულებაზე, თავდადებაზე, აგრეთვე ორგანიზაციის მდგომარეობის მართვის მგრძნობელობაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სისტემის სირთულის საზომად გვევლინება მისი ცვალებადი ვითარებების სხვადასხვა სახესხვაობა-სახეცვლილებები.

სიცოცხლისუნარიანობის მოდელის საფუძვე-

ლში დევს აუცილებელ სახესხვაობათა კანონი, რომელიც მოითხოვს, მმართველობითი რეაქციები იყოს არანაკლებ მდიდარი, ვიდრე შესაძლო მდგომარეობების ნაკრები. თვითორგანიზების პროცესების გასააქტიურებლად უნდა ამუშავდეს უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც მგრძნობიარეა სუსტი სიგნალებისადმი. მნიშვნელოვანი აქ ის კი არ არის, თუ რას აკეთებს ლიდერი, არამედ ის, თუ რას აკეთებენ დანარჩენნი - მისდამი დაქვემდებარებული პერსონალი, რამდენად სწრაფად მუშობენ და რამდენად აქვთ უნარი, განახორციელონ აუცილებელი რესურსების ემყარება დისკრეტირების წარმოდგენებსა და განვითარების ტრაექტორიების მყარობას.

მარკეტინგისმიერი ინოვაციური მართვის გავლენა საწარმოს საერთო ფუნქციონირებაზე შეიძლება წარმოვიდგინოთ მარკეტინგული შედეგიანობის კავშირების სახით, რომელიც ორიენტირებულია ფირმის ღირებულებაზე. ის წარმოადგენს ფირმის კაპიტალიზაციის ელემენტების თანამიმდევრულობას:

მარკეტინგული აქტივები - მარკეტინგული შედეგები - ფირმის ღირებულება

ცხრილი 2

მარკეტინგული აქტივების, შედეგებისა და ფირმის ღირებულების ურთიერთკავშირი

მარკეტინგული აქტივები: • ბრენდის აქტივები; • საკლიენტო ბაზა; • საპარტნიორო ურთიერთობები; • არხები; • კობრენდინგი; • არხები.	–>	მარკეტინგული შედეგები: • შედწევის ტემპების დაჩქარება; • სწრაფი ტესტირება; • სწრაფი მიღება; • ფასობრივი პრემია: პრემია ბაზრის ხვედრითი წილის გაზრდის ანგარიშზე; წანამატები მომსახურებისა და გაყიდვებისათვის; მოგების გაზრდა ლოიალობისა და დაქვითვების დონეების ხარჯზე.	–>	ფირმის ღირებულება: • ფულადი ნაკადის დაჩქარება; • ფულადი ნაკადის გაზრდა; • ვოლატულურობისა და რისკის შემცირება; • ნარჩენი ღირებულების გაზრდა

მობილიზება. სახელდობრ, მართვის მიდგომები აქ განსაკუთრებით განსხვავდება ბიზნესის უფრო ტრდიციული კულტურისაგან, რომელიც მმართველობითი სტრუქტურის ფარგლებში ეფუძნება სპეციალიზებული პროცესების იერარქიულობასა და განმეორებადობას.

არაწრფივობა და სირთულე, რომლებიც მარკეტინგის სისტემას თან ახლავს, ასევე მასში არსებული უკუკავშირების დიდი რაოდენობა, განაპირობებს არაერთი მარკეტინგული მოვლენის სინერგეტიკულ ბუნებას და იწვევს მრავალრიცხოვანი სინერგეტიკული ეფექტების აღმოცენებას. მარკეტინგის სისტემის გამოკვლევას, ასეთი ეფექტების მიმართ სათანადო ყურადღების მიქცევის გარეშე, მივყავართ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ობიექტურ - არასასურველ ან არაკორექტულ გაგებამდე და პრაქტიკაში არასაკმარისად ეფექტიან მართვამდე. სინერგეტიკული ეფექტების გამოვლინების ბუნებისა და თავისებურებების გააზრება საშუალებას იძლევა მარკეტინგისმიერი მართვა ორგანიზებული იქნეს მაღალხარისხოვნად ახალ, ინოვაციურ დონეზე, რომელიც ძირითადად

მარკეტინგული ინვესტიციები იწვევს მარკეტინგული აქტივების ზრდას, რომელიც შეიძლება შეფასდეს ურთიერთდამოკიდებულებათა ძალის მაჩვენებლებით (ბრენდზე გათვითცნობიერებადობა, ბრენდისადმი დამოკიდებულება, რისკის აღქმა და გაცნობიერება), ნდობისა და ლოიალურობის დონე. ამ ურთიერთდამოკიდებულებათა ფასეულობის ზრდა იწვევს კომპანიის საბაზრო პოზიციის განმტკიცებას, იგი შესაბამისად ხელს უწყობს:

- გენერირებადი ფულადი ნაკადების ზრდას ფასობრივი პრემიისა და საბაზრო წილის გაყიდვების ხარჯზე;
- დანახარჯების შემცირებას განაწილების არხებზე, გაყიდვა და გადაადგილებაზე;
- ლოიალობისა და დაქვითვათადონის ზრდას. ზემოთ შემოთავაზებული დამოკიდებულობა საშუალებას იძლევა, დადგინდეს ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლები, რომლებიც მისაღებია ფინანსური შეფასებებისათვის.

სინერგეტიკის პოზიციიდან გამოყოფილი მარკეტინგის სისტემის ყველა ელემენტი

რეალიზდება, როგორც სისტემის რეაქცია, მის შიგა და გარე წინააღმდეგობებზე. რამდენად ადეკვატურია სისტემის რეაქცია გამღიზიანებლებზე, ამას განსაზღვრავს მოცემული სისტემის მდგრადობა ან კიდევ მისი ეკონომიკური პოტენციალი.

სინერგეტიკული ეფექტის არსებობა, რომელიც დაკავშირებულია არაწრფივობასთან, თვითორგანიზაციის უნართან და მარკეტინგის სისტემის სხვა თავისებურებებთან, მოითხოვს მათი მართვის უფრო ფაქიზი, დახვეწილი, რაფინირებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას, ამასთანავე მართვის ობიექტის რეაქცია მართვის ფაქტორებზე და გარეშე ცალკეული ელემენტების მიმართ თავისთავად სისტემურ ეფექტს წარმოადგენს. ასევე საჭიროა დროში შეთანხმებულად უზრუნველყოფილ იქნას მმართველი ზემოქმედებების ცალკეული შემადგენელი ვექტორების კოორდინირება მიმართულებებისა და ინტენსიურობის მიხედვით, რისთვისაც აუცილებელია მართვის სპეციალური სქემებისა და ალგორითმების გამოყენება. ცხადია, ყოველივე ეს ცალკე განხილვას მოითხოვს.

ზემოაღწერილს თუ განვაზოგადებთ, მაშინ ჩვენს სჯელობას უნდა მიეცეს ასეთი გასაქანი: სინერგეტიკული მიდგომა უნდა გავიგოთ, როგორც იმანენტური და ტრანსცენდენტური მოვლენების შეერთება, ანუ გამოვლინებები, რომლებიც იწვევენ სისტემის ქცევაში შემთხვევით ფლუქტუაციას, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, განიხილება, როგორც მიზეზები ან წანამძღვრები საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების ცვლილებებისათვის, რათა ობიექტი მოხვდეს „სასურველი" ატრაქტორის მიზიდულობის სფეროში.

სინერგეტიკული მიდგომის გამოყენების სფერო საშუალებას იძლევა, ვამტკიცოთ, რომ სწორად შერჩეული მმართველობითი გადაწყვეტილება, შევსებულ-დამატებული ატრაქტორული სტიმულებით, აყალიბებს კავშირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის მყარ ფუნქციონირებასა და განვითარებას. მარკეტინგის მართვის აპარატის მიერ დადგენილი და დაწესებული სტიმულები აწესრიგებს სისტემას, უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირებისა და განვითარების სიმყარეს ძირითადად დივერსიფიკაციის, ორგანიზაციისა და მართული დადებითი სინერგიის მეშვეობით. სინერგეტიკის საგნის სპეციფიკა ისაა, რომ ღია სისტემებში თვითორგანიზაციის პროცესები ფასდება არახაზობრივი აზროვნების კუთხით. კვლევის ობიექტს კი წარმოადგენს რთულად ორგანიზებული არათანაბარწონადი სისტემები, რომლებიც იმყოფება ქაოსიდან წესრიგისაკენ და პირიქით - გადასვლის განსხვავებულ, სრულიად სხვადასხვა სტადიაზე.

თვითორგანიზება, როგორც მოწესრიგებულობის, ურთიერთკავშირების, ურთიერთობებისა და შეზღუდულობების პროცესი, თანამედროვე მართვაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თვითორგანიზებისას სისტემას შეიძლება წარმოეშვას სხვადასხვა თავისებურება, რომლებსაც არ ფლობს არც ერთი მისი ნაწილი. ამიტომ სინერგეტიკას, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, შეიძლება ეწოდოს მეცნიერება ახალი ხარისხების წარმოჩენის შესახებ.

ამგვარად, ჩვენი გამოკვლევის ფარგლებში გამოვყავით სინერგეტიკული მიდგომის შემდეგი უპირატესობები:

- ორგანიზაციის შიგნით ევოლუციური პროცესების შეგნებული გამოყენება, რომლებიც მიმდინარეობს საბოლოო ორი ძალის ზემოქმედებით: კერძოდ, გარეგანი ფლუქტუაციებით და სისტემის შინაგანი რეაქციებით;
- თვითცვლილებადი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც მუშაობს თვითცვალებადი წესებით მიხედვით და ამასთანავე ადასტურებს შეთანხებულ ქცევას;
- ღია სისტემებში თვითორგანიზაციის პროცესების შესწავლა არწრფივი აზროვნების ზეგავლენის კუთხით;
- პერმანენტულობისა და დისკრეტულობის იმიტაციური მოდელირება - იმ სავალდებულო პირობებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის სასიცოცხლო ციკლს;
- გარეშე შეშფოთების იმპულსების ფიქსაცია, რომლებიც აღმოცენდება მაკროსისტემაში და პარალელურ სისტემებში, ასევე ინფორმაციის შეკუმშვა, შეკვეცა და დამუშავება ამ შეშფოთებების შესახებ, შინაგანი იმპულსების შერჩევა, რომლებიც სისტემას საშუალებას მისცემს, მოახდინოს გარეშე ზემოქმედებებისადმი ადაპტირება;
- ახალი ხარისხის აღმოცენების გამო განსხვავებული მასშტაბის სტრუქტურული დონეების კავშირის განხორციელება სისტემის ნაწილების კოოპერირების სახით, რაც უზრუნველყოფს სინერგეტიკული ეფექტის წარმოჩენას. უცილებლად მიგვაჩნია, შემდგომში კონკრეტულად აღიწეროს მარკეტინგის მართვის ხარისხის შეფასების მეთოდიკა სინერგეტიკული პრინციპების საფუძველზე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს და იგი უნდა

განვიხილოთ ინოვაციური მართვის კონტექსტში, როდესაც ინოვაციური პროექტის დანერგვის საწყის პერიოდში შეიძლება აღმოცენდეს ნამდვილი დადებითი სინერგეტიკული ეფექტი, რომლის აღრიცხვისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ გაანგარიშების ცალკეული მეთოდი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 . ბერულავა რ., ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი, ი. მესხიას და ალ. ღლონტის რედაქციით, თბ., 1999, გვ. 303

2. ბერულავა რ., გვჭირდება ენის დაცვის სინერგიზმი. გაზ. ,,სახალხო განათლება", 6.XII, 1990; მისივე: საჭიროა ენის დაცვის სინერგიზმი. გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 7. VI, 1992

3. Прангишвили И,. В., Максимов В. И., Разрешение проблемных ситуации в период современной трасформации // Общество и экономика. 2001 «11-12.

4. Прангишвили И,.Энтропийные и другие системные закономерности: Вопросы Управления сложными системами. М., Наука, 2003.

5. Прангишвили И,.Иванус А. К., Системная закономерност «золотого сочения»: Системная устойчивость и гармония // Проблеиы упправления. 2004, «2.»

6. Прангишвили И, В.Путин и распутье // АиФ 2004, «36.

Entropy and Synergetics of Disizion-making on Regional Level

Irma Makharashvili

Doctoral student at Caucasus international University

Marketing and management specialists pay particular attention to entropy and synergetics approaches in business processes. The researchers focus on the theoretical - methodological potential prognostic function. At the present stage, the mechanism of formation and implementation of effective management is widely acknowledged as a powerful stimulator of the regional economic growth. According to the regional economic dynamics, it is possible to predict the trends of the economic conjuncture. It should be noted that the analysis of sustainable economic growth with effective management has the power to unravel the objective characteristics of the macroeconomic equilibrium. The economic regulations (even the formation of a transformative period in the market) are not effective to implement the concept of management without its mastering.

In our study, we aimed logically interrelated tasks. The way of the solution of the problems is in accordance to the economic system of the region.

The peculiarities of regional economic development and the problems of the above analysis shows the disorder, uncertainty and probabilities of a place.

მენეჯერის პირადი ორგანაიზერი

ომარ შუდრა
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი
oshudra@Yahoo.com

ნინო კაზარიანი
საერო სკოლა „დეას" ქართული
ენის პედაგოგი
el.fosta: rozikazariani@mail.ru
ტელ.: (555) 32- 79- 81

სტატიაში აღწერილია დროის ეფექტური მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. დეტალურადაა განხილული ერთ-ერთი ავტორის პირადი ორგანაიზერის სტრუქტურა.

XXI საუკუნე პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების (გლობალიზაციის) ეპოქაა, მაღალგანვითარებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურებით, რასაც ბუნებრივია, მოჰყვა ფასეულობათა ტრანსფორმაცია. ინდუსტრალურისაგან განსხვავებით (საქონლის მოხმარება, ფული), ინფორმაციული საზოგადოების დამახასიათებელი ფასეულობაა დრო, რომლის ყიდვა (დაზოგვის მიზნით) სულ უფრო ძვირი გვიჯდება. ამრიგად, ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ, დროში შემჭიდროებულ ეპოქაში, სადაც ბევრი პროფესიის „სიცოცხლის ხანგრძლივობაც" კი სულ უფრო მცირდება (აქ გამონაკლისია აგრარული საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი შენელებული ცხოვრების ტემპით).

დრო და სიცოცხლე თითქმის სინონიმებია. თუ ოპტიმისტურად განვეწყობით, რომ ამიერიდან აქტიური ცხოვრების 50 წელი გვაქვს დარჩენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დროის კაპიტალი მაქსიმუმ 440 000 საათს შეადგენს. მათ შორის 150 000 საათი ძილში გასატარებელი დროა.

თუ გავითვალისწინებთ, რა დრო მიაქვს არაინტელექტუალურ, მაგრამ აუცილებელ საქმიანობას (კვება, ჰიგიენური პროცედურები, დალაგება, რეცხვა...) ვნახავთ, რომ ცოტა დრო გვრჩება ჭეშმარიტი, შემოქმედებითი, პროფესიული, სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ფულადი კაპიტალისაგან განსხვავებით, დროის კაპიტალის აღდგენა შეუძლებელია, ამ უკანასკნელს ვერსად, ვერასდროს, ვერანაირი ქმედებით ვერ მოიპოვებ, ვერ შეინახავ, ვერ დააგროვებ, ვერ გაამრავლებ, ვერ გაასხვისებ... ერთადერთი რაც შეგვიძლია, არის ის, რომ უძვირფასესი რესურსი რაციონალურად გამოვიყენოთ.

ყოველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია გარკვეული „დროითი მიდრეკილება", იმისდა მიხედვით, რამდენად აკეთებს ის აქცენტს წარსულზე, აწმყოზე ან მომავალზე (მაგ.: ამერიკა მომავლით ცხოვრობს, ზოგიერთი წარუმატებელი ქვეყანა კი – წარსულით).

ანალოგიურად ამისა, პიროვნებებიც დროითი ჰორიზონტის ტერმინებში აზროვნებენ („მომავალში", „ახლა", „წარსულში"). ეს განსხვავება კი ხშირად სოციალური (კერძოდ, ოჯახური) კონფლიქტის მიზეზიც ხდება. ერთდროულად, „დროში ყოფნის (მიკუთვნების)" გრძნობა ადამიანისთვის თვისობრივად სხვადასხვა შეიძლება იყოს: ფატალური „ტყვეობიდან", მის პიროვნულ გააზრებამდე. სოციოლოგების შეფასებით, რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო ჩამოვრჩებით, ანუ ცხოვრების გაზრდილი ტემპის გამო ვკარგავთ მას, რასაც ყველაზე ვაფასებთ.

რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას – ქართველი სამხრეთ ევროპელს უფრო გავს დროის მიმართ ირაციონალური, უპატივცემულო დამოკიდებულებით. არაა საიდუმლო, რომ შრომის დაძაბულობა ჩვენთან (ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში) ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთში – ჩვენ მუშაობას გადავეჩვიეთ (ამიტომაც გვიკვირს უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები).

თანამედროვე ცხოვრებაში თავისუფალი დროის ცნების განსაზღვრა ძნელი გახდა და კიდევ უფრო ძნელი – მისი გაზომვა.

დროის შემსწავლელი მეცნიერება არ არსებობს. დროის დანახვა, მოსმენა, აღქმა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დროის შესახებ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მეცნიერული თვალსაზრისი:

1. დრო (ისევე როგორც სივრცე) არსებობს აპრიორულად, მატერიალური საგნებიდან და-

მოუკიდებლად.

2. დრო (ისევე როგორც სივრცე) არ არსებობს მატერიალური საგნების გარეშე,ის თავადაა მატერიალური სუბსტანცია,არის ენერგიის წყარო, აქვს სიმკვრივე...

დისკუსია ამ ორ კონცეფციას შორის დღემდე გრძელდება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ კონკრეტული, პრაქტიკული რეკომენდაციები გვჭირდება. დროის მართვის ელემენტარული საფუძვლების ცოდნა, იმის კონტროლი, თუ რას, როდის და როგორ ვაკეთებთ, დაგვეხმარება გავზარდოთ ჩვენი საქმიანობის ეფექტურობა.

დროის კონტროლი არ ნიშნავს ცხოვრების მკაცრ რეჟიმს, რომლის მიხედვით, გადახედვა და რაიმე ცვლილება დაუშვებელია. თვითკონტროლი საჭიროა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა ან შეცდომები.

გაითვალისწინეთ დროის დაზოგვის ოქროს წესები;

1. ისწავლეთ ხანმოკლე და გრძელვადიანი გეგმების შედგენა;

2. მოერიდეთ უაზრო ქაღალდომანიას;

3. გაანაწილეთ პასუხიმგებლობა გუნდის წევრებს შორის;

4. მნიშვნელოვანი საქმეები დილისთვის დაგეგმეთ, ყველაზე პროდუქტიული დღის ეს მონაკვეთია.

წარმატებული მენეჯერის უნივერსალური ფორმულა ჯერ არ შექმნილა. თუმცა, კარგ მენეჯერად ჩამოყალიბება მაინც შესაძლებელია. ამას კი სასკოლო ასაკიდანვე უნდა შევუწყოთ ხელი. საჭიროა მოზარდს ჰქონდეს შინაგანი მოტივაცია წარმატების მისაღწევად. მან თავიდანვე უნდა იცოდეს დროის ფასი და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის თითოეულ ქმედებას. უნდა იცოდეს, რომ წარმატების მიღწევა დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია; რომ ფსიქოლოგიურად, კარგი, მხნე დილა – წინა დღეზე (საღამოს დაგეგმვაზე) არის დამოკიდებული, აუცილებელია მან განავითაროს უნარები,რათა განსაზღვროს მიზანი, უკეთ აითვისის პროგრამა, გახდეს წარმატებული.

თუ ადრე ნერვიული დაძაბულობის მიზეზად დაწესებულება, სამსახური ითვლებოდა (სახლი, ოჯახი კი – პრობლემებისგან თავშესაფარად), ახლა ექსპერტებს სხვა მონაცემები აქვთ. ამიტომაც გაჩნდა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი (განსაკუთრებით – ქალებში).

სწორედ ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი ცხოვრების რიტმი. კანონზომიერ მონაცვლეობას, განზომილებას, რიტმს ემორჩილება ბუნებისა და ცხოვრების ყველა მოვლენა. მისი ხანგრძლივი დარღვევა აუცილებლად იწვევს ზედმეტ დაძაბვას. საჭიროა შევიმუშაოთ რეჟიმი, ე.ი. ცხოვრების, მუშაობის, დასვენების დადგენილი და დაცული წესი. თუმცა იგი სხვადასხვა უნდა იყოს განსხვავებული ასაკისა და პროფესიის, აგრეთვე, ცალკეული ადამიანისათვის.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ დროის დაზოგვაში უკიდურესი ზომებია საჭირო. ვცდილობთ ვიპოვოთ ოქროს შუალედი, რათა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ორგანულად შეერწყას მსოფლიოში აღიარებულ ქართულ ფასეულობებს. პრაქტიკული რჩევები კი დაგეხმარებათ ბევრად უფრო ეფექტურად მართოთ დრო.

ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. ტრადიციული მისამართების (ქაღალდის) ბლოკნოტებისგან განსხვავებით, ინფორმაციის ძიებაზე ელექტრონულ მონაცემთა ბაზა ნაკლებ დროს მოითხოვს, ასეთი ფორმით უფრო იოლია შესწორების, ახალი ინფორმაციის შეტანა, წაშლა.

ამ პროგრამებით შეიძლება საქმიანი კონტაქტების მართვა (მისამართები, ტელეფონები, განსაკუთრებული დღეები და სხვ.) აგრეთვე, გავაკონტროლოთ წერილის შემოსვლის დრო, მივიღოთ შეტყობინება ახალი წერილის მიღებაზე, დავახარისხოთ საქაღალდეებში (განყოფილების ან ალფაბეტის მიხედვით) შემოსული და გასული წერილები. თუ საქაღალდეების რაოდენობა დიდია, ყველაზე საჭირო მოათავსეთ სიის თავში. ლოგიკური საფაილო სისტემა, მოსახერხებელი სისტემით, თვეში რამდენიმე საათს დაგიზოგავთ.

სავიზიტო ბარათების შესანახი ყუთები (და თუნდაც „ალბომები") არც თუ ისე მოსახერხებელია, ამიტომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანის შემდეგ ბარათი საჭირო აღარ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული წერილის სათაურს (თემის) შერჩევას. ის თუ გასაგებად ჩამოყალიბებული არაა და მხოლოდ საერთო ფრაზაა, პასუხსაც დაგვიანებით მიიღებთ.

საქმიან საქაღალდებთაან მუშაობა. აქ, სამწუხაროდ, კომპიუტერი ვეღარ დაგვეხმარება. კარგი მეთოდია საქაღალდე (ბაინდერი) ფაილის „ჯიბეებით", რომელიც დალაგებულია ქრონოლოგიურად, 31 დღეზე,თემატურად (შინაარსით) ან ალფაბეტით. ეს საქაღალდეები შეინახეთ მაგიდასთან ახლოს (უმჯობესია უკან), მოაქციეთ ერთიან, თაროების სისტემაში: სასწრაფო, ხანგრძლივი, კლიენტთა საქმეები, საოფისე ცნობარები და სხვ. დანარჩენი დოკუმენტაცია შეინახეთ უჯრებსა და კარადებში. წესად შემოიღეთ, რომ შემოსული წერილი, საერთოდ დოკუმენტი, ხელში მხოლოდ ერთხელ აიღოთ და უკან აღარ დაუბრუნდეთ (მაგალითად,

იქვე ჩაინიშნეთ საპასუხო ფრაზები წაკითხვისას).

მობილური ტელეფონი. დროის დაზოგვის მიზნით, ოფისის გარეთ მაქსიმალურად გამოიყენეთ, მაგრამ არ მისცეთ უფლება, მართოს თქვენი დრო. ამიტომ, ნუ დააწერთ ტელეფონის ნომერს სავიზიტო ბარათს (ე.ი. იქონიოთ სპეცსავიზიტო ბარათიც), ნუ აიღებთ ყურმილს ყოველ ზარზე (დააყენეთ ის ვიბრატორზე). დროის დაზოგვაში ნომრის ამომცნობიც დაგეხმარებათ, თუ ხშირი კონტაქტების სია იქვე გექნებათ და ა.შ., როგორც ყველა საქმიანი საუბრისას, საკითხები დარეკვამდე დააფიქსირეთ), ხოლო საუბრის შედეგები მოკლედ და აკურატულად ჩაინიშნეთ.

თქვენთვის უცხო ოფისში შესვლისას (განსაკუთრებით, ქალაქგარეთ), პირველ რიგში დაადგინეთ სმენადობის ზონა. ადამიანები (პირველ რიგში, თანამშრომლები), მაინც ყველაზე მეტ დროს გვართმევენ. შეზღუდეთ მათი კონტაქტები (ჩაკეტილი, ან ოდნავ ღია კარი, გამორთული ტელეფონები, მიღების საათები, მტკიცე „არა“, ავეჯის განლაგება და სხვ.).

ამერიკელების რეკომენდაციით (თუმცა ქართული მენტალიტეტი მას ეწინააღმდეგება) საქმისაგან თავისუფალი თანამშრომლებისაგან თავის დასაცავად დაჯექით ზურგით კარისაკენ, მაგიდასთან, დატოვეთ მხოლოდ ერთი სკამი (ისიც მაგიდაში შეწეული). თუ დაჯდებოთ ზურგით ფანჯრისაკენ (როცა თქვენი სახე ცუდად ჩანს), ისინი კაბინეტში ნაკლებად შეყოვნდებიან.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ყველაზე მთავარია მენეჯერის ცხოვრების რიტმი, რეჟიმი, რადგან დროის ეფექტური მართვა არა მარტო შრომის ორგანიზაციას, არამედ როგორც ორთობიოტიკა გვასწავლის, მთელი ცხოვრების ორგანიზაციას მოიცავს.

საქმიანი ადამიანისათვის აუცილებელია „ერთსამსახურიანი“ ცხოვრების სტილი მრავალმიზნიანი ცხოვრებით შეიცვლის (მაგალითად, ოფისში მომუშავე სპეციალისტი ერთდროულად სხვა დაწესებულებაში კითხულობს ლექციებს, წერს სახელმძღვანელოს).

შრომის ნაყოფიერებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს რაციონალური დასვენებაც. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები კვირა დღეს საქმეზე არ ფიქრობენ. უფრო მეტიც, საერთოდ არ კითხულობენ გაზეთებს (სათაურების გარდა), არ უცქერიან ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებს.

სტატია, ფაქტობრივად, ავითარებს გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი პროფესორი ლოტარ ზაივერტის („დროის ინსტიტუტის“ პირველი დირექტორის) საქმეების ყოველთვიური, ყოველწლიური დაგეგმვის იდეას, ჩვენთან ნაკლებად პოპულარულ მის სისტემას, მსოფლიოში ყველაზე კვალიფიციურ ადამიანებს სამუშაო რამდენიმე წლის წინ აქვთ დაგეგმილი. ასე მუაშაობენ, მაგალითად, ცნობილი მომღერლები, ლექტორები, ქირურგები და სხვ.

ჩვენ გვესმის, რომ კომპიუტერის ეპოქაში პირადი ორგანაიზერი, ალბათ ელექტრონულ ფორმაში უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენს რეალობაში, ავტორებს გაუჭირდათ მისი პრაქტიკული რეალიზაცია (არაა მოხერხებული). მკითხველი, თუ ჩვენი გამოცდილების გამოყენებით, ამას გააკეთებს, ცხადია, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

პირადი ორგანაიზერი, ფაქტობრივად, ძირითადად ესაა სხვადასხვა ფორმატის ბლოკნოტების და სტანდარტული (ვერტიკალურად განთავსებული) საქაღალდეების (პირადი არქივის) ერთობლიობა, რომელიც ერთ სისტემაშია მოყვანილი.

ყოველდღიური ბლოკნოტი. ესაა პიჯაკის ჯიბის ზომის, სპირალით შეკრული ბლოკნოტი, რომელსაც ყველგან თან ვატარებთ. მარჯვენა გვერდზე – დღის საერთო საქმეებია, მარცხენაზე – დროში ფიქსირებული საქმეები. დღის ბოლოს, გვერდი შესრულებული საქმეებით გადაიხაზება. ბლოკნოტის პირველი გვერდები ეთმობა სამი თვის კალენდარს, მიმდინარე თვის (3-4 ფურცელი) და მომდევნო 2 თვის გეგმას (ყოველ თვეზე ორი გვერდი – მიმდინარე (ზოგადი) და დროში ფიქსირებული საქმეების).

შემოკლებული სიმბოლიკა (მნემონიკა) ყოველ საქმიან ადამიანს შეუძლია თვითონ შემოიღოს. ყველაზე საჭირო აღნიშვნებია (ფრჩხილებში მაგალითია მოცემული): მენეჯერის გვარი (ა), დასარეკია (ტ), მეორე დღის საქმე ( ), ფასი (ფ), ინტერნეტით მოსაძებნია (G), მისალოცია (მ), პირადულია ( ), რაოდენობა (2), სასწრაფოა ( ), ამინდი (წითლად) და ა.შ.

ყოველ გვერდზე ჩაკრულია „სტიკერი“, რომელიც, შესაძლოა, დაგვჭირდეს ოპერატიული ჩაწერებისათვის.

გარდა ამისა, ბლოკნოტის ბოლოში რამდენიმე პატარა ფურცელია (სამაგრით). იქვე რამდენიმე ტელეფონის ნომერი (მობილური ყოველთვის თან არ გვაქვს), ტაქსების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნომრები. ბლოკნოტის ბოლო 5-10 გვერდი ეთმობა ქალაქის უბნებს, ზონებს და საქმიანი თათბირების საკითხებს.

განსხვავებულ (მაგ. წითელი) ფერით ბლოკნოტში მონიშნულია ერთი კვირის ამინდი, ინტერნეტის ყველაზე საიმედო საიტებიდან.

ჯიბის ბლოკნოტი საშუალოდ, 1,5 თვეში ივსება. შევსების შემდეგ, თუ მას 2-3 თვე შეინახავთ, თავიდან ბევრ გაუგებრობას აიცილებთ.

სატელეფონო ბლოკნოტი. ესაა ნებისმიერი ფორმატის, სპირალით შეკრული, საკმაოდ სქელი, 10-15 წელზე გათვლილი ბლოკნოტი. ტრადიციული სატელეფონო წიგნებისგან განსხვავებით, ის მხოლოდ სატელეფონო ნომრებს არ შეიცავს და პირადი ორგანაიზერის ნაწილია. ბლოკნოტი იწყება ალფაბეტური სარჩევით (1-2 გვერდზე). აქაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სიმბოლიკას, შემოკლებებს (მაგ.: ბინის ტელეფონი *, გარდაცვლილის ნომერი [ ], და სხვ.), მნიშვნელოვანი პუნქტების მარკერით გამოყოფს.

ყოველ ასოზე გამოყოფილია 1-დან 7 გვერდამდე, შემდეგი სტრუქტურით:

1. გვარები (იქვე ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი, მანქანის ნომერი, მდივნის, ოჯახის წევრების სახელები და სხვ.).
2. დაწესებულებები (ინტერნეტ მისამართები და სხვ.)
3. მომსახურების ობიექტები (ხელოსნები, მაღაზიები, ტრანსპორტი და სხვ.).
4. ქვეყნები და საქართველოს ქალაქები.

რადგან ეს ბლოკნოტიც პირადი ორგანაიზერის ნაწილია, აქვეა დამატებითი ინფორმაცია, მაგ. ასო „კ“-ზე, ე.წ. კონსტანტებია“ (წონა, სიმაღლე, სისხლის ჯგუფი, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ზომები, ოჯახის წევრთა პირადობის ნომრები და სხვ.) ასო „მ“-ზე (მედიცინა) აფთიაქების ტელეფონებია, ინფორმაცია ექიმ-სპეციალისტებზე (მიწერილია ფანქრით, რადგან ხშირად შესაცვლელია), და სხვ.

წლიური ბლოკნოტი. ჯიბის ბლოკნოტში მხოლოდ სამი თვეა დაგეგმილი. წლიური ბლოკნოტი ნებისმიერი ფორმატის შეიძლება იყოს, ოღონდ, დიდი მოცულობის, 20-30 წელზე გათვლილი, ტიპოგრაფიულად შესრულებული, თვეების მითითებით. მისი პირველი გვერდი 5-10 წლის გეგმას ეთმობა (საიუბილეო, ბანკებთან ურთიერთობის, ხელშეკრულებების თარიღები, სამედიცინო ხასიათის გეგმები და სხვ.). იქვეა „ყოველწლიური (მათ შორის, საოჯახო ტექნიკის) პროფილაქტიკის“ გვერდი, რომელიც, თუნდაც, იანვრის თვეშია დაგეგმილი.

ყოველ თვეს აქვს ფიქსირებული თარიღის და ზოგადი ინფორმაციის გვერდები. ფიქსირებულ თარიღებში ვწერთ ჩვენთვის მნიშვნელოვან საქმეებს, რაც ძალიან გვეხმარება ყოველწლიურად განმეორებად ღონისძიებების დაგეგმვაში, გაუგებრობების თავიდან აცილებაში (დაბადების დღეები, საიუბილეო თარიღები, ჯანმრთელობის პროფილაქტიკა, სეზონური პროფილაქტიკები, კომუნალური გადასახადები, ამინდის, სატრანსპორტო „საცობების“ ციკლები და სხვ.). იქვეა მითითებული დასვენების დღეები, რადგან, ჩვენს რეალობაში, სხვადასხვა ტიპოგრაფიებში არაპროფესიულად დაბეჭდილი კალენდრები არ ასახავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების დღეებს. ამიტომ, მენეჯერს თავისი ორგანაიზერიდან უწევს შეძენილ კალენდარში უქმი დღეების გადატანა. წლიური ბლოკნოტი, თუნდაც ამ მხრივ, ძალზე პრაქტიკულია. სასურველია, გამოვყოთ „საქმეების ყოველთვიური ციკლის“ გვერდიც.

მუდამ ფორმაში. საქმიან ადამიანს უფლება არა აქვს დღეები, თვეები დაკარგოს „ფორმიდან ამოვარდნის“ გამო. ზოგჯერ, სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულეების გამო („სულიერი სისუსტის წუთებში“) ის კარგავს რწმენას, ამიტომ ბლოკნოტი იწყება 10-20 ძირითადი ცხოვრებისეული, ბრძნული აფორიზმებით. იქვეა სარჩევი ალფაბეტით, სადაც ძირითადი თემები ჯანმრთელობას, „ფორმაში“ ყოფნას ეხება. თუმცა იქვეა თემები: სანტექნიკა, საოჯახო ტექნიკა, ტანსაცმლის მოვლა, პროდუქტის შენახვა, სტუმრის შინ მიღება და ა.შ. (ყოველ ასოზე 7 10 გვერდი). ამავე ბლოკნოტშია სამარშრუტო ტაქსების (ავტობუსების) ყველაზე საჭირო რეისები, ქალაქში სავაჭრო ჯიხურების სქემა და სხვ. გარდა ამისა, მენეჯერს სჭირდება რამდენიმე მცირე მოცულობის ბლოკნოტი: „წაკითხული მხატვრული ლიტერატურა“, „კომპიუტერი“ და სხვ.

პირადი არქივი. ესაა საქაღალდეების (ბაინდერების) სისტემა, ყუაზე სათანადო წარწერით, დოკუმენტების თავისუფალი განლაგებით.

პირადი გამოცდილებით ვიცით, რომ საქმიანი, თუნდაც, წარმატებული ადამიანი ახალგაზრდა, თუნდაც, 50 წლის ასაკში, ცდილობს „გათავისუფლდეს მაკულატურისგან“, გადაყაროს „ძველი ქაღალდები“. შემდეგ კი, განსაკუთრებით, საპენსიო ასაკში ის ამ შეცდომას ნანობს. ყოველ შემთხვევაში, 1-2 საქაღალდე, რომელიც ზედმეტად გვეჩვენება, აუცილებლად უნდა შევინახოთ (ალბათ, აქ ბინის ფართზე ლაპარაკი ზედმეტია). პირად არქივში ცალკე უნდა გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი საქაღალდეები:

- ძირითადი დოკუმენტების (დაბადების მოწმობა, პასპორტი, განათლების დიპლომი და სხვ.).
- საბანკო დოკუმენტაცია (ანგარიშის ნომრები, ბანკების PIN კოდები, წიგნაკები...)

• საკადრო დოკუმენტაცია („სივი“, დახასიათებები, შრომის წიგნაკი, გამოქვეყნებულ შრომათა სია და სხვ.).

• ცალკე ჯგუფს მიეკუთვნება პროფესიული მოღვაწეობის საქაღალდეები, რომელიც ყოველ მენეჯერს, ცხადია, სხვადასხვა დასახელებით ექნება. ასაკოვანი საქმიანი ადამიანისთვის მათი რიცხვი 15-20 აღწევს. ყოველ მენეჯერს სჭირდება საქაღალდე „მედიცინა“, „ყოფაცხოვრება“, „ხელსაწყოთა ინსტრუქციები“, „ბინის გაყვანილობის სქემები (ელექტრო, ტელ., წყალი, ზარი...)“, „ხალხმრავალი ღონისძიებები (ქორწილი, იუბილე, დაკრძალვა...)“, „ოჯახის გენეალოგია“, კარგი იქნება, თუ ყოველ საქაღალდეში ერთი–ორი 12 ფურცლიანი რვეული იქნება, ერთი თემის საქმეებისთვის.

საცნობარო ლიტერატურა. ბლოკნოტების და საქაღალდეების გარდა, პირად ორგანაიზერში შედის წიგნებიც, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ვაგროვებთ. ესაა სატელეფონო, ქუჩების, ქვეყნების ცნობარები, გეოგრაფიული ატლასები, ტურისტული რუკები, სხვადასხვა ლექსიკონები, სხვადასხვა ხელობის (პროფესიების) ცნობარები.

ქრონოლოგიური დღიური – სასარგებლოა პირადი გამოცდილების დაგროვებისათვის, განსაკუთრებით – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წინ. დღიური, რომელიც სტუდენტობის ასაკში იწყება და მთელი ცხოვრება გრძელდება, თვითაღზრდის, შეცდომებისაგან დაზღვევის, შინაგანი მოწესრიგების, ძილის წინ რელაქსაციის და ასე განსაჯეთ, ფსიქოთერაპიის აპრობირებული საშუალებაა. მას პრაქტიკული დატვირთვაც აქვს – საქმიანი ადამიანის ქრონოლოგიური არქივის როლს ასრულებს (ადვილად დავადგენთ 20-30 წლის წინ მომხდარი ფაქტის თარიღს. დღიური, თუ მას (დამატებითი ფაქტებისათვის) მხოლოდ ფურცლის ცალ გვერდზე ავსებთ, მომავალში მოგონებების წიგნის დასაწერად გამოგადგებათ.

მენეჯერის პირადი ორგანაიზერის შექმნისთვის მხოლოდ ბლოკნოტები და საქაღალდეები არ კმარა – ყველაფერი ერთიან სისტემაში, ერთ „სტანდარტში“, „მიკროწესებში“ უნდა იყოს მოწესრიგებული: მაგალითად, უმჯობესია ვისარგებლოთ მაღვიძარით, რომელსაც გამორთვა არ სჭირდება (მაგ. მექანიკურით), გამოვიყენოთ პატარა ზომის წითელი ფურცლები, რათა კომპიუტერთან, საწერ მაგიდასთან მუშაობისას არ დაგვავიწყდეს რომელიმე „პარალელური“ საქმე. თუ მენეჯერს (ან მისი ოჯახის წევრს) ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ავკინძოთ წამლების ინსტრუქციები (ალფაბეტის მიხედვით), დავხაზოთ და შევინახოთ მოვლენების (შვებულების) დროს შესწავლილი ქალაქის (დაბის) ქუჩების სქემა, გამოვყოთ მაგიდის უჯრაში „ხურდის ადგილი“, სადაც გვექნება ორლარიანების და ხუთლარიანების მარაგი (მძიმე, საგანგებო დღეებისათვის).

სტატიაში, მენეჯერის პირადი ორგანაიზერის აღწერა მხოლოდ სქემატურად, დეტალიზაციის გარეშეა მოცემული. შესაძლოა, ეს კარგიცაა: დაინტერესებული მკითხველი დანარჩენს თვითონ მიუსადეგებს თავის პროფესიასა და პიროვნულ ჩვევებს. ყოველ შემთხვევაში, აღწერილი სისტემის ყოველწლიური გამოყენება გამორიცხავს ჩვენს რეალობაში გავრცელებულ „ტრადიციულ“ ფრაზებს: „სულ დამავიწყდა...“, „მე მეგონა, ასე მითხარით...“, „შემეშალა თარიღი, რიცხვი...“, „დარჩა შინ და ხვალ მოგიტანთ...“ და ა.შ.

დაბოლოს, სისტემა ყველაფერს სჭირდება, როცა რომელიმე საქმის ყოველდღე ერთსა და იმავე საათზე ვაკეთებთ, ყველა დოკუმენტს თავისი ადგილი აქვს, გვენახება შემოქმედებითი ენერგია. ამრიგად, საჭიროა არა სწრაფი, არამედ, გონიერი, ეფექტური მუშაობა. მაგრამ, დროის ეფექტურობის პრობლემის გადაჭრა მთელი ორგანიზაციის მასშტაბითაა საჭირო. უფრო მეტიც, ის არა ცალკეული დაწესებულებების, არამედ მთელი საზოგადოების განვითარებასთანაა კავშირში...

გერმანული მოწესრიგებულობისაგან („ორდნუნგ“) ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ.

ლიტერატურა:

1. ო. შუდრა, მ. მახატელი, მენეჯერი და საარქივო კულტურა, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2011, №1.
2. ო. შუდრა, დროის ეფექტური მართვის თანამედროვე მეთოდები (ორთობიოტიკა), „ახალი ეკონომისტი“, 2012, № 3.
3. Л. Зайверт, Ваше время, 1990 г.
4. А. Лайкен, Искусство успевать, 1996 г.
5. А. Маккензи, Ловушка времени, 2010 г.
6. А. Бернет, Как жить 24 часа в сутки, 2001 г.

ინტერნეტ-რესურსები:
1. Google
– ომარ შუდრა, მართვის კულტურა – 2015
– ომარ შუდრა, ოფისის მართვის საკითხები, 1996 წ.
– ომარ შუდრა, საოფისე უნარ-ჩვევების ტრენინგი, 2014 წ.

Personal organizer of a manager

Omar Shudra
Nino Kazariani

The article covers practical and theoretical time management aspects.
The structure of the author's personal organizer is given in details.

BREXIT- ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან: ეკონომიკის გაძლიერება თუ მისი სტაგნაცია

ნინო გოზალიშვილი
თსუ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, III კურსი.
ninogozalishvili8@gmail.com (+995) 598 712071)

გუგა ბერძენიშვილი
თსუ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, III კურსი.
guga.berdz@gmail.com (+995) 598 342431)

თათია ჭყოიძე
თსუ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, III კურსი.
tatachkoidze@gmail.com (+995) 557 513235

სტატიაში განხილულია ის სავარაუდო შედეგები, რაც შეიძლება ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებით იქნეს გამოწვეული. გაანალიზებულია, რომ იქნება ეს „ბორკილებიდან გათავისუფლება" ბრიტანეთისთვის, როგორც ამას BREXIT-ის მომხრეები მოითხოვენ, თუ ეს მისი ეკონომიკის გაუარესებას უფრო შეუწყობს ხელს იმ სიკეთეების დაკარგვით, რომელსაც ევროკავშირი და უშუალოდ მისი ერთიანი შიდა ბაზარი უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარეობს თემის საკვლევი კითხვაც: რა შედეგების მომტანი იქნება ბრიტანეთისათვის ევროკავშირის დატოვება და რას გამოიწვევს ის: ეკონომიკის გაძლიერებას თუ პირიქით - მის სტაგნაციას. ამ მიზნით მიმოხილულია ბრიტანეთის ეკონომიკის ზოგიერთი შემადგენელი ასპექტი და განხილულია ის როგორც დამოუკიდებელ ვითარებაში, აგრეთვე ევროკავშირში ყოფნის პირობებშიც, რათა უფრო ნათლად დავინახოთ განსხვავებები და მოვახდინოთ შედეგების შედარება.

შესავალი

2016 წლის 23 ივნისს ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ჩატარდა რეფერენდუმი ევროკავშირის დატოვების შესახებ, რომლის შედეგებიც ევროპის პოლიტიკასა და ეკონომიკაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ იუწყება. რეფერენდუმში 30 მილიონამდე მოქალაქე იღებდა მონაწილეობას, რაც საერთო მოსახლეობის 71.8 %-ია. 1992 წლის არჩევნების შემდეგ მსგავსი აქტიურობა არ დაფიქსირებულა, რაც მიუთითებს საკითხის მნიშვნელობაზე გაერთიანებული სამეფოსთვის. შედეგების მიხედვით, 51.9 %-ით 48.1 %-ის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ევროკავშირს დატოვებს, პროცესი დაახლოებით 2 წელიწადს გასტანს. ამავდროულად, საინტერესოა, რომ რეფერენდუმში ევროკავშირიდან გამოსვლას მხარი ბრიტანეთისა და უელსის უმრავლესობამ მისცა, საპირისპიროდ შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობა დარჩენას მოითხოვდა. (The Guardian) ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს, დევიდ კემერონმა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პირობა დადო, რომ თუ კონსერვატიული პარტია გაიმარჯვებდა 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ის არაუგვიანეს 2017 წლისა ჩაატარებდა რეფერენდუმს ევროკავშირიდან გამოსვლა/დარჩენასთან დაკავშირებით. მეტიც, მოსალოდნელი იყო, რომ რეფერენდუმი შეპირებულზე ადრე, 2016 წელსაც კი გამართულიყო, რისი მოწმენიც 2016 წლის 23 ივნისს გავხდით. ეს ხაზს უსვამს კემერონის სურვილს, გადახედოს ურთიერთობებს კონტინენტურ ევროპასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ 2010 წლიდან მოყოლებული, მოსახლეობა ორად არის გაყოფილი ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით, ამას ადასტურებს ის ყველაზე მასშტაბური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 20000 ადამიანმა მიიღო და რომლის მიხედვითაც 41% მხარს უჭერს ევროკავშირში დარჩენას, 41% ევროკავშირის დატოვებას, ხოლო 18%-ს არ დაუფიქსირებია საკუთარი ხმა[1]. გარდა კონსერვატიული პარტიისა, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალები, ისეთები როგორებიც არიან ლეიბორისტული პარტია და ლიბერალ-დემოკრატები, სკეპტიკურად უყურებენ რეფერენდუმს და ამ შემთხვევაში მხოლოდ

სუვერენიტეტის უფრო დიდი მასშტაბებით დაკარგვას ემხრობიან[2].

ლიტერატურის მიმოხილვა

მიმოვიხილავთ ლიტერატურას და ვნახავთ რას ფიქრობენ დარგის ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხის არსს და კომპეტენტური ანალიზის გაკეთება შევძლოთ.

სუზან ბრაიტი, მულტინაციონალური ფირმის - „Hogan Lovells" ექსპერტი კონკურენციისა და ეკონომიკურ საკითხებში , აცხადებს, რომ ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში, ბრიტანეთის ბიზნეს სექტორს მოუწევს გადახედოს იმ გზას, რომლითაც ის აქამდე ფუნქციონირებდა. მათ მოუწევთ ახალი იურიდიული კანონმდებლობის შემოღება ვაჭრობის ეფექტურად განხორციელებისთვის, რაც რა თქმა უნდა, საწყის პირობებში ზედმეტი თავის ტკივილია და სრულ ადაპტაციამდე შესაძლოა მცირე შეფერხებები გამოიწვიოს[5]. გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ფონდი - „The Bertelsmann Foundation" ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის გამოსვლას გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები ექნება ქვეყნის ზრდის დინამიურობასა და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე. მისი ზარალი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე მაგალითად გერმანიისა და დანარჩენი ქვეყნების, მაგრამ მთავარი ისაა, რომ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც ყველა ჩართული მხარე წააგებს[6]. მკვლევარი დევიდ მარკანდიც ნეგატიური შედეგების მომტანად აფასებს ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან და ეკონომიკური ფაქტორების ანალიზის მაგივრად, ამტკიცებს რომ ეს მოვლენა უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის შესაძლებლობაზე შეინარჩუნოს სოციალური დემოკრატია[7, p.26). განსხვავებულ იდეას აყენებს ევროსკეპტიკი ეკონომისტი როჯერ ბუტლი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება გადასახადის გადამხდელებს მილიარდებს დაუზოგავს, მოაწესრიგებს იმიგრაციის საკითხს და გაათავისუფლებს ქვეყანას ზედმეტი ეკონომიკური „ტვირთისაგან". „მხოლოდ 2012 წელს, ბრიტანეთმა გადაიხადა £16.4 მილიარდი, მაშინ როდესაც მიიღო მხოლოდ £6.9 მილიარდი. ანუ ბრიტანეთმა გააკეთა სუფთა კონტრიბუცია £9.5 მილიარდის სახით, რაც ქვეყნის ნომინალური მშპ-ის 0.6%-ს წარმოადგენს", ამბობს ბუტლი. აქედან გამომდინარე მისი თქმით ეს ინსტიტუცია მისი ეკონომიკისთვის წამგებიანია და იგი ემხრობა ევროკავშირის დატოვების იდეას[8].

ამონარიდებიდანაც კარგად ჩანს რომ ხმები იყოფა. თუ ზოგიერთი მათგანი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის ნეგატიურად აფასებს მომავალში მის შესაძლო გამოსვლას ევროკავშირიდან, სხვანი ამტკიცებენ, რომ ბრიტანეთის სწორედ ახლანდელი მდგომარეობაა წამგებიანი და საჭიროა ცვლილებები ევროკავშირთან ურთიერთობის მხრივ. ახლა შესაძლებელია უკვე ღრმა ანალიზის დაწყება და ქვეყნის ეკონომიკის თითოეული შემადგენელი ნაწილის მეტნაკლები სიზუსტით დაკვირვება და იმის დადგენა თუ როგორ შეიცვლებიან ისინი დამოუკიდებლად მოქმედების პირობებში, რა განსხვავებებს მოგვცემს არსებულ მდგომარეობასთან შედარებით და მოგვცემს დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე თუ რომელი უფრო მომგებიანი იქნება ბრიტანეთისთვის მომავალში: ევროკავშირში დარჩენა თუ მისი დატოვება.

ისტორიული რაკურსი

ზოგადად აღსანიშნავია ბრიტანეთის განსაკუთრებულობადამისთვისდამახასიათებელი, განსხვავებული ურთიერთობა ევროკავშირთან. მხოლოდ ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დიდმა ბრიტანეთმა ევროგაერთიანების წევრობის სურვილი ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან ვე გამოთქვა, მაგრამ მის აპლიკაციას ორჯერ ვეტო საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაადო, ჯერ 1961 წელს, ხოლო მეორედ - 1967 წელს. საბოლოოდ ბრიტანეთი ევროგაერთიანების წევრი პირველი გაფართოების შედეგად გახდა 1973 წელს და ეს განპირობებული იყო საფრანგეთის მმართველობის შეცვლით[3]. მიუხედავად ამდენი მცდელობისა, გაწევრიანების შემდეგ ორ წელიწადში ბრიტანეთმა რეფერენდუმი ჩაატარა ევროგაერთიანებაში დარჩენასთან დაკავშირებით. გარდა ამ ისტორიული რაკურსისა, ბრიტანეთის განსაკუთრებულობა სხვა ასპექტებითაც გამოიხატება. იყო და არის ბრალდებები რომ ბრიტანეთი არ არის „ნამდვილი ევროპული" სახელმწიფო, შარლ დე გოლის თქმით ის იყო ამერიკული იმპერიალიზმის ტროას ცხენი. არის რა კუნძულოვანი სახელმწიფო, იგი არასდროს გამოირჩეოდა ევროპული ინტეგრაციის მაღალი ხარისხით. მიუხედავად ევროკავშირის წევრობისა, იგი არ არის არა მხოლოდ ევროზონის, არამედ შენგენის წევრი სახელმწიფოც.

მიუხედავად მისი განსაკუთრებულობისა და კონტინენტურ ევროპის ქვეყნებთან არსებული განსხვავებებისა, არ შეიძლება დარწმუნებით განისაზღვროს მომავალი რეფერენდუმის ბედი და გადაწყვეტით ვიწინასწარმეტყველოთ ბრიტანეთის

ამიერ ევროკავშირის დატოვება. ევროკავშირში დარჩენის მომხრეებისთვის რთულია იმის გაგება თუ როგორ გადაუხვია კემერონმა კონსერვატორების ისტორიას. მხედველობაშია 1975 წლის ბრიტანეთის რეფერენდუმი ევროგაერთიანების დატოვებასთან დაკავშირებით. იმ დროს BREXIT-ის საკითხი უფრო მწვავედ იდგა, მაგრამ საბოლოოდ 67%-მა დარჩენას დაუჭირა მხარი და ამაში დიდი წვლილი სწორედ მაშინდელი კონსერვატიული პარტიისა და ოპოზიციის ლიდერს მარგარეტ ტეტჩერს მიუძღვის. კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება წინასწარი ვარაუდი ბრიტანეთის ევროკავშირის დატოვებასთან დაკავშირებით არის 2014 წლის სექტემბერში ჩატარებული შოტლანდიის რეფერენდუმი დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მოსახლეობის 55%-მა მხარი სწორედ დიდ ბრიტანეთში დარჩენას დაუჭირა და ეს ძირითადად განპირობებული იყო ალტერნატივის ბუნდოვანებასა და გაურკვევლობაში. სწორედ იგივე ფაქტორებმა შეიძლება ითამაშონ თავიანთი როლი მოსალოდნელ რეფერენდუმშიც, როდესაც საქმე ევროკავშირის დატოვებასა და დამოუკიდებლად მოქმედების დაწყებასთან გვექნება საქმე[4]. ეს ყველაფერი სწორედ ზუსტად ასახავს იმ გამოკითხვის შედეგებს, რომელზეც ზევით ვისაუბრეთ და რომელშიც მოსახლეობის ხმები ორად გაიყო.

ეკონომიკა

მიმდინარე ცვლილებების გაანალიზებისთვის მეტად საინტერესოა თუ რა ურთიერთობა ექნებათ ბრიტანეთსა და ევროკავშირს გამოყოფის შემდეგ. ოპტიმისტური ხედვის თანახმად, თუ ბრიტანეთი მოახერხებს ევროკავშირთან შვეიცარიის სტატუსის მიღებას და მასთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (FTA) შენარჩუნებას, მისი შემოსავალი დაიკლებს მთლიანი მშპ-ის 2.2%-ს, ხოლო იზოლაციის პირობებში მისი შემოსავალი დაეცემა მშპ-ის 6.3%-დან 9.5%-მდე. ხოლო 2030 წლისათვის, ანუ ევროკავშირის მოსალოდნელი დატოვებიდან 13 წელიწადში, როდესაც ნეგატიური ეფექტები ბოლომდე იქნება გამოვლენილი, ვარდნა 14%-ს მიაღწევს [9].

ვაჭრობა

ევროკავშირიდან გამოსვლა გაზრდის ვაჭრობის ხარჯებს ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის. ქიმიური და მექანიკური ინჟინერია, აგრეთვე საავტომობილო ინდუსტრია ასევე დიდ დანაკარგს ნახავენ დამატებითი ღირებულების გადახდის გამო, რადგან ამჟამად ისინი მჭიდროდ არიან ჩაბმული ევროკავშირის საერთო ღირებულებათა ჯაჭვში. ყველაზე დიდ დარტყმას - 11%-ს ქიმიური ინდუსტრია მიიღებს. გარდა ამისა, ბრიტანეთის ათი მთავარი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორიდან შვიდი სწორედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და მათთან დამატებითი რეგულაციების არსებობა რა თქმა უნდა წამგებიანია[11]. რაც შეეხება „ბრიტანეთის ვაჭრობის პალატის" ინფორმაციას, გამოკითხვების თანახმად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა 57% მიიჩნევს რომ საჭიროა ევროკავშირში დარჩენა და მხოლოდ 13% უჭერს მხარს ევროკავშირის დატოვებას. დარჩენილი 30%-იც კი მიუხედავად ევროკავშირის დატოვების სურვილისა, მოითხოვს მასთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შენარჩუნებას, რაც ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში სულაც არ აქვს ქვეყანას გარანტირებული.

სამუშაო ადგილები

ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრების განცხადებით, რომლებიც ევროკავშირში დარჩენის მომხრენი არიან, აცხადებენ, რომ ევროკავშირზეა დამოკიდებული ქვეყნის 3 მლნ სამუშაო ადგილი. ეს განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირი გზას უხსნის ბრიტანეთს 500 მლნ მომხმარებლის ბაზარზე. განსაკუთრებითი დატვირთვა მოდის საავტომობილო ინდუსტრიაზე, რომელშიც დასაქმებულია 700000 ადამიანი და მშპ-ს 3%-ს ჰქმნის. „საავტომობილო წარმოების საზოგადოების" თქმით, ბრიტანეთის საავტომობილო წარმოების წარმატების ფუნდამენტური საფუძველი სწორედ ევროპის კონტინენტი და მასთან მჭიდრო კავშირია.

იმიგრაცია

როდესაც ევროკავშირის დატოვებაზეა საუბარი, ერთ-ერთი დადებით ფაქტორად ევროსკეპტიკები იმიგრაციული პოლიტიკის მოწესრიგებას განიხილავენ და ამტკიცებენ, რომ ბრიტანეთი საბოლოოდ შეძლებს საკუთარი საზღვრების გაკონტროლებას, მაგრამ საგულისხმოა სტატისტიკა: 2014 წელს ბრიტანეთში 624000 ადამიანის იმიგრაცია მოხდა, აქედან 40% იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. დარჩენილი 60% - ევროკავშირის მიღმა ტერიტორიიდან იყო შემოსული. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმიგრაციული პოლიტიკის დარეგულირებას, ასეთის სურვილის შემთხვევაში, ევროკავშირთან არსებული შედარებით რბილი სავიზო რეგულაციები ხელს სულაც არ უშლის, რადგან იმიგრანტთა პროცენტულად უფრო მეტი რაოდენობა სხვა ტერიტორიიდან არის.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ცალკეული მიმართულებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პერსპექტივაში დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება მისთვის უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უცნობია ევროკავშირის დატოვების შემდეგ რა სახის ურთიერთობა დამყარდება ამ ორ აქტიორს შორის. სრული იზოლაციისა და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA), მსოფლიოს ყველაზე დიდი სავაჭრო ბლოკის დატოვების შემთხვევაში ბრიტანეთს შეეზღუდება ის სიკეთეები, რითიც მასში შემავალი ქვეყნები სარგებლობენ. ესაა საბაჟო ტარიფების განულება, საქონლის, მუშახელის, სერვისისა და კაპიტალის შეუფერხებლად გადაადგილება და ქვოტებისა და დამატებითი რეგულაციების გაუქმება.

გარდა ეკონომიკური დაღმასვლისა, რაც გამოხატულია ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება ზოგადად ევროპის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი აქტიორის როლის დაკნინების განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს, და რაც მთავარია არა მხოლოდ ევროპის, არამედ თვით ბრიტანეთისაც. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ევროკავშირის დატოვება კი არ გაზრდის თვით ამ სახელმწიფოს წონას საერთაშორისო პოლიტიკაში, არამედ პირიქით მის დაცემას გამოიწვევს, რადგან მისი სიძლიერე სწორედ ევროპის როგორც წამყვან სახელმწიფოში ძევს და არა მის გარეთ, დამოუკიდებლად არსებობაში.

აქედან გამომდინარე, რეფერენდუმზე ბრიტანელებს სწორი არჩევანის გაკეთება მართებდათ, რისი ამოსავალი წერტილიც მათი სახელმწიფოს კეთილდღეობა უნდა ყოფილიყო. კეთილდღეობა კი როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან და წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს უფრო დიდი ალბათობით ევროკავშირში დარჩენით უფრო გამოიხატება ვიდრე მისი დატოვებით. თემის საწყის ეტაპზე დასმულ საკვლევ კითხვასაც თუ დავუბრუნდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის დატოვება ბრიტანეთის ეკონომიკის სტაგნაციას შეუწყობს ხელს, რომ არაფერი ვთქვათ როგორც მისი, ასევე კონტინენტური ევროპის პოლიტიკური როლის შემცირებაზე.

ლიტერატურა:

1. The Conservative Party Manifesto, 2015. https://s3-eu-west-1.amazonaws.com/manifesto2015/Conservative Manifesto2015.pdf; Retrieved: May 16, 2015.
2. Williamson, Adrian. "The Case of Brexit: Lessons from the 1960s and 1970s". History and Policy. (2015).
3. Centre Virtuel de la Connaissance sur l'Europe (CVCE). "The New European Parliament". 2012. http://www.cvce.eu/obj/the_new_european_parliament-en-e40aba1b-45f1-43bf-bbd1-a34bb52f15db.html; Retrieved: May 17, 2015.
4. MacShane, Denis. "The Brexit Dilemma". Rowman & Littlefield. (2015).
5. Hogan Lovells. 2015. Start Assessing the Brexit Effect. Washington, D.C.: Targeted News Service.
6. The Bertelsmann Foundation. 2015. Brexit could be Expensive - Especially for the United Kingdom. Washington, D.C.: Targeted News Service. http://ezproxy.iliauni.edu.ge:2089/docview/1676060796/39EA69BE7B224A22PQ/7?accountid=143042
7. Marquand, David. "First Brexit, Then Break-up". New Statesman. Vol.142. No5177 (2013): 26-31.
8. CapitalEconomics. 2015. "The Trouble with Europe". CapitalEconomics online. https://www.capitaleconomics.com/staff/roger-bootle/the-trouble-with-europe.html; Retrieved: May 17, 2015.
9. The Guardian. 2015. "British Exit from European Union Would Cost UK Billions". The Guardian online. http://www.theguardian.com/business/2015/apr/27/british-exit-brexit-eu-would-cost-uk-billions-german-study; Retrieved: May 17, 2015.
10. Ibidem. "Brexit, the fallout and the UK's future: what we know so far" http://www.theguardian.com/politics/2016/jun/24/brexit-fallout-what-we-know-so-far Retrieved: June 26, 2016.
11. The Guardian. 2015. "Brexit – What Would Happen if Britain Left the EU". The Guardian online. http://www.theguardian.com/politics/2015/may/14/brexit-what-would-happen-if-britain-left-eu-european-union-referendum-uk; Retrieved: May 19, 2015.

Britain's possible exit from EU: Economic strengthening or its stagnation?

Nino Gozalishvili
Tbilisi State University, International Relations Department, III year.
ninogozalishvili8@gmail.com (+995) 598 712071
Guga Berdzenishvili
Tbilisi State University, International Relations Department, III year.
guga.berdz@gmail.com (+995) 598 342431
Tatia Chkoidze
Tbilisi State University, International Relations Department, III year.
tatachkoidze@gmail.com (+995) 557 513235

As far as mentioned topic is concerned, the article discusses possible consequences that may be caused in result of Britain's exit from the European Union and analyzes whether this will release the country from the "EU handcuffs" as demanded by the "BREXIT" supporters or it will trigger the deterioration of its economics by losing the privileges that are offered by the EU and its single market. Consequently our research question is constructed as following: what results will bring the Britain's exit from the EU for the country's Economy and what it will provoke: strengthening of the economics or – its stagnation. For this reason the article considers each aspect of the Britain's economics in both conditions: as independent economy and as part of the EU. Hence, the analyze makes possible to notice the comparisons and speculate the results.

რუბრიკა მიჰყავს ომარ შუდრას

საინტერესო ცნობები საქმიანი ადამიანებისთვის

მარინა ჭარელიშვილი
შპს საერო სკოლა „დეა“-ს პედაგოგი

საქმიანი ეტიკეტი ბიზნესმენის პროფესიული ქცევის, მორალის მნიშვნელოვანი მხარეა.

საქმიანი ეტიკეტის ცოდნა მუდამ ეხმარებოდა ბიზნესმენებს წარმატების მიღწევაში, ეკონომიკური და ფინანსური ინტერესების თანხვედრაში.

ბიზნესმენთა საქმიანობა და წარმატება ბევრად არის დამოკიდებული საოფისე სივრცეზე.

საოფისე სივრცის ორგანიზაციის სამო ძირითადი ტექნოლოგია არსებობს: ტრადიციული (კაბინეტური), „ღია ოფისი“ (ყველა ერთ დარბაზში) და კომბიოფისი (ზემოთ ჩამოთვლილი ორის კომბინაცია, მინებით იზოლირებული დარბაზი).

კაბინეტური სისტემა გარკვეული ნაკლით გამოირჩევა. ის ხელს უწყობს ცალკეული დაჯგუფებების (თანამშრომლების) ერთ ადგილზე მოგროვებას, ღია ოფისში კი ყველაფერი თითქოს ხელისგულზეა. ასეთი სიტუაცია ხელს უშლის ზოგიერთი პროფესიის მუშაკებს (მაგ. იურისტებს). კომბინირებულ ვარიანტებში კი გაერთიანებულია ორივე სისტემის უპირატესობა. აქ მუშაობენ თანამედროვე პრინციპით „გამჭირვალე ოფისი - ერთიანი გუნდი“.

საოფისე სივრცე სამუშაო ადგილების თანამედროვე ავეჯით მოწყობას მოითხოვს. აუცილებელი ატრიბუტია მაგიდაზე კომპიუტერის, ფაქსის თუ საკანცელარიო ნივთების არსებობა, ამიტომ „შემოქმედებითი უწესრიგობა“ სამუშაო მაგიდაზე მიუთითებს იმაზე, რომ მენეჯერს ორგანიზებულობა აკლია. შეცდომაა, როდესაც მაგიდაზე დგას ტექნიკა, ეს მოსაუბრეებს უშლის, ტექნიკა უნდა იდოს [განლაგებული იყოს] გვერდით, დამხმარე მაგიდაზე .

თავისი ეტიკეტი აქვს სასაბუთე თეფშების გამოყენებას. კარგი იქნება თუ ის გადატვირთული არ იქნება.

დოკუმენტები კარადაში ინახება, მით უმეტეს, თუ ინფორმაცია კომერციული ან კონფიდენციალურია.

სამუშაო მაგიდაზე უნდა იყოს საკანცელარიო ნივთები, ოჯახის ფოტო, უბრალო ფინჯანი ლამბაქით, მობილური ტელეფონი, სავიზიტო ბარათები, თქვენთვის მნიშვნელოვანი სუვენირი, ყვავილები.

გადატვირთული სამუშაო მაგიდა საეჭვოა მოეწონოს თქვენს კლიენტს, პარტნიორს და შეიძლება „აქტიური მუშაობის“ უნიჭო დემონსტრაციად ჩათვალოს.

ყველა ქვეყნისთვის ერთიანი ეტიკეტი არ არსებობს და ზოგჯერ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ოფისში მომუშავე პირების მიერ ეტიკეტის ცოდნას. თანამშრომელი უნდა გამოირჩეოდეს პუნქტუალობით და აკურატულობით. უნდა შეეძლოს სამუშაო დროის განაწილება და დავალების შესრულება მკაცრად რეგლამენტირებულ დროში. ხასიათის ეს თვისებები ითვლება ადამიანის დახასიათების მთავარ კრიტერიუმად. ასეთ ადამიანს შეიძლება დაეყრდნო და ენდო ყველა სიტუაციაში. არც ერთ პატივსაცემ კომპანიაში დაგვიანებებს არ ურიგდებიან.

მეორე წესი, რომელიც უნდა დაიცვას თანამშრომლებმა, ესაა კორპორაციის სტანდარტი. ახალი თანამშრომელი ვალდებულია, სამსახურის დაწყებამდე გაეცნოს ამ დოკუმენტს, ხელი

მოაწეროს თნხმობის ნიშნად და შეასრულოს მისი მოთხოვნები. აუცილებელია შინაგანაწესის და კომპანიის საიდუმლო დოკუმენტების დაცვა. ეს ეხება ყოველგვარ ინფორმაციას - ტექნოლოგიურ, საკადრო მონაცემებს, ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

მესამე წესი - ეს კომპანიის ე.წ „დრესკოდის“ დაცვაა. ყველა ფირმას აქვს თავისი კონკრეტული წესი თუ როგორ უნდა იყოს ჩაცმულ-დახურული, ჰქონდეს შესაბამისი მაკიაჟი, მკაცრი კლასიკური კოსტიუმი და ა.შ. თანამშრომელი უნდა მონაწილეობდეს მოლაპარაკებებში, კორპორაციულ ღონისძიებებში და ამასთანავე უნდა შეეძლოს ეთიკის ნორმების დაცვა.

ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების ახალი მოთხოვნები უცხოელებთან გახშირებული კონტაქტები, „ელექტრონული ოფისის“ მოთხოვნები სამუშაო ადგილის გაფორმების ახლებურ გააზრებას მოითხოვს, ალბად ისევე, როგორც ყველაფერში, აქაც „ოქროს შუალედია “გამართლებული და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ორგანულად უნდა შეერწყას მსოფლიოში აღიარებულ ტრადიციულ ფასეულობებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მდივან-რეფერენტი

ლუსია ჯოლოგუა
მრავალპროფილიანი
საერო სკოლის („დეა”)
დირექტორის მოადგილე

საქმისწარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ დაწესებულებაში. დოკუმენტების დროული წარმოება, შენახვა-დახარისხებაზეა დამოკიდებული სხვადასხვა დაწესებულების წარმატება. საქმის წარმოება ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებაში (საჯარო და კერძო სკოლა, რესურსცენტრი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, კოლეჯი). სკოლაში საქმის წარმოება მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით. ყველა ფორმა მნიშვნელოვანია, სწორად და ხარისხიანად შესასრულებელია. დოკუმენტაციის წარმოებისთვის აუცილებელია დირექტორის მდივან-რეფერანტმა კარგად შეისწავლოს დოკუმენტაცია და აწარმოოს. დღეისათვის საქმისწარმოება მიმდინარეობს ნაწილობრივ ელექტრონულ ბაზაში. ასევე მნიშვნელოვანია მდივან-რეფერენტი კარგად ფლობდეს კომპიუტერს. მდივან-რეფერენტს უნდა შეეძლოს სწორად და დროულად აწარმოოს სკოლაში არსებული დოკუმენტაცია. ასევე უნდა შეძლოს დოკუმენტაციის დაარქივება, ჟურნალების დროული წარმოება. სკოლაში არსებობს რამდენიმე სახსის დოკუმენტაცია. მოსწავლეებისა და პერსონალის პირადი საქმეები, საერთო და საკადრო ბრძანებები, შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღწერა შესაბამის ჟურნალში, ე.წ. ანბანური წიგნი და ასევე ელექტრონული ბაზა.

სკოლის საქმისწარმოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეები იწარმოება როგორც ბაინდერში (საქაღალდეში) ასევე ელექტრონულ ბაზაში. მდივან-რეფერენტის მოვალეობაა დროულად აწარმოოს პირადი საქმეები. შეიტანოს მასში ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პირადი საქმისთვის. ასევე მნიშვნელოვანია პირადი საქმეების დროული დაარქივება სკოლის არქივში შესანახად. აუცილებელია არქივის წარმოება, დოკუმენტაციის წლების მიხედვით დალაგება, რათა საჭიროების შემთხვევაში მდივან-რეფერენტმა ადვილად შეძლოს საჭირო დოკუმენტაციის მოძიება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი სკოლაში ბრძანებებია. ბრძანებები ორი სახისაა: ბრძანებები საერთო საკითხებზე და საკადრო ბრძანებები. ბრძანებები საერთო საკითხებზე მოიცავს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, ხოლო საკადრო ბრძანებები მხოლოდ პერსონალის დანიშვნა-განთავისუფლებას შეეხება. ბრძანებები აუცილებელია დაიწეროს სკოლის ბლანკიან ფურცელზე. ხელმოწერიანი და ბეჭდიანი ბრძანებები უნდა შეინახოს შესაბამის ბაინდერში. სკოლის ბრძანებები კონფიდენციალურია და ინახება შესაბამის ბაინდერში (საქაღალდეში), აგრეთვე არსებობს ბრძანებების ჟურნალი, რომელშიც ხდება ბრძანებების დანომრვა და წარმოება.

საქმისწარმოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია შემოსული და გასული დოკუმენტაციის წარმოება. ნებისმიერი დოკუმენტაციის მიღება, როგორც საქმიანი ქაღალდებით, ასევე ელექტრონულად დახარისხდეს, შეინახოს ბაინდერში და ჩაიწეროს შესაბამის ჟურნალში. შემოსული დოკუმენტაციის სწორად წარმოებაზეა დამოკიდებული სკოლის ნორმალური მართვა. მნიშვნელოვანია მდივან-რეფერენტმა დროულად მიაწოდოს ინფორმაცია საჭირო პერსონალს. ასევე მნიშვნელოვანია გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.

სკოლაში მნიშვნელოვანია იწარმოოს ე.წ. „ანბანური წიგნი.“ ანბანური წიგნი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ინახება 50 წელი. უნდა მოხდეს დროულად ინფორმაციის შეტანა. ასევე იწერება ინფორმაცია მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ, აგრეთვე ბრძანების თარიღი და ნომერი, კლასი და წელი, თუ რომელ წელს ჩაირიცხა მოსწავლე ან ამოირიცხა

სკოლიდან, ანბანური ნომრის მინიჭება. თითოეულ მოსწავლეს მინიჭებული აქვს შესაბამისი ნომერი.

დღეისათვის სკოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი ხანია ინერგება ელექტრონული ბაზა. მასშია თავმოყრილი ყველა ის ინფორმაცია რასაც საქმისწარმოება მოიცავს. ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია, როგორც მოსწავლეზე, ასევე მათ მშობლებზე. ელექტრონული ბაზა დაკავშირებულია იუსტიციის სახლთან, რათა გაადვილდეს ინფორმაციის დროული და სწორი მოძიება, მოსწავლესა თუ პერსონალის შესახებ. დღეისათვის ასევე დაგეგმილია მეტი დატვირთვა მიეცეს ელექტრონულ ბაზას და მეტი ინფორმაციის შეტანა მოხდეს მასში. ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის შეტანა ხელს უწყობს ქაღალდზე შესრულებული დოკუმენტაციის წარმოებას.

ამრიგად ყველა ზემოდ აღნიშნული დოკუმენტაციის სწორ და დროულ წარმოებაზეა დამოკიდებული წარმატებული მუშაობა. დოკუმენტაციის წარმოება კი დამოკიდებულია მდივან-რეფერენტზე, ის ვალდებულია დროულად მოახდინოს დოკუმენტაციის წარმოება. აუცილებელია მდივან-რეფერენტს ჰქონდეს შესაბამისი განათლება, რათა გაუადვილდეს საქმისწარმოება.

ნებისყოფა (აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი)

შარშან ნოემბერში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, საიუბილეო ღონისძიებები, მიძღვნილი თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 35 წლისთავისადმი. ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის, თსუ რექტორის (1985-1991) ნოდარ ამაღლობელის დაბადებიდან 85 წლისთავი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წელს აღნიშნა. გთავაზობთ მისი პირველი ასპირანტის, ინსტიტუტის ყოფილი სწავლული მდივნის, ომარ შუდრას მოგონებების წიგნის (ბიოგრაფიული ნარკვევები, თბ. 2014) ერთ თავს, მცირეოდენი შემოკლებებით.

ომარ შუდრა
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი

„ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმა დ ლე ბია გულთა სრულობა, დიდხასიათობა, იმისდა მიუხედავად, ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყო ვე ლივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან.“

ილია ჭავჭავაძე

მას შემდეგ, რაც დოც. გივი ქანთარიამ (კიბერნეტიკის კათედრის გამგემ), 1964წ. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვესტიბიულში გამაცნო ნოდარ ამაღლობელი, 40 წელი მასთან ერთად გავატარე. მე ნ. ამაღლობელს ვიცნობდი, როგორც ფიზიკის ფაკულტეტზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის განყოფილების გამგეს, პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს, ინსტიტუტის დირექტორს, უნივერსიტეტის პრორექტორს, რექტორს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარლამენტის მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, დაბოლოს, ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს.

მე მისგან ისე დიდად ვარ დავალებული, რომ ადვილია გავაიდეალო იგი, რასაც ხშირად ვხვდებით ხოლმე გამოჩენილ ადამიანთა მოგონებებში. ასეთი კანონიკური სახე ძალზე უცხოა თვით ჩვენი „შეფისთვის“ (როგორც მას ვუწოდებდით თანამ შრომ ლები). ის იყო ტემპერამენტიანი და მებრძოლი, ამასთან ადამიანისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებითა და სისუსტეებით. სწორედ მისი ნატურის ეს შენადნობი ქმნის ცოცხალ ჩაუმქრალ სახეს...

მის ძირითად თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს სიყვარული და აქედან გამომდინარე, ძლიერი მიზანსწრაფვა, უშრეტი ენერგია, შინაგანი სიძლიერე, საქმისათვის თავდადება. მასზე თითქმის არაფერს წერდნენ სიცოცხლის პერიოდში, ამიტომ მინდა, ზოგი რამ მოვიგონო ჩვენი ერთად მუშაობიდან.

1964წ. ნ. ამაღლობელი თსუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველ სართულზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. მას ყველა პატივისცემით ექცეოდა. მიუხედავად ასაკისა (33 წლის იყო), ჩამოყალიბებული პიროვნება გახლდათ. ჩვენ, 23-24 წლის თანამშრომლებს, გვინერგავდა პროფესიონალიზმს. მას ყველანი უბრალოდ, სახელით მივმართავდით (ისევე როგორც ალეკო თავხელიძეს).

ამ წლებში აღფრთოვანებული ვიყავი ნ. ამაღლობელის წესიერებით და პატიოსნებით. ერთხელ, მეზობელი ლაბორატორიის გამგემ ნოდარ გვილავამ, რომელთანაც ნ. ამაღლობელის მეუღლე მერი გეთია მუშაობდა, იგი ჩვენს ლაბორატორიაში რადიონაწილების „სასესხებლად“ გამოგზა-

ევნა. ნ. ამაღლობელი არ იყო და რასაკვირველია, „შეფის“ მეუღლეს, ყველაფერი გავატანეთ, რაც სჭირდებოდა.

როგორც შემდგომ მ. გეთია ჰყვებოდა, როცა ეს ამბავი შინ გვიან დაბრუნებულმა ნოდარმა გაიგო, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები დახვდა, არ მოერიდა და მაგრად იჩხუბაო.

„ასე ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ როგორაა მომართული“, „აფერისტებისაა ეს ცხოვრება“, „სოციალიზმის ფორმულა გარკვეულ ეტაპზე ადამიანის მაღალ ზნეობას მოითხოვს,“ „წესიერებას და კულტურას სისუსტეში მითვლიან“ – ხშირად უთქვამს ჩემთვის.

საერთოდ, აღსანიშნავია ჩვენი კოლექტივის საერთო ატმოსფერო და მისი მორალურ-ეთიკური საფუძველი – დემოკრატიული სული. იშვიათად მინახავს ლაბორატორიის გამგე, ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც ნებისმიერი ახალგაზრდა თანამშრომელი საკმაოდ მწვავედ ეკამათებოდეს...

ჯერ კიდევ იმ წლებში ჯამრთელობის პრობლემები ჰქონდა, თუმცა არ იმჩნევდა. შემდგომ წლებში, უკვე ინსტიტუტის პერიოდში, მითხრა – „ამ დღეებში თურმე მიკრო ინფარქტი ფეხზე გადამიტანია“. ძალიან ბევრს ეწეოდა, მაგრამ ისეთი ნებისყოფა ჰქონდა, რომ ექიმის მოთხოვნით, თავი ერთ დღეში დაანება.

1985 წლის ივნისში, ნოდარი რექტორად წარადგინა საქ. კომპარტიის ცკ მდივანმა გურამ ენუქიძემ. იმ დღეს ჩვენ, დირექცია, ჯემალ ბაკაშვილის მანქანით პირველი კორპუსიდან ინსტიტუტში ვბრუნდებოდით. უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში სახეალეწილი ნოდარის გარშემო საერთო აჟიოტაჟისა და ტაშის გრიალის მიუხედავად, ჯ. ბაკაშვილმა დელიკატურად ჩაილაპარაკა: მე მეეჭვება, რომ ნ. ამაღლობლის ჯანმრთელობამ ასეთ მძიმე ტვირთს გაუძლოს. მეც დავეთანხმე. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ასეც მოხდა.

1988წ., ნ. ამაღლობელმა საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად წარადგინა თავი (საბუთები მე გამატანა ჩასაბარებლად). მისი კონკურენტი იყო კარგი მეცნიერი, თანაკურსელი თენგიზ სანაძე.

საინტერესოა, რომ ორსაფეხურიანი აკადემია მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო. ისტორიულად, მეფის დროს რუსეთის აკადემიკოსები პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ხოლო ვინც დედაქალაქში არ ცხოვრობდა და პეტერბურგში იშვიათად ჩადიოდა ხოლმე, იყო წევრ-კორესპონდენტი. შემდგომ, ცხადია, ამ სისტემამ საწყისი აზრი დაკარგა.

ნ. ამაღლობელის რექტორობის პერიოდი (1985-91წწ.), დაემთხვა გორბაჩოვის „პერესტროიკის“ რთულ პერიოდს. დღესაც თვალწინ მიდგას (იმ დროს დისიდენტი) ზვიად გამსახურდია, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში, მიტინგზე, უცხოელ კორესპონდეტებს ადმინისტრაციასთან შეხლა-შემოხლის შედეგად გარდვეულ პიჯაკს აჩვენებდა. აღელვებული ნოდარი კი, რომელიც კართან, შემაღლებულზე იდგა, მოუწოდებდა ეგზალტირებულ ახალგაზრდობას: „ჩამოდით წმინდა საფლავებიდანო...“

ბუნებით მორიდებულ ნ. ამაღლობელს ასეთ მდელვარე წლებშიც მუშაობის თავისი სტილი ჰქონდა: არასდროს მდივანს ზარით არ გამოიძახებდა, თვითონ გამოვიდოდა კაბინეტიდან და ისე აძლევდა დავალებას. კადრების განყოფილებაში გაოცებული იყვნენ, რომ მათთან საქმეზე თავად რექტორი შედიოდა. ჩვენი ინსტიტუტის კანცელარიის გოგონებთან სელექტორით საუბრისას აუცილებლად ეტყოდა: „ამაღლობელი გაწუხებთ...“

რექტორატში „ჭრელ ხალხთან“ ურთიერთობით გადაღლილი, საღამოს 5-6 სთ-ზე ინსტიტუტში შემოივლიდა, ძაღლის საჭმელს, კონსერვს, ძვლებით სავსე პარკს თავისი ხელით გახსნიდა ხოლმე... ეტყობა, ჩვენი კავკასიური ნაგაზის ერთგულებით სულიერად ისვენებდა. არ უყვარდა, როცა ამ დროს მე, როგორც დირექციის წევრი, მოსკოვის ჩინოვნიკების მიერ გამოგზავნილ (ყოველთვის უაზრო) ქაღალდებით მივადგებოდი, ან საქმეზე ვესაუბრებოდი ხოლმე.

საერთოდ, დასვენების რომელიმე აქტიურ ფორმაზე, როგორიცაა ალპინიზმი, თხილამურები და სხვ., დროს არ კარგავდა. ისე, სპორტი ყოველთვის უყვარდა. ახალგაზრდობაში (რ. სალუქვაძესთან ერთად) კალათბურთს თამაშობდა, შემდეგ ფრენბურთმა გაიტაცა და რექტორობის დროსაც კი, უნივერსიტეტის დარბაზში, საღამოობით ფრენბურთს თამაშობდა. მის კაბინეტში ყოველთვის იყო სპორტული ფორმა. „ოფლი თუ არ გამოიდინე, ისე არაფერი გამოვა,“ – უთქვამს ჩემთვის.

სუფრაზე კი, როგორც თვითონ ამბობდა, „ფილოსოფია“ უყვარდა. სასმელის შემდეგ, რატომღაც, რომელიმე თანამშრომელი მისი მსუბუქი ირონიის და გაკენწვლის მსხვერპლი ხდებოდა.

ზ. გამსახურდიას წასვლის შემდეგ ნოდარი (ე. შევარდნაძის ხელშეწყობით) პარლამენტის მეცნიერების და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. თავმჯდომარის – რ. მიმინოშვილის გარდაცვალების შემდეგ კი – კომიტეტის თავმჯდომარე.

„აფხაზეთის ომი“ რომ დაიწყო, ნ. ამაღლობელი ინსტიტუტის გზაზე შემხვდა. რაღაც ვიგრძენი ინ-

სტიქტურად და სალმის შემდეგ გავჩერდი. „აჩიკო ომში წავიდა“ - მომახალა. „ეს როგორ, მერე... თქვენ გაუშვით?“ – გამიკვირდა. „აბა, რა მექნა... დამარწმუნეს ბიჭებმა...“

მალე რევაზ სალუქვაძის ვაუმა – ზაზამ თვითმფრინავით აჩიკო და პროფესორ გურამ დოლიძის შვილი – მალხაზი ჩამოასვენა.

ამაღლობელის პირად ტრაგედიას ბევრი იყენებდა და ფაქტობრივად, მასზე ცუდ ზემოქმედებას ახდენდა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი „შეფი“ არ იყო მოკლებული ადამიანურ სისუსტეებს. მისთვის უცხო არ იყო პატივმოყვარეობა, ზედმეტად აფასებდა თანამდებობებს. ზოგჯერ კი ძალზე რბილი და დამთმობი იყო, რაც ხშირად მისი მოწაფეების უკმაყოფილებას იწვევდა...

2003 წელს ნ. ამაღლობელს ფილტვის კიბოს დიაგნოზით ნახევარი ფილტვი ამოკვეთეს. მაინც მხნედ გამოიყურებოდა. გახარებული იყო, რომ მიიღო კანონი მეცნიერ მუშაკთა პენსიებზე. ეს კანონი ახალმა მთავრობამ ერთ წელიწადში გააუქმა.

ნ. ამაღლობელი, ბ. ჭილაძე (დირექტ. მოადგილე), მ. ნიორაძე (ინსტ. დირექტ. 2004 წ.-დან)

ბოლო წლებში ტრადიციასავით დამკვიდრდა, რომ 2-3 თვეში მის კაბინეტში უნდა მივსულიყავი და ერთგვარი ანგარიში ჩამებარებინა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პარლამენტში უნდა შემდგარიყო პარასკევს, 2004წ. 1 აპრილს, შუადღის 12სთ-ზე.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის გრიპის გართულებისგან თუ კიბოს მეტასტაზებისგან ხმაწართმეული, ყველა კარიერისტისგან მიტოვებული, გულგატეხილი იყო. როგორც ყველა ხანდაზმული, ვიღაცაზე და რაღაცაზე ნაწყენი იყო. „ყველაფერზე ნერვიულობს,“- მითხრა გულისტკენით სამდივნოს ხნიერმა ქალმა.

მისი სადეპუტატო ვადა გასული იყო, თუმცა კაბინეტიდან ჯერ არ გამოდიოდა. დღე-დღეზე გასაღები უნდა ჩაებარებინა. ეტყობოდა, ამასაც განიცდიდა. იმავე დღეს 17სთ-ზე უნივერსიტეტში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში თანამშრომელთა შეკრებაზე მისულა, სადაც უნივერსიტეტში მეცნიერების ე.წ. „რეფორმის“ პროექტზე აველინა დავითულიანი (აკად. თენგიზ სანაძის მეუღლე) საუბრობდა. ეს მისი ბოლო კრება იყო. აქაც გულისტკენა...

კვირას შინ სტუმრები ჰყოლია, შემდეგ მის მოადგილესთან, ბადრი ჭილაძესთან შეთანხმებულა ორშაბათს ინსტიტუტში შეხვედრაზე.

ორშაბათ დილას კი საავადმყოფოში წაუყვანიათ ინსულტის დიაგნოზით. კვირას, გვიან საღამოს, ნ. ამაღლობელი გარდაიცვალა.

დაბოლოს, ამაღლობელის ადამიანური სისუსტეები ვერ გადაფარავს მის უდიდეს ნებისყოფას (რაც სახეზეც ეტყობოდა), სამეცნიერო-ორგანიზაციულ და განსაკუთრებით, სტრატეგიულ ნიჭს. მან ჩვენს რესპუბლიკაში, სუსტი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის (ყოველ შემთხვევაში, ექსპერიმენტულ ფიზიკაში) მიუხედავად, შეძლო სამეცნიერო კვლევების ორგანიზაცია და კვალიფიციური კადრების მომზადება.

საერთოდ, ნოდარი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი კადრების აღზრდას, მომარაგებას, რეზერვებს. მისი გონება ყოველთვის 5-7 წლით უსწრებდა რეალობას. მუშაობაში მას შეეძლო გამოეყო ძალისხმევის მთავარი მიმართულება. ჩვენც ამას გვასწავლიდა.

მე ამაღლობელის მოწაფე ვიყავი და ბევრი რამ ვის წავლე მისგან. წლების განმავლობაში მისი პიროვნების შარმის ქვეშ ვიყავი. მისი სახე, თვალები, რაღაც შინაგანი სინათლით იყო გასხივოსნებული და რწმუნდებოდით, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია, დიდი ინტელექტით. მაღალი, წარმოსადეგი ნოდარი გამოირჩეოდა ადამიანე ბისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, მუდამ ფიქრობდა და ზრუნავდა მრავალი ადამიანის ბედზე. ის ორჯერ მიიწვიეს აშშ-ში ექსპერიმენტებში სამუშაოდ, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვტოვა...

უაზრო აკრძალვების ჩარჩოებში შეუძლებელი იყო საქმის კეთილსინდისიერად კეთება, რომ კანონი არ დაგერღვია. „ყველა ინსტრუქცია რომ შეასრულო, მაშინ არაფერი არ უნდა აკეთო“ – ამბობდა ნ. ამაღლობელი. ეს ხომ ძველი სიუჟეტია – კარგი ადამიანი ძნელ ადგილზე, მძიმე წლებში. უნდა გავუგოთ, როგორ უჭირდა მას.

ახლა, როცა გავიდა წლები, ხედავ, რომ მისი

„სუსტი წერტილები“ შედეგი იყო უზომოდ გაზრდილი პიროვნებისა, რომელმაც ჩვენი ცხოვრებით ნაკვებ ასთავიან ურჩხულთან ბრძოლაში, ადამიანებს ძალზე გაუსწრო, ხოლო შინაგანი მარტოობისა და ტკივილისაგან ნიჰილიზმი განუვითარდა...

როგორც სჩანს, ნიჭიერ და პატიოსან ადამიანს ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის პირობებში (კარიერის მწვერვალს მიღწეულსაც კი), არ შეუძლია ქვეყნისათვის (და არა მისთვის) ძალინ საჭიროს, ჩაფიქრებულის რეალიზაცია. მაგრამ შეუძლია, პრინციპში, შეინარჩუნოს სუფთა ხელები და წავიდეს ღირსეულად, შესაძლოა იმ იმედით, რომ მას შთამომავლობა დააფასებს, მაგრამ უფრო ხშირად, ამ იმედის გარეშე...

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge